

# განმათავისუფლებელი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2013 წ. დეკემბერი\* №39 \* ფასი 1 ლარი  
გამოდის 2003 წლის დეკემბრიდან

## განმათავისუფლებელი

# 10 წლისაა

გვხვითი გონიერი  
მკითხველებისთვის



ქეულდი  
ენა  
საზქუუნთეპა



## გვიზავლათ ვინააა!!!

გვ.3

„НАРОДНАЯ ПРАВДА“-ში გამოქვეყნებული ზვიადის ინტერვიუს გამო

გვ.9,12

ნა საფრთხე შეიძლება ექუქრებოდეს საქართველოს  
ე.წ. სამოქალაქო სექტორში გადასაცემი ივანიშვილისაგან?



### ლეილა ჭიქრადზე

„... ხელისუფლებაზე, რა თქმა უნდა, მექნება გარკვეული გავლენაც. ამასთანავე, მე ამ გავლენას არათუ სათაკილოდ ვთვლი, არამედ ძალიანაც შევეცდები მის გაზრდას...“ ბიძინა ივანიშვილის უკანასკნელ ღია წერილში (2013 წლის 21 ნოემბერი) გახმოვანებული ქადილი სულ მალე რეალობად იქცევა!

არასახელმწიფოებრივად მოაზროვნე ობივატელი, რომლისთვისაც მთავარი მხოლოდ სააკაშვილის პრეზიდენტობიდან გადარჩევა იყო, ივანიშვილისათვის მადლობის სათქმელ მამებლურ ღონისძიებაზეც კმაყოფილი მივიდა 24 ნოემბერს „კოალიციური ოცნების“ ყრილობაზე და მის ზემოციტირებულ განაცხადსაც გაბადრული დაუკრა კვერი. ივანიშვილი კი საფრთხედ არასამთავრობო, სამოქალაქო სექტორიდან უფრო მეტად შეიძლება იქცეს, ვიდრე მას ეს ხელისუფლების უმაღლესი ეშელონიდან შე-

ედლო; შემდგომი ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებების წანამძღვრად, ივანიშვილმა შექმნა და დაგვიტოვა ისეთი პოლიტიკური ძალებისაგან დაკომპლექტებული მთავრობა, პარლამენტი და პრეზიდენტი, რომლებიც სტერილური არიან ეროვნულ-პატრიოტული ცნობიერებისაგან და პრო-რუსული ორიენტაციის პერსონებს წარმოადგენენ, რომლებისთვისაც ივანიშვილმა ამომრჩევლებისაგან ხმები ფულით (არა პირდაპირი მიცემის წესით, არამედ ქარიზმით) იყიდა.

იმისათვის რომ ნათელგყოთ საფრთხე, მაგალითისთვის 2010 წლის ისტორიულ ექსკურსს მოვახდენთ, როდესაც უმაღლესი ხელისუფალნი ზურაბ ნოღაიდელი (ყოფილი ფინანსთა მინისტრი, პრემიერ-მინისტრი) და ნინო ბურჯანაძე (პარლამენტის თავმჯდომარე) აღარ იყვნენ ხელისუფლებაში, არამედ, ან

გაგრძელება გვ.2



დასაწყისი გვ. 1

უკვე ოპოზიციის ნიშა ეკავათ. სააკაშვილის პრო-დასავლურ ხელისუფლებაში ყოფნისას ორივე მათგანისაგან, რამდენმეცა და ცნებად შესატყობი იყო პრო-რუსული ორიენტაცია, იმდენად ეს ნათელი და აშკარა გახდა მათი ხელისუფლების გარეთ აქტივობისას - ისინი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ მკვეთრ და რადიკალ რუსეთის სატელიტ ძალებად იქცნენ.

პუტინის რუსეთი ბურჯანაძე-ნოლაიდელების გახელისუფლებით ცდილობდა საქართველოში საკუთარი სტრატეგიული მიზნების გახორციელებას; საქართველოს ხელისუფლების მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობის აღიარებასა, „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის“ გაუქმებასა და შემდგომ ქართველი დევნილებისათვის სტატუსის მოხსნას, საქართველოს სწავლაში დაბრუნებას, აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმებას, ასევე ისრაელთან და ნატოს წევრ ქვეყნებთან სამხედრო სფეროში, ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის ბლოკირებას, ავღანეთიდან და ერაყიდან ქართული ჯარის გამოყვანას და ნატო-ს წევრ ქვეყნებთან სამხედრო მისიებში მონაწილეობაზე უარის თქმას, საქართველოს თავდაცვისა და სასაზღვრო დეპარტამენტის რაოდენობისა და ბიუჯეტის მინიმუმამდე შემცირებას, ქართული სპეცსამსახურების დაშლას და ა. შ. საბოლოოდ კი საქართველოს რუსეთის გუბერნიად გადაქცევას.

ინტერნეტ-პორტალ „დრონი.ჯი“ მტკიცებით (ავტორი ლევან ჯავახიშვილი) ზურაბ ნოლაიდელს ამ გამყიდველურ და მსგავს საიდუმლო გეგმებზე ხელი ოფიციალურად აქვს მოწერილი. იხ. <http://droni.ge> და რაოდენ მტკიცებული და სამარცხვინოა, რომ ამ ქვაბავაზა ე.წ. „სამართლიანი საქართველოსთვის“ სახელით მოქმედი ნოლაიდელის პოლიტიკური მოკავშირე გახლავთ ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, აფხაზეთის ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარე, ამჟამად „ქრისტიანული საქართველოს“ სახელით მოქმედი ავთანდილ დავითაია. როდესაც ჩვენ, ჯერ კიდევ გაგვარჩნდა ილუზია ავთანდილ დავითაიას სანდოობაზე, მე და ეთერ მაგლობლიშვილს არაერთი მცდელობა გვქონდა მისი ლიდერობით ეროვნული მოძრაობის გაერთიანებისა, მაგრამ დავითაია ან ხელიდან გვისხლტებოდა, ან საიდუმლოდ მდუმარებდა.



ზურაბ ნოლაიდელს კი შეიძლება თამამად ვუწოდოთ „პოლიტიკოსი კუ“, რამეთუ, საფრთხის შეცნობისთანავე მასაც, კუს მსგავსად, საკუთარ ჯავშანში შემალვა ახასიათებს; აგერ, უკვე ორი წელია, ნოლაიდელი, მისთვის აშკარად არახელსაყრელ პოლიტიკურ კატაკლიზმების პერიოდში შემალვულია თავის ჯავშანში, სადაც საიმედოდ გრძნობს თავს, რადგან ივანიშვილის მთავრობა, რუსეთის ხათრით (როგორც ბურჯანაძეს), ჯავშანზე არც მას დაუკაკუნებს წარსული კორუფციული დანაშაულობების გამო.

27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში ნოლაიდელმა თავისი რქოვანი ჯავშნიდან დროებით გამოყო კუსავით ნანვეტილი თავი და საკუთარი პოლიტიკური ორგანიზაციიდან ე.წ. „სამართლიანი



საქართველოსთვის“ პრეზიდენტობის კანდიდატად „ტროას ცხენით“ შემოაგორა საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი სერგო ჯავახიძე, რომ იქნებ მისთვის მაინც გამოეცხადებინათ ნდობა და ვინძლო კვლავ აბობლებულიყო ნოლაიდელი პრემიერის სავარძელზე და თავის ერთგულ ავთანდილ დავითაიასთვისაც ებოძებინა რაიმე სკამი, მაგრამ ჯავახიძისათვის ხმის მიმცემთა რაოდენობა ვერ ასცდა 0% , რეალურად კი შეადგინა 0,13%. უფრო სერიოზულად კი, ნოლაიდელს, საკუთარი პარტიიდან საპრეზიდენტო კანდიდატის წამოყენება პარტიის რეანიმაციისათვის უფრო სჭირდებოდა.

რუსეთის ვექტორის ამ კონტექსტშია გასააზრებელი ნინო ბურჯანაძის მთავარ არასამთავრობო ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალად წარმოჩენა ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებით (10, 19%) ივანიშვილის მიერ.

ივანიშვილი, არასამთავრობო სექტორში გადასვლის თემაზე, ევროპისა და დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების მაგალითით აპელირებს. თუმცა ცნობილია, რომ რუსეთის ფედერაციის ძალაოვან სტრუქტურებს (ფესბ, კგბ, გრუ) ევროპასა და დასავლეთშიც მრავლად აქვს გახსნილი უფლებათდამცველი ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც თავად ევროპელები (ამერიკელები) პატრონობენ. დიდი ალბათობით, ივანიშვილის არასამთავრობო ორგანიზაცია შეიძლება იყოს რუსეთის ასეთივე მსხვილი ფილიალი საქართველოში. რა გვაძლევს ამ ვარაუდის გამოთქმის საფუძველს?

ჯერ კიდევ ივანიშვილის პრემიერ-მინისტრობის დროს მისმა მრჩეველმა რეგიონალურ საკითხებში ირაკლი მელაშვილმა, ივანიშვილის დავალებით შეიმუშავა კანონპროექტი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, რომელიც „რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის“ სამინისტროს გადასცა. სამინისტრომ, უწყებრივად განხილვის შემდგომ, პროექტი განსახილველად და დასამტკიცებლად პარლამენტში წარადგინა. კანონპროექტში ჩადებულია სახელმწიფოებრივად რისკის შემცველი კარები, რომლითაც განსაკუთრებით ყურადსაღებია კოდექსის VII კარი. VII კარს ეწინააღმდეგება პარლამენტარების ნაწილი და არასაპარლამენტო ოპოზიციის ფართო სპექტრი, რადგან ამ კარში ჩადებულია მუნიციპალიტეტთა რეგიონული ერთიანობის იდეა, რაც საქართველოს ფედერალური სახელმწიფო მოწყობის შემოღების პირდაპირ მცდელობას წარმოადგენს. ამ კოდექსის ამოქმედებას უცილობლად მოჰყვება საქართველოს დაშლა პროვინციებად და რეგიონალური ენების (მეგრული, სვანური, სომხური, აზერბაიჯანული) მოთხოვნის აქტუალიზება პროვინციების მკვიდრთა მხრიდან. ეს პროცესი, გრძელვადიან პერსპექტივაში კი, ერთიანი სახელმწიფოებრივი ეროვნული ცნობიერების მოშლას მოახდენს, რაც იმპერიალისტური რუსეთის ისტორიული სტრატეგიული გეგმა და ოცნება გახლავთ.

ბიძინა ივანიშვილის საქართველოს ხელისუფლებაში მოსვლამ, უკვე იმთავითვე წაახალისა სამეგრელოში იმპერიული რუსეთისა და საერთაშორისო ორგანიზაცია „იუსაიდის“ მიერ დაფინანსებული ისაკ ჟვანიას საქმის გამგრძელებელი სეპარატისტული ძალები, რომლებიც დღეს უკვე საჯარო შეკრებებით ითხოვენ სამეგრელოში მეგრული ენის რეგიონალურ სახელმწიფო ენად გამოცხადებასა და სამეგრელოს ავტონომიის შექმნას. ისაკ ჟვანიას იდეური მემკვიდრე იური ლვინჯილიას ანტისახელმწიფოებრივ მეგრულ სეპარატიზმს, 1992 წელს საგანგებო მიმართვით გამოეხმაურა პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია: „ძვირფასო თანამემამულენო! იმპერიული ხუნტა, რუსეთის დავალებით ცდილობს შექმნას მეგრული სეპარატიზმი და სამეგრელო ჩამოაცილოს საქართველოს. იმპერიის ემისარი შევარდნაძე ყველანაირად ცდილობს უკმაყოფილების გამოწვევას სამეგრელოში, სხვა კუთხეების მოსახლეობის ამხედრებას სამეგრელოს წინააღმდეგ, რათა განახორციელოს კრემლის ოცნება - სამეგრელოს ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა, სამეგრელოსა და სხვა კუთხეებს შორის ეთნოკონფლიქტი. არ წამოეგოთ კრემლისა და შევარდნაძის ანკესზე...“ (სრული ტექსტი იხ. გაზეთი „აღდგომა“, 1992 წლის 10 მაისი, N2).

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კანონპროექტის კოდექსის VII კარში შემოპარებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა ზემოხსენებული საფრთხის შემცველია და ეხმარება ზურაბ ნოლაიდელის მიერ პუტინთან გაფორმებულ ჩვენს მიერ ზემომოხმობილ საიდუმლო ხელშეკრულებას.

არასამთავრობო სექტორში გადანაცვლებულმა ივანიშვილმა, თუ რაიმე სახით მოახდინა ზურაბ ნოლაიდელის რეანიმაცია და მისი მიზან-სცენარზე დაბრუნება, ეს რუსული სცენარის განვითარების მაუწყებლად უნდა აღვიქვათ. საწყისი რუსული პოლიტიკური კაპიტალი კი „მთავარ ოპოზიციურ ძალად“ ნინო ბურჯანაძის შერაცხვა იყო, რომელიც მან 27 ოქტომბრის არჩევნებით შემოგვაპარა.

მართალია ახალმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა კატეგორიულად მოითხოვა პარლამენტისაგან და კონკრეტულად დავით უსუფაშვილისაგან კოდექსის პროექტიდან VII კარის ამოღება და თავისი უარყოფითი პოზიცია, აგრეთვე ეთნიკური ნიშნით ახალი მუნიციპალიტეტების შექმნის თაობაზეც გამოთქვა, რაც იმედისმომცემი ფაქტია, მაგრამ არავინ იცის თუ რა სვლას განახორციელებს ამასთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილი საკუთარი არასამთავრობო ორგანიზაციის ფორმირების შემდგომ. იგი ხომ მის მიერ ხელდასმულ პარლამენტსა და მთავრობაზე მნიშვნელოვანი გავლენისათვის ემზადება. თავად ივანიშვილის ფავორიტი უსუფაშვილი არ ეთანხმება ახალ პრემიერსა და სხვა ოპონენტებს კოდექსში VII კარის ამოღების თაობაზე და მას დემოკრატიული განვითარების კუთხით მნიშვნელოვან კარად მიიჩნევს. კანონპროექტს „თვითმმართველობის შესახებ“ ეწინააღმდეგება საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II.

27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებით კი საქართველოს ჰყავს საქართველოს მოსახლეობის უმცირესობის მიერ არჩეული ახალი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, რომელმაც მხოლოდ უმცირესობათა ხმების 62, 1% მოიპოვა. რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობიდან (3 537719 ადამიანი), არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1 661 273 ამომრჩეველმა, ანუ ამომრჩეველთა 46.96%, ხოლო 53%-ზე მეტმა ბოიკოტი გამოუცხადა ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლების საპრეზიდენტო არჩევნებს. ეს გახლდათ განზილებული ხალხის გაცხადებული პროტესტი ბიძინა ივანიშვილის საპარლამენტო არჩევნების შეპირებებზე (სამართლიანობის აღდგენა, ტარიფების გათავება, სამუშაო ადგილების შექმნა, სამსახურებში ასაკობრივი ზღვარის (40 წელი) მოშლა, პენსიების 250 ლარამდე გაზრდა და სხვ).

28 ნოემბერს საქართველოს სახელმწიფომ (ახალარჩეულმა პრეზიდენტმა, საგარეო საქმეთა სამინისტრომ) ვილინიუსის სამიტზე





← ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოციაციის ხელშეკრულებას, რომელიც ოფიციალურად 2014 წლის სექტემბერში უნდა გაფორმდეს. ხელშეკრულებაზე წინასწარ ხელმოწერას (პარაფირებას) საქართველოში დიდი სიხარული მოჰყვა, როგორც სახელისუფლო უმრავლესობის, ასევე ოპოზიციური უმცირესობის - „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატების მხრიდანაც. მართალია, საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის გზა არის ევროპის დიდი ოჯახისაკენ და არამც და არამც უკან — რუსეთისაკენ, მაგრამ ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და შემდგომი უსაფრთხოების გარანტიად ნატოსა და ევროპის დაგულება, ამ გადასახედიდან მშვენიერ ზღაპარსა ჰგავს და გრძელვადიან პერსპექტივაშიც ნაკლებად საიმედოდ მოსჩანს. ჩვენ, ევრო-ატლანტიკურ ორგანიზაციებში განევრინების მირაჟული პერსპექტივის სანაცვლოდ, უკვე მოგვინია ბევრ ჩვენს ტრადიციებსა და კულტურულ ფასეულობებზე უარის თქმა და მომავალშიც მოგვინევს. საამისოდ „კოალიციური ოცნება“ უკვე ამზადებს ცვლილებების პაკეტს სახელმწიფო კონსტიტუციაში შესატანად.

ვილნიუსის სამიტის წინ ადიგენის რაიონის სოფელ ჭელეში, ამ სოფლის საკრებულოს გადაწყვეტილებით 27 ნოემბერის ღამით აღადგინეს მინარეთი, რომლის დემონტაჟი ხელისუფლებამ ადგილობრივი მართლმადიდებელი მოსახლეობის პროტესტის შედეგად 26 აგვისტოს მოახდინა. 27 ნოემბერს ვილნიუსის სამიტისთვის აღდგენილ მინარეთს რამდენიმე დღე იცავდა ქართული პოლიციის გაძლიერებული რაზმები. ადიგენის მართლმადიდებელი მოსახლეობა და სოფელ ჭელეს მაცხოვრებლები შეურაცხყოფილად და საკუთარი ხელისუფლებისაგან დაუცველად გრძნობენ თავს. ეს მინა, სადაც ისინი ცხოვრობენ, სწორედ მუსლიმთა ისტორიული შემოსევების შედეგად ქართველთა სისხლითაა გაჟღერებული და ამიერიდან იქ ქართველ მართლმადიდებლებს მოლას ყვილიც უნდა აღვიძებდეს.

მუსლიმთა მუფთი ჯემალ პაქსადე, ივანოვილის მიერ ხელდასმული ხელისუფლებისა და პარლამენტისაგან იმედოვნებს, რომ საქართველოს კონსტიტუციაში უახლოეს მომავალში შეტანილი საჭირო ცვლილებებით დარეგისტრირდება და აღსდგება კიდევ 40 მეჩეთი ბათუმსა და დანარჩენ საქართველოშიც. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა გამოცხადებული თურქული ექსპანსია საქართველოზე ევროკავშირის ეგვიდით.

მართლმადიდებელი მრევლი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ეროვნულ - პოლიტიკური ძალები ღელავენ. ხელისუფლების ხისტი პოლიტიკის შემთხვევაში მოსალოდნელია მძაფრი დაპირისპირება; ისტორიამ ცხადჰყო, რომ ქართველი ერი კონსოლიდირებული და შეუპოვარია ისტორიულ - კულტურულ ფასეულებებისათვის (ენა, მამული, სარწმუნოება, ტრადიციები) ბრძოლაში და ცოცხალი თავით არ შეეგუება მის ხელყოფას.

პოსტ-ივანიშვილისეული ხელისუფლების ანტიეროვნული გადაწყვეტილებები, უნდა ველოდოთ სრულად მხარდაჭერილი იქნება ივანიშვილის არასამთავრობო ორგანიზაციისა და საქართველოში მოქმედი სხვა მრავალი უფლებადაცითი სექტორებისაგან. მიუხედავად ამგვარი სააფრთხეებისა, ან უკვე მარგველაშვილ-ლარიბაშვილის მარიონეტულ ხელისუფლებას, ევროკავშირის რეკომენდაციების სრულად და პუნქტობრივ შესრულებაზე მაინც უარის თქმა მოუწევს...

საქართველოში ვადაძელი საპარლამენტო არჩევნები გარდაუვალი გახდება!

**მადლობას ვუხდით ადამიანთა იმ მცირე ჯგუფს, რომლებმაც გაზეთის ფინანსური კოლაფსის მდგომარეობაში, ჯანსაღი ეროვნულ-პატრიოტული თვითშეგნება გამოავლინეს და საჭირო შემონიერებები გაიღეს ამ ნომრის გამოსაცემად (რედ.).**

# გვიზავდეთ ვინაა!!!

მარგველაშვილის პრეზიდენტად კურთხევისა და მის მიერ პრემიერ-მინისტრად ირაკლი ლარიბაშვილის უფლებამოსილების ოფიციალურად დამტკიცებისთანავე ლეონიძის ქუჩას შემოესივნენ სახელმწიფო დაცვის პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც თავისუფლების მოედნიდან ლეონიძის ქუჩის 200 მეტრიან პერიმეტრს, 24 საათიან რეჟიმში, სირენებისა და მიკროფონების გამაძლიერებელი ხრიკინით

კადრულობს ფეხით მოძრაობას, თითქმის არ გადმოდიან ძვირადღირებული და კომფორტული მანქანებიდან და არად აგდებენ მოსახლეობას, რომლებსაც მათგან ატეხილ ყურისწამლებ ხმაურში, სახლში ერთმანეთის ლაპარაკიც კი არ ესმით.

*„ყველანი ერთად გადავსახლდეთ? გვიშველეთ, ვინმემ!!!“*  
მოგვმართავს მოსახლეობა.

**ქეთევან ჭანტურია**



იკლებენ, რაც ამ ქუჩის მაცხოვრებელთა დიდ უკმაყოფილებას იწვევს; მოსახლეობას სრულად წაერთვა საკუთარ სახლებში მშვიდი ცხოვრებისა და დასვენების უფლება, ბავშვები ვერ დაუძინებიათ - კრთებიან სირენებისა და მიკროფონების ხმაზე, ვეღარც მოხუცები და ავადმყოფები იძინებენ, განსკუთრებით უჭირთ მაღალწნევიან ადამიანებს, მოსწავლეებს გაკვეთილების ათვისებაში ხელს უშლით ქუჩიდან მომდინარე ხმაური.

ლეონიძის ქუჩის მაცხოვრებელთა მხრიდან პოლიციელებთან პროტესტის გამოხატვა შედეგს ვერ იძლევა, რამეთუ თავიანთი სამინისტროს შესაბამისი სამსახურების მიერ ერთნაირად დატრენინგებული დაცვის ბიჭები, საყვედურის გამომთქმელ პირს ერთნაირი შესტით - რობოტებივით პასუხობენ: „მადლობთ, კარგად ბრძანდებოდეთ!“ და სულ ეგ არის მათი რეაქცია მაცხოვრებელთა ნუხილზე.

ზოგიერთმა მაცხოვრებელმა პირადი ინიციატივით მოკლე შეტყობინება მისწერა პრეზიდენტს მის ე.წ. გვერდზე, მაგრამ ინტერნეტში გავრცელებული „პრეზიდენტის გვერდი“ ფიქტიური აღმოჩნდა. დაცვის პოლიცია არ გადმოიღის კომფორტულ და ძვირადღირებულ მანქანებიდან და მიკროფონებითა და სირენების ნივლით აგრძელებენ მოქალაქეთა მანქანების მოძრაობის მონესრიგებას მაშინ, როცა აღნიშნული პერიმეტრი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ იმდენად მოკლეა, რომ გამაძლიერებელი მიკროფონების გარეშეც, პირადი კონტაქტითაც ადვილად შესაძლებელია ეს.

ისმება კითხვა: რა საჭიროა 24 საათიანი დაცვის მანქანების არსებობა ლეონიძის ქუჩაზე, როდესაც პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ამ ერთობლივი რეზიდენციის შენობას საკუთრივ ჰყავს გაძლიერებული მრავალრიცხოვანი დაცვა?

ავადსახსენებელი სააკაშვილის და მისი პრემიერ-მინისტრის სოლოლაკის ამ რეზიდენციაში ყოფნის პერიოდში არ არსებობდა 24 საათიანი დაცვა და მხოლოდ მისი გადაადგილების დროისთვის ხდებოდა ფეხოსანი დაცვის გამოყვანა, რომლებსაც განალაგებდნენ აღნიშნულ პერიმეტრზე და მათ მიერვე უხმაუროდ წესრიგდებოდა მოქალაქეთა მანქანების პრობლემა.

ივანიშვილის მდიდარი ხელისუფლების გაზულუქებული დაცვის სამსახური კი არ

**P.S. თუ როგორი მანია-გრანდიოზათი შეპყრობილან მილიარდელის მთავრობის მინისტრებიც კი ამაზე facebook-ით გავრცელებული 27 ნოემბრის ეს პოსტიც მეტყველებს!**



**Goga Aptciauri**  
13 საათის წინ

კარალეთიდან ინფორმაცია მოვიდა, 2 დღეა პოლიცია დღე და ღამე პატრულირებს, ქვეშის გზაზე კი მყარად ჩადგნენო. სოფელი დაპანიკდა, არიქა, ალბათ რუსები გადმოვიდნენო. ხმა სწრაფად გავრცელდა და კარალელები ძალიან შეშფოთდნენ, ფანტაზიას კი მიეცა გასაქანი, პოლიციის ჩადგომას შავი ჯიპების ხშირი გადაადგილება დაემთხვა და ლამის იყო სოფელს აყრა დაენყო. მოკლედ, სხვადასხვა წყაროებზე გადავამოწმე და ასეთი ამბავია, ფინანსთა მინისტრს ნოდარ ხაღურს, რომელიც წარმოშობით ქვეშიდანაა, ბებია გარდაცვლია. მოგეხსენებათ ჩვენი მოხელეები ჯიპებით სამსახურის შემდეგ ლამის საათებში დადიან პანაშვიდზე, ამიტომ მათი უსაფრთხოებისთვის კარალელი-ქვეშის მთელ პერიმეტრზე პატრულირება და პოლიციაა ჩაყენებული. იქნებ ხალხი მაინც გააფრთხილოთ ხოლმე, რატომ ატარებთ გაძლიერებულ ზომებს. ლამის გადაირივნენ კარალელები!

**შეცდომის ბასწორება**

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში (N38), მე-4 გვერდზე განთავსებული სტატიის - „ლიდერების“, წინათქმაში დაშვებულია შეცდომა მერაბ კოსტავას მკვლელობის მომწყობთა ვინაობის დასახელებაში, რომელშიც გივი გუმბარიძესთან ერთად მოხსენიებულ უნდა იყოს „სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ტარიელ ლორთქიფანიძე“, ნაცვლად - „უშიშროების მინისტრ ალექსი ინაურის და მისი მოადგილე ვარლამ შადურისა“.

ბოდიშს ვიხდით დაშვებული შეცდომისა და უხერხული უზუსტობისათვის (რედ.).




პოლიტიკური ნაკვეთები

რისი თქმა სურდა ზვიად გამსახურდიას ფილმ „ტენერალ დელა როვერეს შესახებ“?

გურამ პატრიკაშვილი

მწერალი, უზენაესი საბჭოს დეპუტატი



განერალი დელა როვერა

1990 წლის ზაფხული იყო, ჩვენი ბლოკი „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ არჩევნებისთვის ემზადებოდა. ბლოკის შტაბი, რომელსაც ასევე „მრგვალი მაგიდა“ ერქვა, ვიკრიბებოდათ მაჩაბლის ქუჩაზე იმ შენობაში, სადაც ადრე კომკავშირის ცეკა იყო... იმ საღამოს, შტაბის სხდომა რომ დამთავრდა და ხალხმა ნასვლა-ნამოსვლა დაიწყო, ბოლოს ათამდე კაცი დავრჩით მაგიდასთან. ვიცოდით, რომ ზვიადი სადღაც აპირებდა წასვლას და მძღოლს ელოდა. ჰოდა, მარტო ხომ არ დავტოვებდით, ორ-ორ, სამ-სამ კაციან ჯგუფებად ჩუმად ვსაუბრობდით.

ზვიადი თავის ფიქრებში იყო ჩაძირული... ბოლოს, როგორღაც მსუბუქად და კარგად ამოიხსრა, თავის ფიქრებს გაუღიმა და გვითხრა:

— ბიჭებო, ვინმეს გაქვთ ნანახი ფილმი გენერალი დელა როვერე?

ვუპასუხე: მე მაქვს ნანახი-მეთქი.

— მერე, რას იტყვი? — ზვიადმა ყურადღებიანი მზერით ჩამხედა თვალებში.

— გენიალური ფილმია — ვუთხარი მიკიბე-მოკიბვის გარეშე, ალაღად.

— ჰო, გენიალურია, — დამეთანხმა ზვიადი და ისევ ჩაფიქრდა.

ამ დროს მძღოლიც მოვიდა.

ზვიადი ადგა, გამოგვემშვიდობა და მე მითხრა:

— გურამ, გთხოვ, აუცილებლად მოუყვივი ბიჭებს გენერალ დელა როვერეს შესახებ.

— დიდი სიამოვნებით...

— აბა, შენ იცი!

ზვიადი წავიდა.

ყველას მაშინვე ვუამბე ამ საოცარ ფილმზე.

ახლა კი ვფიქრობ, უპირიანი იქნება, რომ მკითხველსაც ვუამბო გენერალი დელა როვერეს ამბავი.

რადგან, არც მანამდე და არც მას შემდეგ ზვიადს ჩვენთან კინოფილმებზე არ ულაპარაკია, შეგვიძლია მივხვდეთ, თუ რამდენად დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ამ ფილმს მის სულსა და გულზე.

ამ ფილმზე კიდევ იმიტომაც საჭირო საუბარი, რომ, თუმცა ის სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე სამყაროში მიღებულ კრიტერიუმებს შესანიშნავი ფილმებისა (ვენეციის კინოფილმების ფესტივალის უმაღლესი ჯილდო — 1959 წლის „ოქროს ლომი“, ამერიკის კინოაკადემიის 1962 წლის „ოსკარი“ — საუკეთესო ორიგინალური სცენარისათ-

ვის), მაინც შესულია შავ სიაში. ამ გამოუცხადებელ „შავ სიაში“ მსოფლიოს გავლენიან გლობალისტურ ძალებს შეჰყავთ ფილმები, რომლებიც იდეურად დაპირისპირებული არიან გლობალისტთა გეგმებთან და ხელს უწყობენ ეროვნული თუ ზნეობრივი და სულიერი ძალების მობილიზებას. და თუმცა ხშირად ეს ფილმები დიდი წარმატებით სარგებლობენ მაყურებლებშიც და პროფესიონალ კრიტიკოსებშიც, მაინც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მათი ღირსებები მიჩქმალულია, ხოლო ხშირად მათ განგებ დუმით უფლიან გვერდს.

მაგალითისთვის ამ შავ სიაში არიან: მელ გიბსონის შედევი, ფილმი-ბალადა „მამაცი გული“, მისივე შემადრწუნებლად გულწრფელი „იესო ქრისტეს ვნებანი“, ჯეიმს კამერონის „ავატარი“ და სხვა.

გლობალისტთა თავკაცებს აშინებთ, რომ შეიძლება მაყურებელი სერიოზულად და საფუძვლიანად დაფიქრდეს იმ პრობლემებზე, რომლებიც დასმულია ამ ფილმებში...

ახლა კი „გენერალ დელა როვერეზე“.

1959 წელს ინდრო მონტანელიმ დაწერა მოთხრობა, რომელიც იმავე წელს ფილმად გადაიღო იტალიური კინოს ერთერთმა კორიფემ — რობერტო როსელინიმ. ფილმში მთავარ როლს თამაშობს იტალიური ნეორეალიზმის სხვა კორიფე — ვიტორიო დე სიკა.

რაზეა ფილმი?

გრძელდება მეორე მსოფლიო ომი. იტალიელმა ხალხმა მოიშორა დუჩე — ბენიტო მუსოლინი და შექმნა გერმანელთა სანინალმდეგო მოძრაობა.

გენუაში ამ მოძრაობას ხელმძღვანელობდა გენერალი დელა როვერე. გენერალი დაიჭირეს გესტაპოელებმა და წამებისას შემოაკვდათ იგი. მაგრამ გერმანელებს ძალიან სჭირდებოდათ დელა როვერე, რათა მისი საშუალებით შეიტყონ იტალიელ პარტიზანთა ლიდერის ვინაობა. გადანყვეტენ გენერლის მაგიერ გამოიყენონ მისი ორეული.

აღმოაჩინენ კიდევ ასეთ ორეულს.

ეს არის ყოველნაირ ცოდვებში კისრამდე ჩაფლული, უსვინდისო აფერისტი ბარდონე. იგი სიამოვნებით დასთანხმდება გერმანელების წინადადებას, რომ გაითამაშოს დელა როვერეს როლი და ამით ლახვარი ჩასცეს წინააღმდეგობის მოძრაობას.

მას ჩასვამენ ციხეში, სადაც სხედან სხვა იტალიელები, მათ შორის გულანთებული პატრიოტებიც. ბარდონე უყურებს როგორ შემოჰყავთ ნანამები პატრიოტები. ხანდახან ისიც გაჰყავთ და შემოჰყავთ ვითომ ნაცემ-ნაგვემი და ვითომწანამები.

გერმანელებს ჩაფიქრებული აქვთ, რომ მსოფლიო ჟურნალისტებისა და ფოტოკორესპოდენტებისა თუ კინოოპერატორების წინაშე ცრუ დელა როვერე დაგმოს წინააღმდეგობის მოძრაობა.

ვითომ წანამები ბარდონე კი უცქერის ნამდვილად წამებულ თანამოძმეებს და მასში თანდათან იღვიძებს ის სანატრელი გრძნობა, რომელსაც სამშობლოს სიყვარული ჰქვია.

და აი, ბოლო სცენა, გერმანელებს გამოჰყავთ ცრუ გენერალი დელა როვერე. დააყენებენ კედელთან და მთელი მსოფლიოს ჟურნალისტებს სურთ აჩვენონ, რომ იგი საზიზღარი არარაობაა.

მაგრამ აქ ხდება ნამდვილი სასწაული. მთელი მსოფლიოს თვალწინ ბარდონე შესძახებს „ვივა იტალია!“ ანუ „გაუმარჯოს იტალიასო“ და მას ხვრეტენ... ხვრეტენ, როგორც ჭეშმარიტ გენერალ დელა როვერეს!

რა სურდა ზვიადს, რომ ეთქვა ამ ფილმით?

მას უყვარდა მშობელი ერი და სწამდა, რომ ყველა ქართველში ფეთქავს ნამდვილი გმირი.

ტირილი

ეს მოხდა ქალაქ ჩერნიგოვში, 1995 და 1996 წლებში. ავტობუსის გაჩერებაზე ვიჯექი. უცებ ვილაც შემეხო მხარზე. მივიხედე. ძალიან სიმპათიური, მაღალი მამაკაცი დამყურებდა.

მკითხა რუსულად:

— ქართველი ხართ?

— დიახ, — ვუპასუხე.

— ქართველები კაი ხალხია, ვიცი, — მითხრა მან და ბეჭებზე ხელი მსუბუქად მომიტათუნა.

ეს იყო და...

... უცებ ტირილი წამსკდა...

აუჰ, როგორ ვტიროდი... მსხვილ-მსხვილი ცრემლები წყვილ ნაკადად ჩამომდიოდა. თავჩალუნული მინას ჩავშტერებოდი. ვტიროდი და ხანდახან სულის მოსათქმელად ამოვიოხრებდი. თითქოს რაღაც გორგალი მინდოდა ამომეგლიჯა გულდანი და ვერ ვახერხებდი.

ერთი ამბავი მიტრიალებდა გონებაში ისევ და ისევ:

თუ კომკავშირის ხეივანთან ფერდობზე როგორ იდგა დიდი, ბანჯგვლიანი ნარკომანი და ავტომატს მესროდა. მე კი, ტყვიები რომ ამეცილებინა, ზიგზაგურად გავრბოდი თავქვე...

— იტირე, ძმაო, იტირე, — მითხრა კაცმა და მცირე დუმილის მერე დაამატა, — მამაკაცმა ხანდახან უნდა იტიროს... თორემ გული გაუსკდება...

და მეც ვტიროდი, არა მრცხვენოდა არც იმ კაცისა და არც სხვებისა, თავის ავტობუსებს რომ ელოდნენ და ხანდახან ჩემსკენ გამაპარებდნენ მზერას.

მერე ის კაცი თავის ავტობუსს წაჰყვა, მე კი რატომღაც თავისი შლაპა დამახურა თავზე.

ალბათ, ისიც დაბნეული იყო ჩემი ტირილით და იფიქრა, რომ ასე უნდა მოქცეულიყო.

მისი შლაპა დიდი მქონდა. თვალებზე ჩამომეფხატა და მე რომ სხვებს ველარა ვხედავდი, მეგონა, რომ ველარც ისინი... ვტიროდი და ვტიროდი. და თითქოს გულში ყინულის დიდი ნატეხი მიდნებოდა.

ახლა მსიამოვნებდა კიდევ ტირილი, რადგან ავტომატიან ბანჯგვლიან ნარკომანს კი აღარა ვხედავდი გონების თვალთ, არამედ უფლისციხის გადმოღმა აყვავებული ატმების დიდზე დიდ ბაღებს, რომლებზეც ერთხელ, როცა ჩემი ოლიკო პატარა იყო, მითხრა:

— მამიკო, უყურე, რამხელა ვარდისფერი ღრუბელიაო...

მინა

გმუშაობდი ქალაქ ჩერნიგოვის ტელევიზიაში. ქალაქის უფროსობამ გადანყვიტა, სასურსათო პრობლემების უკეთ გადაჭრისათვის ტელევიზიის მუშაკებისათვისაც დაერიგებინათ დროებით მფლობელობაში მიწები, რათა იქ კარტოფილი მოგვეყვანა.

და აი, ესაა ჩემი ნაკვეთი.

კარგი, ნასვენი მინაა. ხვალიდან უნდა დავიწყო მისი დამუშავება.

მინა უღალატო ვინმეა, თუ კარგად მოუვლი მასაც და იმასაც, რასაც აქ დასთეს, არ დაგამშვეს.

ეს კი ასეა, მაგრამ ამ მინასა და ჩემს დამოკიდებულებაში იყო ერთი ნიუანსი, რომელიც არ შეიძლებოდა არ მეგრძნო მე — რომანტიკოს ადამიანს:

ეს უკრაინული მინა იყო, ხოლო მე ქართველი ვიყავი. მივხვდი, რომ უნდა დავლაპარაკებოდი მინას.

დავდექი ნაკვეთის შუაგულში და ხმამაღლა მივმართე მას. აქ ალბათ მკითხავთ, მაინც რა ენაზე ელაპარაკე მინასო. გეტყვი: ქართულად ველაპარაკე.

საქმე ისაა, რომ მინის თუნდა უმცირესი ნაგლეჯი ხომ ნაწილია მთელი დედამიწისა, ჰოდა, დედამიწა რისი დედაა, რომ რომელიმე ენაზე ნათქვამი ვერ გაიგოს. მას ცალკეული სიტყვების შინაარსი კი არ ესმის, მთელი ნათქვამის აზრსა გრძნობს. გრძნობს შენს მისდამი მიმართებას, მაშინაც კი, თუკი არაფერს ეტყვი. როცა მონღოლების ან თემურ ლენგის ურდოები შემოიჭრა ქართულ მინაზე, მათ სიტყვაც რომ არ დაედრათ, ჩვენი მინა ცხენების ფლოქვთა თქარუნით მიხვედებოდა, მტერი მოდისო...

ხმამაღლა უკრაინულ მინას იმიტომ კი არ ველაპარაკე, რომ მას გაეგო უკეთ ჩემი ნათქვამი... არა, ეს მე მჭირდებოდა.

მე უნდა მცოდნოდა, თუ როგორ ურთიერთობებში შევდიოდი მასთან.

— „უკრაინულო მინავ! შენ, ალბათ, უკვე იგრძენი, რომ მე არ ვგავარ უწინდელ შენს პატრონებს. დიახ, სხვა ვარ. ქართველი ვარ. გთხოვ, ჩემი ნუ შეგეშინდება. მტერი —





← არა ვარ და შენებრ პანია ნაკვეთი კი არა, მთელი 100 ჰექტარიც რომ მაჩუქონ უკრაინული მიწისა, არ მიინდა. მე მხოლოდ ის მიინდა, რომ დროებით დამეხმარო, რა თა გამოვკვებო ცოლი და პატარა გოგონა ირინე (ამ დღეებში, გაკვეთილებს გავაცდენინებ და გაჩვენებ მას. კარგი, ხალისიანი გოგონა და შენც გაგამხიარულებს). პირობას ვდებ, რომ კარგად მოგივლი, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ პატრონს ჩაგაბარებ და სულ ტკბილი სიტყვით მოგიგონებ მთელი სიცოცხლე. ამინ!”

ადამიანები ახლომასლო სხვა ნაკვეთებზეც მუშაობდნენ.

მე რომ ჩემი მიმართვა დავამთავრე, მათაც იგრძნეს, რაღაც პანია მიწისძვრის მსგავსი და დაინახეს ჩემი ნაკვეთიდან ჰაერში ასული და უცებ დამდნარი პანია, იისფერი ღრუბელი.

იმ წელს — არავისზე ნაკლები მოსავალი არ ამიღია.

კაცის სიმაღლე რვა ვეება ტომარა გაავსო ჩემგან მოწულმა კარტოფილმა...

**ბზარი სულში**

27 თებერვალს პოეტ რატი ნინუას დაბადების დღე იყო.

რატიმ 2000 წელს მოიკლა თავი 23 წლისამ. მისი ხანმოკლე სიცოცხლის დასაწყისი და დასასრული ერის ისტორიის ორ უმნიშვნელოვანეს თარიღს ემთხვევა თითქმის ზუსტად.

ისტორიის ამ მცირე მონაკვეთზე დასაწყისში იყო 1978 წლის დიდებული 14 აპრილი, როცა მთელმა ქართველმა ერმა დაიცვა ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსი. ხოლო ეს მონაკვეთი დამთავრდა სამარცხვინო ფაქტით, როცა საქართველოს პარლამენტმა რევაზ მიშველაძისა და გურამ შარაძის თავგანწირული წინააღმდეგობის მიუხედავად პირადობის მონობიდან ამოიღო ეროვნების აღმნიშვნელი პუნქტი.

ამრიგად რატი ნინუას ცხოვრება ორ პერიოდად იყოფა:

1) ქართველი ერის 1978 წლის 14 აპრილის ჯანყიდან ეროვნული მოძრაობის გაძლიერებამდე, 9 აპრილის გმირულ მიტინგებამდე, საქართველოს სათავეში ეროვნული მთავრობის მოსვლამდე და ამ მთავრობის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე.

2) ერის დაყოფა ეროვნული მთავრობის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. ამ მოწინააღმდეგეების მიერ მოწყობილი სამხედრო გადატრიალება. ქვეყანაში ავტომატიანთა თარეში. შევარდნაძის ხრიკები, რომ ქვეყანა ერთი იმპერიის გავლენისგან გამოეყვანა და მეორის გავლენაში შეეყვანა. პარალელურად, საქართველოში ველური და პირსისხლიანი კაპიტალიზმის დამკვიდრება.

რატი პირველ გიმნაზიაში სწავლობდა, ხოლო ეროვნული მოძრაობის აზვრთება ტერიტორიულად უკავშირდებოდა მთავრობის სახლის წინ და შემდეგ თვით ამ სახლში მომხდარ მოვლენებს.


რატი ყველაფერს ხედავდა. ეროვნული მოძრაობა თავისი არსით და ამ არსის განმსაზღვრელი ორი წინამძღოლით ულამაზესი მოვლენა იყო და საოცრად თანხვდებოდა რატის მგრძობიარე გულის მიდრეკილებას რომანტიკისადმი.

მან ზვიად გამსახურდიაში და მერაბ კოსტავაში იპოვა თანამედროვე რაინდთა და გმირთა სახეები. მზურვალე ლექსებს უძღვნიდა მათ და წარმოაჩენდა იმ მთავარ თვისებას, რითაც ისინი უკავშირდებოდნენ რატის სულსაც და საქართველოს ისტორიასაც. ეს თვისება, ცხადია, ქრისტიანობა იყო.

ეროვნული ხელისუფლების დამხობისა და შემდეგ ჯერ ავტომატიანთა თარეშისა და მერე მტაცებლური კაპიტალიზმისთვის ძიძგილაობაში ერის გარე და შიგა მტრებს გაუადვილდათ ეროვნული ნიჰილიზმისა და აპათიის გავრცელება. თავი წამოჰყვეს პრაგმატიზმის ნიღბით მოსულმა გამყიდველებმა.

ამან დათრგუნა ერისთვის გულანთებული ჭაბუკი და ბზარი გაუჩინა სულში...

მოდით, ისე ვიცხოვროთ, რომ თავს აღარ იკლავდნენ რატისნაირი ბიჭები!



„ძვირფასო თანამემამულენო! როგორც ხედავთ, შავი დღე დაუდგა საქართველოს, იმპერიულმა ძალებმა და მისმა აგენტურამ საქართველოში თავს მოგვახვიეს საყოველთაო დესტაბილიზაცია. გრძელდება ხალხის მიერ არჩეული კანონიერი ხელისუფლების შეიარაღებული ძალადობით დამხობის ცდები... ამჟამად ჩვენ ვართ პარლამენტის შენობაში, რომელსაც ესვრიან ჭურვებს... მათი შეიარაღებული ძალები განლაგებულია სასტუმრო „თბილისსა“ და კავშირგაბმულობის შენობაში. იქედან გვესვრიან ჩვენც და ხშირად მშვიდობიან მოსახლეობასაც არ ერიდებიან... ტელევიზია, რადიოხაზი, კავშირგაბმულობა ბლოკირებულია. ე.წ. ოპოზიციამ პრაქტიკულად გამოიყვანა მწყობრიდან სატელეფონო კავშირები... ორჯონიკიძეებისა და ბერბიჭაშვილების შთამომავლებს სამართლიან განაჩენს გამოუტანს ქართველი ერი.

**გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“**  
*ფრაგმენტები პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიმართვიდან, 1991 წლის 24 დეკემბერი.*

## მიხეილ სააკაშვილმა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას გმირის წოდება მიანიჭა

2013 წლის 26 ოქტომბერი.

**interpressnews.ge:** „საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გენერალ მაზნიაშვილს, გრიგოლ ფერაძეს, ამბროსი ხელაიას, მიხაკო წერეთელს, ექვთიმე თაყაიშვილს, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა. აღნიშნულთან დაკავშირებით პრეზიდენტმა განცხადება სოფელ ქვემო ალვანში გააკეთა. ...

მივიღე გადაწყვეტილება, ეროვნული გმირის წოდება მივანიჭო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას – როცა არავის ახსოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა, ზვიად გამსახურდია იყო ის, ვინც იყო ამ ეროვნული ჩირაღდნის მატარებელი. ის იყო მაშინდელი საქართველოს სიმბოლო, 90-იანი წლების დასაწყისის. მივიღე გადაწყვეტილება, ეროვნული გმირის წოდება მივანიჭო მერაბ კოსტავასაც, რომელიც ზვიად გამსახურდიასთან ერთად იყო ამ იდეის მატარებელი – ის ერთი წამით არ შეტოკებულა, ერთი წამით არ დათანხმებია არანაირ თანამშრომლობას მჩაგვრელებთან”, - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.“

მიმდინარე წლის 27 დეკემბერს თბილისის საკრებულომ შეიძლება, ბოლოს და ბოლოს, აგრეთვე მიიღოს თბილისის საერთაშორისო აეროპორტისთვის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სახელის მინი-



ჭების გადაწყვეტილება, რაზეც აგერ უკვე ორი წელია მსჯელობს საკრებულო, მაგრამ ზოგიერთი დეპუტატების წინააღმდეგობის გამო გადაწყვეტილება დღემდე ვერ იქნა მიღებული. რაოდენ გასაკვირი და დასანანია, რომ კახა კუკავასა და ზაზა გაბუნიას ამ ინიციატივას საკრებულოში ყველაზე აქტიურად ეწინააღმდეგება „თვითმფრინავის ბიჭების“ ერთ-ერთი დახვრეტილი პირის გეგა კობახიძის დედა ნათელა მაჭავარიანი, მაშინ როდესაც ზვიად გამსახურდიამ, პრეზიდენტად არჩევითანავე პირველი, სწორედ „თვითმფრინავის ბიჭების“ საქმის გამოძიება დაიწყო და დისიდენტობისას არაერთი საპროტესტო წერილებიც ჰქონდა დაგზავნილი საერთაშორისო ორგანიზაციებში „თვითმფრინავის ბიჭების“ დახვრეტის გამო და დახვრეტამდე მათი შეწყალების პეტიციის ინიციატორიც, სწორედ ზვიად გამსახურდია გახლდათ!

უნდა ითქვას, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტისათვის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების მოთხოვნით დედაქალაქის საკრებულოს არასამთავრობო ორგანიზაცია „განათლებლის ეროვნულმა კავშირმა“ მიმართა (ლალი გილიგაშვილი, დავით არაბიძე), რაზეც საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ნათელა მაჭავარიანმა მათ, ჯერ კიდევ სექტემბერში წერილობით აცნობა, რომ თითქოს საკითხი გადაწყვეტილია და „ზვიად გამსახურდიას სახელობის თბილისის საერთაშორისო აეროპორტის სახელდების დადგენილების დოკუმენტის აღებას შეძლებთ სექტემბრისთვის ბოლოს ქ. თბილისის საკრებულოს საქმისწარმოების განყოფილებაში“ - დოკუმენტი 07/6715; 04/6706. თუმცა, საკითხის გადაწყვეტა ნოემბრის საკრებულოს სხდომაზეც ჩავარდა და 27 დეკემბრისთვის გადაიდო (რედ.).



# დეზნა თუ გაქცევა?

იური ბურაკაძე,  
უზენაესი საბჭოს დეპუტატი

მაღე შესრულება 22 წელი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ სამხედრო შეიარაღებული ბრძოლის და ეროვნული ხელისუფლების დამხობის, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის უბედურების, გალატაკების, პიროვნული ღირსების შელახვის დასაწყისიდან. თუ ის საბედისწერო 22 დეკემბერი 1991 წლისასეთი იყო უმრავლესობისათვის, უმცირესო-



ბამ - ბარაბა შევარდნაძის მაფიამ სიგუა-იოსელიანი-კიტოვანი-ყარყარაშვილის ბანდებმა, რევანშისტმა პარტოკრატებმა და წითელმა დირექტორებმა სრულად მიითვისეს საქართველოს ეროვნული ქონება და დღეს დიდ ბიზნესმენებად თუ პოლიტიკოსებად ევლინებიან საზოგადოებას. ამ ბანდებს ე.წ. ვარდების რევოლუციით შემდგომ ჩანაცვლა მათივე შვილების თაობა სააკაშვილი-ყვანია-ბურჯანაძის მეთაურობით. ფსევდო-დემოკრატიის ლოზუნგითა და დასავლეთის მაფიოზური სტრუქტურების მხარდაჭერით ამ „ახლებმა“ დაიწყეს „ძველების“ მოპარული ეროვნული ქონებისა თუ სესხად აღებული ათეული მილიონობით თანხის მითვისება პოტიომკინის სოფლის მსგავსი მშენებლობების შირმით.

2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებით ქართველმა ხალხმა, სრულიად საქართველომ, ბ. ივანიშვილის მეშვეობით, თითქოს დაიბრუნა ხელისუფლება, მაგრამ ამ ერთი წლის მანძილზე რაც ხდება ე.წ. კოჰაბიტაციით, არა მგონია ეს იყოს საქართველოს მოსახლეობის საარჩევნო მოთხოვნა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სააკაშვილ-მერაბიშვილ-ადეიშვილის რეპრესიული რეჟიმის მიერ წლების განმავლობაში დანერგილი ტოტალური შიშის სინდრომი განქარდა, უსამართლო დაჭერილი პატიმრები გათავისუფლდნენ, ხარვეზებით, მაგრამ საჭირო ფულადი დახმარებებით სოფლად ხვან-თესვა მაინც განხორციელდა, მაგრამ დიდი და მთავარი დაპირება - სამართლიანობის აღდგენა არ შესრულდა!

მინდა გამოვეხმაურო ფართო საზოგადოების მოთხოვნასაც სამართლიანობისა და კანონიერების შესახებ; საზოგადოება, ეროვნულ-პატრიოტული ძალები სავსებით საფუძვლიანად ითხოვენ 1991-93 წლების დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალების მეთაურების გასამართლებას, რადგან თუ ეს პრეცედენტი არ დაიგმო და სწორად არ შეფასდა, ქვეყანაში სამართალი ველარასოდეს შედგება და ყოველთვის მოწმენი გავხდებით რალაც სუროგატული ე.წ. სამართლიანობების „აღდგენისა“, რაც ჩვენს დღევანდელობაში გადაიზარდა „ქოცებისა და

ნაცების“ თანაცხოვრება-შერწყმაში, რომელიც შენიღბულია მოჩვენებითი ურთიერთდაპირისპირებით, ხოლო ამ ნიღაბს მიღმა რეალურად მიმდინარეობს ნაძარცვი ქონების ურთიერთშორის გადანაწილების ნეგატიური პროცესი.

სახელმწიფო გადატრიალების დაწყებიდან მესამე დღეს, 24 დეკემბრის დღით მე პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დავალებით გავედი მთავრობის სასახლიდან, რომელიც უკვე ხუნტის შტურმის აქტიური ეპიცენტრი იყო. მე და ჩემმა მძღოლმა, რის ვაი-ვაგლახით მივალნივთ დილარ ხაბულიანის შს სამინისტრომდე. სამინისტროს ეზო და შენობა გადაჭედოლი იყო სამხედრო ტექნიკითა და რაიონებიდან ჩამოსული ცოცხალი ძალითაც. მინისტრ ხაბულიანს ცოტა არ იყოს საყვედურიანი შენიშვნით ვკითხე: აქ ხდება სახელმწიფო გადატრიალება, თუ უზენაეს საბჭოსთან-მეთქი?! მან მიპასუხა, რომ 5 საათზე დავიდრებით უზენაეს საბჭოსკენ და სასტუმრო „თბილისი“ უნდა გავათავისუფლოთ კიტოვანის მეზობლებისგანო.

გადავწყვიტე, იქვე დავლოდებოდი ოპერაციის დაწყებას და მათთან ერთად დავერუღიყავი მეც. ამ თვითშეგნებით დავინყე აქტიურობაც, მაგრამ ჩემმა აქტიურობამ ძალიან გააღიზიანა მინისტრი ხაბულიანი და მისმა თანამზრახველებმა ჩემსკენ მომართეს რისხვა ჩემი მოცილების მიზნით, რაც ჩემმა მძღოლმაც აშკარად იგრძნო. ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ გაჩნდა საფრთხეც ჩემი ფიზიკური განადგურებისაც. მე გავხდი მოწმე იმისა, თუ როგორ განხორციელდა ვითომ გარედან შეტევა შს სამინისტროს შენობაზე, რაც მათ მიერ იყო ინსცენირებული, რომ გაემართლებინათ იქ მობილიზებული დიდძალი სამხედრო ტექნიკის კონცენტრაცია. ეს ინსცენირებული შეტევა, ვითომ მოიგერიეს და 5 საათზე



გაემართნენ რუსთაველისკენ სასტუმრო „თბილისი“ გასათავისუფლებლად. მე იძულებით დავიხრე შსს-ში. 7 საათზე „დამარცხებული“ ხაბულიანის ძალები დაბრუნდნენ დისლოკაციის ადგილას. ჩვენი ინფორმაციით სასტუმრო „თბილისი“ მაშინ 30-ამდე კიტოვანის მეზობლო იყო დაბანაკებული, ხოლო ხაბულიანის ძალები სამხედრო ტექნიკითაც და მეზობლოთა რაოდენობითაც 100-ჯერ აღემატებოდნენ მონინალმდეგეებს. მე მივხვდი, რომ სასტუმრო „თბილისთან“, ხაბულიანის მიერ მოხდა არა ბრძოლა, არამედ იარაღის გადაცემა ჩვენი მონინალმდეგეებისათვის, რაზეც მე ავტებე განგაში, რითაც მივმართე ხაბულიანთან სავარძელში მჯდარ ჩვენს დეპუტატ თემურ ქორიძეს. ქორიძემ ჩემს შემფოთებაზე ასეთი პასუხი გამცა: „მე სამხედრო საქმეში არ ვერევი!“ მისმა პასუხმა გაურკვეველი დატოვა ჩემთვის მისი იქ ყოფნის ფუნქცია. ხაბულიანის ერთ-ერთმა მოადგილემ (მისი უსაფრთხოების მიზნით ვინაობას დღესაც ვერ ვასახელებ) კონსპირაციულად გამომიყვანა შსს შენობიდან პრეზიდენტისათვის რეალური და სწორი ინფორმაციის მისატანად.

მეორე დღეს ხაბულიანი მოაბრძანეს მთავრობის სახლში ცალთვალახვეული (ვითომ, ოპოზიციონერების მიერ, რალაც სითხის შესხმით დაზარალებული). 25 და 26 დეკემბერს იყო მცდელობა მისი მხრიდან რუსთაველის პროსპექტის

გათავისუფლებისა, მაგრამ ეს იყო მცდელობა და მეტი არაფერი, რომ გადაეფარა 24 დეკემბრის პროვოკაცია და „მარცხი“.

ამასობაში ბარაბა შევარდნაძის ბანდფორმირებებმა მიიღეს დიდი ოდენობით შეიარაღება და პუტჩი კვლავ გაგრძელდა.

31 დეკემბერს, დილით დილარ ხაბულიანის ძმამ და ვაჭრობის მაშინდელმა მინისტრმა კოპალიანმა ჩემზე რევანშისა და სახელის გატეხვის მიზნით მოაწყვეს ჩემი დაჭერის ინსცენირება მთავრობის სახლში პრეზიდენტის ოთახიდან ჩემი გამოსვლისთანავე. სხვა დეტალების აღწერისაგან თავს შევიკავებ, რომ არ დავზაფრო ისედაც განამებული საზოგადოება და საზოგადოებასაც მინდა მივმართო თხოვნით, ნუ მივყავნებთ ერთმანეთს ტვივილს იარლიყების მიკერებით კონკრეტული მტკიცებულებების გარეშე!

ახლა მოკლედ, თუ რატომ და როგორ დავტოვე საქართველო;

1993 წლის 24 სექტემბერს გროზოდან სენაკში ჩამოფრინდა საქართველოს რესპუბლიკის დევნილი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და ზუგდიდში ჩასვლამდე ერთ საათში, მასთან შესახვედრად 200 ათასზე მეტი ადამიანი შეიკრიბა. შეკრებილ საზოგადოებას პრეზიდენტმა აფხაზეთის დასაცავად სრული მობილიზაციისაკენ მოუწოდა. ასევე, კანონიერი ხელისუფლების აღდგენისაკენ, ჯერ სამეგრელოსა და იმერეთში, ხოლო შემდგომ სრულიად საქართველოშიც.

შევარდნაძის ხუნტა იმდენად შეაშინა პრეზიდენტის ამ ორმა განცხადებამ და ასიათასობით ხალხის შემოკრებამ მის ირგვლივ, რომ ბატონი ზვიადის ჩამოსვლიდან სამ დღეში, 27 სექტემბერს რუსეთს ფორსირებულად ჩააბარა სოხუმი. ამ ანტისახელმწიფოებრივმა დანაშაულმა გაამყუდუნა ხუნტის გეგმები და ხალხის ერთსულოვანი ნებით დაიწყო კანონიერი ხელისუფლების აღდგენის პროცესი დასავლეთ საქართველოში. ამ სამართლებრივ და ბუნებრივ პროცესში, რომ ჩართულიყო აჭარაც, პრეზიდენტმა ასლან აბაშიძეთან 24 ოქტომბერს გაგზავნა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში გახლდით მეც. ასლან აბაშიძე ფორმალურად დათანხმდა ბატონი ზვიადის ყველა თხოვნას, მაგრამ 25-ში, ე.ი. მეორე დღეს, დილის 6 საათზე ბალტინის ჯარებმა უკვე დაიკავეს ფოთი და დაიწყო მთელი სამეგრელოს მხარის გაკონტროლება. ჩვენი დელეგაცია ჩაკეტილი აღმოვჩნდით ბათუმში. ბალტინის ჯარებმა სწრაფად მოახდინეს სამეგრელოს ოკუპაცია და ბატონ ზვიადს მოუწია სამეგრელოს მთებში გახიზვნა თავისი მეზობლებითა და დაცვიტურთ.



1994 წლის 3 იანვარს ბათუმში მივიღეთ თავზარდამცემი ინფორმაცია პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების შესახებ. ერთ კვირაში ასლან აბაშიძემ გამოგვიგზავნა ყალბი პასპორტები (სხვა გვარსახელებით) და ულტიმატუმით მოგვთხოვა აჭარის დატოვება. იძულებული გავხდით ამ პასპორტებით ზოგი გადავსულიყავით გროზნოში, ხოლო რამდენიმე კაცი ნავედით ლიტვაში, ამას ვერ დავარქმევთ გამგზავრებას...

ლიტვაში ამ ქვეყნის ეროვნული ლიდერი ბატონი ლანდბერგისი გვპირდებოდა დახმარებას ნინალმდეგობის მოძრაობის შესაქმნელად, ვინც კვლავ დაგვებრუნებინა ხელისუფლება, მაგრამ ლიტვის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად პრეზიდენტად გაყვანილ იქნა რუსეთისათვის მისაღები ბრაზაუსკასის კანდიდატურა, რომელმაც საქართველოს დევნილი ხელისუფლების წევრებს არ მოგვცა თავშესაფარი და ჩვენ იძულებული გავხდით გავმგზავრებულიყავით შორეულ ევროპაში.

დაე ქართველმა ერმა განსაჯოს, რა იყო ჩვენს მიმართ ეს, დევნა თუ გაქცევა?



# ტერმინოლოგიური შეფუთვით რაბიონალიზაციისკენ?

ტარიელ ფუტყარაძე



2013 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა "კოდექსი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ"; კოდექსი უკვე გადაუგზავნიათ ვენეციის კომისიისთვის, არადა, ამ კანონპროექტში ბევრი პრობლემური საკითხია; აქ სამს დავასახელებ:

- ამ კოდექსში შემოტანილია, ერთი მხრივ, ე.წ. რეგიონული თვითმმართველობის ელემენტები, რომლებსაც არ ითხოვს "ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", მეორე მხრივ კი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში სრულიად ზედმეტია ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლის - ე.წ. გუბერნატორის - ინსტიტუტზე მსჯელობა, რამდენადაც, რწმუნებული თუ გუბერნატორი მმართველობითი რგოლია და არა - თვითმმართველობითი;

- ამ კოდექსში ტერმინოლოგიურად შეფუთულია საქართველოს სახელმწიფოს ახალი ტიპის მონყობა - ე.წ. რეგიონული მონყობა, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას; კერძოდ, შემოთავაზებულია ე.წ. „მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანება“, რომელსაც ჰყავს თავისი წარმომადგენლობითი ორგანო - მთავრობის მიერ დანიშნული გუბერნატორი - აღმასრულებელი ხელისუფლება თავისი სტრუქტურებით. საქართველოს მხარეებში ამგვარი ე.წ. ჰიბრიდული - ადმინისტრაციული საზღვრების მქონე მმართველობით-თვითმმართველობითი რგოლის - შექმნა არის მოკლე გზა საქართველოს ე.წ. რეგიონული მონყობისაკენ. რეგიონული მონყობა კი საქართველოს არსებულ კონსტიტუციას ეწინააღმდეგება.

- ე.წ. რეგიონული გაერთიანებების ერთი ნაწილის საზღვრები ემთხვევა ბოლო 200 წელიწადში საქართველოში ჩამოსახლებული ისეთი ეთნიკური უმცირესობის ანკლავს, სადაც, საბჭოეთის ენობრივი პოლიტიკის ინერციით მოსახლეობა დღემდე ვერ ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას.

მსჯელობის დაწყებამდე, პირველ რიგში ტერმინ "ბარბარიზმის" შესახებ:

სიტყვა-ფორმა "რეგიონი" ბარბარიზმია; სრულიადაც არ არის საჭირო მისი ქართულ ენაში დამკვიდრება; აუცილებლობის შემთხვევაში ჩვენ გვაქვს შესანიშნავი ქართული სიტყვა: "მხარე"; რიგ შემთხვევაში გამოსადეგია, ასევე: "კუთხე", "ხეობა"; რაც მთავარია, დასავლეთში ფართოდ გამოყენებული ტერმინი "რეგიონი" ძირითადად გამოიყენება ადმინისტრაციული

საზღვრების არმქონე გეოგრაფიულ-ეკონომიკური ტერიტორიის აღსანიშნავად, იხ., მაგ., კავკასიის რეგიონი, შავი ზღვისპირა რეგიონი... იშვიათადაა გამოყენებული ადმინისტრაციული საზღვრების მქონე სივრცის აღსანიშნავად; ევროპაში ასეთ შემთხვევაში გვაქვს ფაქტობრივი ავტონომიური მმართველობა. ჩვენი პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილი (ოპოზიცია, პოზიცია) სწორედ მესამე მნიშვნელობით იყენებს ტერმინ "რეგიონს"; ამ ფონზე ვამბობ: არის მიზანმიმართული მცდელობა, საქართველოში შემოღებულ იქნას ე.წ. რეგიონული მმართველობა. ეჭვი მაქვს, რომ საქართველოში რეგიონალიზმის დამკვიდრების მცდელობა საქართველოს გარედანაა სტიმულირებული; მაგ., საქართველოს შესახებ ევროსაბჭოს ერთ-ერთი ოფიციალური განცხადების სათაური ასე ჟღერს: "ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატია საქართველოში" ([http://www.coe.int/t/dgap/tbilisi/news/2013\\_20\\_03\\_ge.asp](http://www.coe.int/t/dgap/tbilisi/news/2013_20_03_ge.asp)).

ფიქრობ, რომ "რეგიონული დემოკრატია" ესაჭიროება ისტორიული ავტოქთონი უმცირესობებით დასახლებულ ქვეყნებს და არა - საქართველოს, სადაც ასეთი მოსახლეობა არ ცხოვრობს; აქტიური გეოპოლიტიკური ვექტორების გზაჯვარედინზე მყოფ საქართველოში ე.წ. რეგიონული გაერთიანებების დაკანონება სახელმწიფოს დეზინტეგრაციის რისკებს გაზრდის; კერძოდ, იმ განაპირა მხარეებში, რომლებშიც სახელმწიფო ენა ვერ ფუნქციონერებს, ე.წ. რეგიონული საბჭოები შეეცდებიან, სახელმწიფო ენად დააკანონონ სხვა ენა; საქართველოს დეოკუპაციამდე ამგვარი ქმედებები ქვეყნის დეზინტეგრაციის საფრთხეებს სერიოზულად გაზრდის.

2013 წლის 22 ნოემბერს "ქორთიად მარიოტში" კანონპროექტის განხილვისას ბატონმა თ. შერგელაშვილმა განაცხადა, რომ "მუნიციპალიტეტების რეგიონული გაერთიანების" მსგავსი წარმონაქმნები ევროპაში არსებობს და იქ არავითარ რისკებს არ შეიცავს... მას შევახსენებ, რომ ევროპის ქვეყნების - ბელგიის, საფრანგეთის, ჰოლანდიის... რისკები და საუკუნოვანი გეოპოლიტიკური დაპირისპირების ველში არსებული საქართველოს რისკები ერთი და იგივეა? მით უმეტეს, დღეს საქართველოს დიდი ნაწილი ოკუპირებულია... ჩვენი მეზობლები: რუსეთი, თურქეთი, ირანი... ძალიან ძლიერი გეოპოლიტიკური მოთამაშეები არიან; თავიანთი ინტერესები აქვთ სომხებს, აზერბაიჯანლებს... ათასი სხვა პრობლემაცაა საქართველოში. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ მცირე ტერიტორიის მქონე საქართველოს ნამდვილად არ სჭირდება რეგიონული თვითმმართველობები თუ ე.წ. ჰიბრიდული მმართველობები. "თვითმმართველობების შესახებ ევროპული ქარტია" შესანიშნავი დოკუმენტია; ის ითხოვს სოფლისა და რაიონის დონეებზე რეალური თვითმმართველობების ამოქმედებას და არა - ე.წ. რეგიონულ თვითმმართველობისა თუ მმართველობის შემოღებას. თუ ჩვენ გვინდა თვითმმართველობაში დავამკვიდროთ ევროპული პრინციპები, სრულიად საკმარისია სოფლის ანუ თემისა და რაიონის თვითმმართველობები გავაძლიეროთ.

საზგასმით ვამბობ: 2013 წლის 31 ოქტომბერს მთავრობის

მიერ დამტკიცებული "თვითმმართველობის კოდექსით" შემოთავაზებული ე.წ. ჰიბრიდული რეგიონული ხელისუფლების დამკვიდრება ეწინააღმდეგება ევროპულ ქარტიას; სინამდვილეში ეს არის გზა რეგიონალიზაციისკენ... მავანი შეეცდება, ამ გზის აუცილებლობა აფხაზეთის საკითხის მოგვარების პერსპექტივით ახსნას; მათ ფიგურალურად ვუპასუხებ: არც ერთი ნორმალური ექიმი ერთი მოტეხილი კიდურის მკურნალობას არ იწყებს მეორე კიდურის მოტეხით... აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში საქართველოს გარედან ინსპირირებული კონფლიქტების მოსაგვარებლად არ არის საჭირო საქართველოს სხვა კუთხეების ავტონომიზაცია... ფაქტია ისიც, რომ ბოლო 20 წელში მიზანმიმართულად და თანამიმდევრულად ჩვენს ქვეყანას თავს ახვევენ რეგიონალიზაციას; კერძოდ, 1995 წელს შევარდნაძემ თავისი არალეგიტიმური და უკანონო მმართველობის გასაძლიერებლად არაკანონიერად შემოიღო არაკონსტიტუციური სამხარეო მმართველობითი რგოლი - პრეზიდენტის რწმუნებული, რომელიც დააკანონა 1997 წელს. პრეზიდენტმა სააკაშვილმა უფრო გააძლიერა სამხარეო მმართველობითი რგოლი, ამჟამინდელი ხელისუფლება კი ამ კოდექსით ცდილობს, მას დაუმატოს თვითმმართველობითი კომპონენტი - მუნიციპალიტეტებში არჩეული დეპუტატების მიერ შექმნილი რეგიონული საბჭო, რომელსაც გარკვეულწილად უქვემდებარებს გუბერნატორს-ცენტრალური ხელისუფლების მიერ დანიშნულ თანამდებობის პირს; ვფიქრობ, იქმნება მუდმივი წინააღმდეგობის შემცველი ე.წ. ჰიბრიდული მმართველობა, რომელიც მეტად სახიფათოა საქართველოს იმ კუთხეებში, სადაც სახელმწიფო ენა არ ფუნქციონერებს და იქაც, სადაც ძლიერია მეზობელი ქვეყნების გავლენა თუ ზეწოლა.

საზგასმით ვამბობ: "მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანებების" დამკვიდრებით ტერმინოლოგიური შეფუთვით მკვიდრდება ფაქტობრივი რეგიონული მონყობა თვითმმართველობის ელემენტებით! გეოპოლიტიკური დაპირისპირების ეპიცენტრში არსებული და ოკუპირებული საქართველოსთვის ეს ძალიან სახიფათოა! შესაბამისად, აუცილებელია, ეს კანონპროექტი ფართო განხილვის საგნად იქცეს. უნდა აღნიშნოს, რომ კანონში დადებითი მომენტებიც არის, მაგრამ ამის გამო სახიფათო რისკებს თვალი არ უნდა ავარიდოთ.

აქვე, არსებითა, "თვითმმართველობის კოდექსი" განვიხილოთ "რეგიონული ენების შესახებ ევროპული ქარტიისა" და მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული ანტიქართული რუკების კონტექსტშიც:

ვიდრე ამ თემას გავშლიდეთ, აღვნიშნავ, რომ "კოდექსის" ბოლო ვარიანტიდან ამოღებულია მუხლი, რომელიც აკანონებს, რომ ადგილობრივ თვითმმართველობაში საქმისწარმოების ენა უნდა იყოს სახელმწიფო ენა. წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები ლოგიკური არ არის... ვფიქრობ, რომ იმ რაიონებში, რომლებშიც მოსახლეობა ვერ ფლობს სახელმწიფო ენას, არსებული პრობლემები მომავალში უფრო გართულდება; მითუმეტეს, სომხეთისა თუ რუსეთის

**გაგრძელება გვ. 8**



**დასაწყისი გვ. 7** ხელისუფლებები დღენიდაგ ითხოვენ, ასეთ პირობებში დაკანონდეს ე.წ. რეგიონული ენები “ევროპული ქარტიის” პრინციპების შესაბამისად. არ მოვერიდები კატეგორიულობას და ვიტყვი:

საქართველოს დეოკუპაციამდე და საქართველოს ყველა მხარეში სახელმწიფო ენის ფუნქციონირების აღდგენამდე საქართველომ რატიფიკაცია არ უნდა გაუკეთოს “რეგიონული ენების შესახებ ევროპულ ქარტიას”; გარდა ამისა, რეგიონული ენებისა და რეგიონული თვითმმართველობების დამკვიდრების მცდელობა რომ გარკვეულნილად ერთმანეთს მოიცავს, ბრმისთვისაც კი ნათელია, რამდენადაც ნებისმიერი თვითმმართველობითი თუ მმართველობითი ორგანოს სტრუქტურები რომელიდაც ენაზე ფუნქციონირებენ და ეს განსაზღვრული უნდა იყოს შესაბამის საკანონმდებლო აქტებში. ჩემი აზრით, თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია და რეგიონული ენების ქარტია, ადამიანთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ერთი ფურცლის ორი გვერდია. ეს თუ ვინმე არ იცის, მისი პრობლემაა. აქვე აღვნიშნავ, რომ დასახელებული ორივე კანონი დიდებული დოკუმენტია, მაგრამ რატომღაც ჩვენთან მიზანმიმართულად ხდება ამ ქარტიების არსის დამახინჯება და არასწორი ინტერპრეტაციების თავსმოხვევა.

რაც შეეხება ანტიქართულ რუკებს - ისინი შექმნილია საქართველოს წინააღმდეგ საინფორმაციო ომის პროცესში და ისინი მსოფლიოს აგუებენ საქართველოს დანაწევრებას;

მღრ.:



ინგლისურენოვანი რუკა:



თურქულენოვანი რუკა:

**P.S.** როგორც საპარლამენტო უმრავლესობაში, ასევე, უმცირესობაში “კოდექსს” მომხრეებიც ჰყავს და მონინალმდეგეებიც; ცოტათი მამშვიდებს ის, რომ საპარლამენტო უმრავლესობაში მყოფთა ნაწილი თვლის, რომ “კოდექსის” მე-7 კარი /“მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანების” შესახებ/სახელმწიფოს დეზინტეგრაციის რისკებს შეიცავს... არ გამოვრიცხავ, წარმოდგენილი “კოდექსის” განხილვა გახდეს საფუძველი პოლიტიკურ სპექტრში ახალი კონფიგურაციით მკაფიოდ გაიმიჯნონ ნეო- თუ ფსევდოლიბერალურად და ეროვნულ-სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსები.

იმედი მაქვს, პარლამენტის შესაბამის კომიტეტში მოენყოფა ფართო განხილვა, შედგება კონსენსუსი და “თვითმმართველობის კოდექსიდან” ამოღებულ იქნება მუხლები, რომლებიც ითვალისწინებს ე.წ. რეგიონული საბჭოების შექმნას.

**რატომ ვერ დგება ფხზე ქართული ეკონომიკა?**

გუშინინი მეგობარი ვნახე, ძალიან ნიჭიერი ბიჭია, წლების განმავლობაში მუშაობდა უკრაინაში ერთ-ერთი დიდი სანარმოს აღმასრულებელ დირექტორად. თბილისში ჩამოსვლისას ხშირად გვისაუბრია, მათ შორის საქართველოს ეკონომიკაზეც. სულ ერთი საკითხის გარშემო სწუხს და მიტრიალებს, რატომ არის დარღვეული საქართველოს სავაჭრო ბალანსი (- 5 465 მლნ აშშ დოლარი. თანაფარდობა შემოტანილ და გატანილ საქონელსა და მომსახურებას შორის). “ქვეყანა თითქმის არაფერს აწარმოებს; რა დარგიც არ უნდა აიღო, სოფლის მეურნეობა (რძე, ხორცი...), მრეწველობა (ტანსაცმელი, საკვები, მანქანა-დანადგარები...)” ჩემი პასუხი ძირითადად პოლიტიკური მიზეზებით და საქართველოს ადგილმდებარეობით შემოიფარგლებოდა, თუმცა მეც ეკონომისტი ვარ. ბოლოს ნამეტანი დამჩაგრა, ამიტომ ახლა შევეცდები სხვა მიზეზთა შორის გამოვყო ერთი, ჩემი აზრით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ვუპასუხო.

გადავდოთ გვერდით საქართველოსგან დამოუკიდებელი მიზეზები: საბჭოთა კავშირის ურთიერთგადახლართული ცრუ-სავაჭრო ურთიერთობები, რუსეთის ბაზრის მნიშვნელობა, რუსეთის ეკონომიკური ემბარგო... და გადავხედოთ ქართულ საზოგადოებას. ეკონომიკა, ისევე როგორც პოლიტიკა, არის საზოგადოებრივი მეცნიერება და თუ არა გამოთვლითი მიდგომები (სტატისტიკა, ფინანსური ანალიზი...) გაპირობებულია ადამიანის აზროვნების, შრომის, შემოქმედების უნარებით, ნებსებით... ეკონომიკა (წარმოება, სანარმოო ურთიერთობები) პოლიტიკაზე უფრო მეტადაც გამომხატავს ადამიანის რაობას, მსოფლმხედველობას, გარემოს აღქმას... რადგან არსებითად უფრო პირველადია, საჭიროებიდან გამომდინარე (საკვები, თავშესაფარი...)

ქართული ეკონომიკის დაცემის და ვეღარ გამართვის ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც ქართველი კაცის შეხედულებებში, აზროვნებაშია საძიებელი. საძიებელიც არაფერია, რადგან ყველაფერი ზედამიწეზე მოსწონს, თანამედროვე ქართველი საკუთარ ღირსებას საკუთარ ნაწარმოებთან (ნაწარმთან) არ აიგივებს. ციტყვით, ზოგადად საბჭოთა ადამიანი, მაგრამ რადგან ქართველი თავს დებს ღირსების განსაკუთრებით ფაქიზ შეგრძნებაზე ეთნიკური განსაზღვრება გამოიყენოთ) მაგალითად, დედას თუ შვიკინებ, ხალხში შეარცხვენი შეიძლება დიციცხლეს გამოგასაღმოს, მაგრამ თავის გვარს და სახელს დაანერს ღიმილს, ძეხვს, ღვინოს, არაყს და შხამად შეგარგებს... არც ხილია, არც ხორცია, არც ყურძენია. ქართული ეკონომიკა “ჩემი ორი შვილი მენახოს კუბოში, თუ დღეს მონველილი რძით არ არის ამოყვანილი” აზროვნებაში ბრუნავს, და ყველი მაინც მოხდინია, სხვა ნაჭრებით არის ჩაკერებული... ავილოთ მომსახურება, მიმტანის, ხელოსნის... ღირსება ცალკეა, ხოლო მომსახურება ცალკე. სანამ შევეყვას მისცემ ვერ დამცირების გრძობა უნდა გადალახინო, რომელიც გამწვავებული აქვს, რადგან გემსახურება და უკვე მერე უნდა დააბარო, შეუკვეთო რაც გინდა, რატომ და ა.შ. ქართველი მწარმოებელი (საქონლის თუ მომსახურების) დამცირებულია, რადგან “რა ვალდებულია მწარმოის იმუშაოს, აწარმოოს?” ამიტომ ურჩევნიათ ქართველებს უცხოეთში მუშაობა, სადაც მეტია ანაზღაურება და შრომა ნაკლებად სამარცხვინო; სხვა ქართველი არ გიყურებს! [თუ შეიძლება ეკონომიკა იყოს ეროვნული, მაშინ ასეთია ქართული ეკონომიკის ეროვნული გაგება, ნიშანი]. მსავსის აზროვნება წარსულია და დღეს დამღუსტველი.

ქ.ლონდონში თუ ალმონდები ქუჩაში გასვლისთანავე მიხვდები, სად დაიბადა საბაზრო ეკონომიკა [კაპიტალიზმი], სად გაიზარდა და ალბათ სად დაიღუპება ყველაზე ბოლოს. პარკში გაივიღე დგას ძველი, მდიდრულად ნაკეთები სკამი და აწერია რომელიღაც ღორის (სქირის) სახელი, რომელმაც სკამი უსასსოვრა ბრიტანული საზოგადოებას. სახელი იმ პიროვნების, რომელმაც უბრალო სკამთან გააიგივა მისი ღირსება... მაგალითად, დიდი ხანი არ არის გასული, რაც ტოლტამ ასიათასობით მანქანა შეუცვალა მესაკუთრეებს, სატერფლის მწარმოებლის მიზეზით შესაძლო გაუმართავობის გამო... რადგან მანქანა კიბორჩოლ ტოლტამს სახელს ატარებს და მისი (შთამომავლების) ღირსების ე.ი სიმდიდრის საფუძველია საზოგადოების ე.ი. მომხმარებლის ნდობა. ქართველი მწარმომწარმოის ასეთი რამ გაუგებარია, რადგან საქართველოში მოსახლეობა (ე.ი. მომხმარებელი) და მდიდარი (ე.ი. მწარმოებელი) მტრები არიან. [რადგან ნდობაზე ვთქვით, მტრობის ერთ-ერთი სახეობა არის კრედიტიც. სიტყვა კრედიტი მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან ჩრედო - ნდობა (იგივე ცხოვრების აზრი, რწმენა) რადგან საკრედიტო ურთიერთობები დგას მსესხებლისა და გამსესხებლის ურთიერთნდობაზე. საქართველოში პირიქით, მსესხებელი საკუთარი სიცოცხლის გარდა ყველაფერს აგირავებს, რომ ძალიან მაღალ პროცენტში მიიღოს ფული, რომლის დაბრუნების იმედი გამსესხებელს იმთავითვე არ გააჩნია.]

ქართული საზოგადოების ამ მდგომარეობის მიზეზი არ არის მარტივი. ბრიტანეთში, იაპონიაში... “არისტოკრატის პრინციპი” კაპიტალიზმმა მემკვიდრეობით მიიღო. თუ კ.მარქსის სახელდება გამოიყენებთ, ფეოდალიზმი, სადაც ღირსება იყო უპირველესი განმსაზღვრელი თავისთავად (“ბურჟუაზიული რევოლუციებით”) გადაიზარდა კაპიტალიზმში. საქართველოში, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. 1801 წელს რუსეთმა დაიწყო ქართული სამეფო-სამთავროების გაუქმება და ქართულმა თავად-აზნაურობამ ისე მიიღო 1921 წლამდე, რომ მენარმეობის არც პირობები, არც შესაძლებლობა და არც დიდი სურვილი არასდროს ჰქონია. ილია ჭავჭავაძის დამსახურებაც იმაშია, რომ ცდილობდა ახალი (კაპიტალისტური) სანარმოო ურთიერთობები საქართველოში შემოკვირებოდა და ეცნო, რომ ეროვნული განხეთქილებით (გლეხებს და თავადებს, მდიდრებს და ღარიბებს შორის) სოციალ-დემოკრატებს არ ესარგებლათ და ქვეყანა არ დაექციათ, ამიტომ შექმნა საადგილმამულო ბანკი და ამიტომ მოკლეს სწორედ სოციალ-დემოკრატებმა.

სტალინიზმმა კომუნიზმმა ქართველი კაცის სანარმოო უნარები ჩანასახშივე ჩაკლა; მდიდარი მტრად და ბოროტმოქმედად გამოაცხადა. ი.სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლება ადამიანებს ხვრეტდა, ასახლებდა ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით. ახლა საქართველო შედგება. ჩვენთან სიმდიდრის მიმართ არის ყაჩაღური დამოკიდებულება, როგორც მდიდრის ისე ღარიბის მხრიდან. ქვეყანა ცხოვრობს პრინციპით “ქურდის ქურდი ცხონდაო!” ღიმილს და მამამზადებელი სითხეს აყალბებს და მყიდველი სხვა სიყალბით მიღებული ფულით უსწორდება. მოჯადოებული წრე შეკრულია. იგივეა უცხოელი ინვესტორების მიმართ (რალა საკავშირო მომარაგება და რალა უცხოელი ინვესტორი?! კარგი დახვედრა, კარგი გაცილება და შეუსრულებელი პირობები, ჩაშლილი საქმიანი შესაძლებლობა).

იგივეა საგარეო ვაჭრობაშიც, უცხოელი არ მოტყუვდება (მით უფრო ევროპელი), ამიტომ შენი ყალბი ნაწარმიც არ უნდა. მეგობარი, რომელზეც ზემოთ ვთხარით, საუბარში ამჯობინებდა დამცავი ეკონომიკური პოლიტიკის შემოღებას (პროტექციონიზმს) და მაგალითად მოჰყავდა თურქეთი, რომელიც საკმაოდ მაღალ საბაჟო გადასახადებს აწესებს სოფლის მეურნეობის იმ ნაწარმზე, რომელსაც თვითონ აწარმოებს; მაგრამ მე ამ პოლიტიკას არსებითად არ ვიზიარებ, რადგან ამაში არ არის თურქეთის წარმატების საწინდარი, პირიქით უხარისხო საქონლის დაცვა სხვა ქვეყნის ნაწარმისგან ბევრ სხვა უარყოფით შედეგთან ერთად ხარისხს კიდევ უფრო აკნინებს, ხოლო ტყუილის და უღირსობის შესაძლებლობას ზრდის (არ ვარგა და მაინც უნდა შეიძინო). რაშიც ვეთანხმები არის სახელმწიფოს ზრუნვა სწორედ საქონლის ხარისხზე. ფიტო-სანიტარული სამსახურების გაძლიერება და იმ მონოპოლიებთან ბრძოლა, რომლებიც მაგალითად გაყინული ხორცის მფარველობით კმავე ადგილობრივ მეცხოველეობას.

სანამ ქართველი საკუთარ ნაწარმოებთან (ნაწარმთან) არ გააიგივებს საკუთარ ღირსებას ცუდი ღიმილსთან დამზადება, ადამიანის ცუდად მომსახურება... კაცისთვის დედას გინებაზე საზარელი არ იქნება, ქართული ეკონომიკა ვეზზე ვერ წამოდგება და დედა პირდაპირი მნიშვნელობით გვეყოლება შეურაცხყოფილი (თურქულ, არაბულ თუ სხვა ბორდებში, რომლებსაც ამას წინათ დიდი მონდომებით არბევდნენ ქართველი ღირსებადმცველები, თუმცა სადაც ხელი მიუწვდებოდათ). მთლიანად სახელმწიფო კი იქნება რუსეთის წინაშე დაჩოქილი უხარისხო საქონლის ბაზრის გახსნის მოლოდინში.

დავით ჩხეიძე



# გაზეთ „НАРОДНАЯ ПРАВДА“ - ში გამოქვეყნებულ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ინტერვიუს გამო

სანკტ-პეტერბურგის გაზეთი „Народная правда“-ში 1992 წლის ოქტომბერში ერთმანეთის გვერდი-გვერდ დაიბეჭდა ზვიად გამსახურდიასა და ჯოხარ დუდაევის ინტერვიუები. ზვიად გამსახურდიას ინტერვიუ 1992 წლის 6 დეკემბერს ქართულად გამოთარგმნილი დაბეჭდა იმ დროს, ჯერ კიდევ სოხუმში ომის მდგომარეობაში გამომავალმა ეროვნულმა გაზეთმა „აღდგომა“ (N29). ვინაიდან, აღნიშნული ეროვნული გაზეთი სოხუმში ომის მძვინვარების პერიოდში გამოიცემოდა, გამომცემლების უსაფრთხოების მიზნით გაზეთზე გამომცემლების კონკრეტული ვინაობის ნაცვლად მითითებული იყო „სარედაქციო კოლეგია“, რეალურად კი მას წარმოადგენდნენ გიორგი სიჭინავა, მურმან ზაქარაია, ნონა ქობალია... სავარაუდოდ, რუსულენოვანი ინტერვიუს თარგმანი, სწორედ ნონა ქობალიას უნდა ეკუთვნოდეს. დასახელებული პიროვნებების მიმართ, ცხადია, მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის; 1992 წლის 6 დეკემბერი, კალენდრის მიხედვით არასამუშაო - კვირა დღეა, რაც მეტყველებს რედაქციის მესვეურთა პატრიოტულ დღის რეჟიმზეც. თუმცა, „აღდგომის“ ეს თავდადებული მუშაკები, ალბათ მაშინ ვერც იფიქრებდნენ, რომ 18 წლის შემდგომ გამოჩნდებოდნენ არაკეთილსინდისიერი, რუსეთზე პოლიტიკაში ინტერესები, რომლებიც თავისი მიზნებისამებრ დაჩეხავდნენ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ამ ინტერვიუს და მოახერხებდნენ, თანამედროვე საზოგადოებისათვის ზვიად გამსახურდიას რუსეთის მოკავშირე ლიდერად წარმოჩენას...

ჩვენ დიდი ჯაფა დაგვჭირდა მოგვეპოვებინა ამ ინტერვიუს რუსული ორიგინალი, რისთვისაც სანკტ-პეტერბურგში ჩასვლა გახდა საჭირო. თავდაპირველად, პრობლემის იოლად მოგვარების მიზნით, დახმარება ვთხოვეთ ჩვენს facebook-ელ ახალგაზრდა მეგობარს ირინა წერეთელს, რომლის ბაბუა და მშობლები მოსკოვში ცხოვრობენ, ხოლო თავად ირინა ლონდონის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტია და ერთ-ერთ კლინიკაში სტაჟიორადაც მუშაობს. ირინა ოპერატიულად შეეცადა ჩვენს დახმარებას ბაბუის ნაცნობი ქართველების მეშვეობით, თუმცა ეს, არც ისე მარტივი აღმოჩნდა და დროში გაიწელა. საკითხზე სასაუბროდ ვიხმე უზენაესი საბჭოს დეპუტატი და მხატვარი ნუგზარ მაგლობლიშვილი, რათა მას თავისი რუსი კოლეგები გამოეყენებინა გაზეთის მოსაპოვებლად. ბედად აღმოჩნდა, რომ ნუგზარ მაგლობლიშვილს თავად ჰქონდა ხელთ თვითმფრინავის ბილეთი, სწორედ პეტერბურგში რამდენიმე დღეში გასამგზავრებლად „non-konformist“ მხატვართა გამოფენაზე, სადაც საკუთარ ნახატებთან ერთად სხვა რამდენიმე ქართველი მხატვრის ნამუშევრებიც მიჰქონდა.

იმის გამო, რომ გაზეთი „Народная правда“ -ს გამოცემა ათწელზე მეტი წლის წინ შეწყვეტილია, მაგლობლიშვილს, რედაქციის ყოფილ მენეჯერს პირდაპირ სანკტ-პეტერბურგის ცენტრალური ბიბლიოთეკისკენ აუღია გეზი. ბიბლიოთეკაში მას გაზეთის ქსეროასლიც გადაუღეს, CD-დისკზეც გადაუტანეს და მონაპოვარი ნუგზარ მაგლობლიშვილმა რუდუნებით ჩამოიტანა საქართველოში. ერთ კვირაში ჩვენი უმცროსი მეგობრის ირინა წერეთლისგანაც მივიღეთ Skype-ით გადმოგზავნილი შეპირებული გაზეთის ის გვერდი, რომელზეც განთავსებულია ზვიადის ეს სადაო ინტერვიუ, რისთვისაც მასაც დიდ მადლობას ვუხდით.

„Народная правда“-ში კავკასიელი პრეზიდენტების ზვიად გამსახურდიასა და ჯოხარ დუდაევის ინტერვიუები მესამე გვერდზე ერთმანეთის მიბრუნითაა დაბეჭდილი და იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი გაზეთის უშველებელი ფორმატის მთელი ერთი

გვერდი უკავია კავკასიელი პრეზიდენტების დიდი ფოტოებითურთ. გაზეთი „აღდგომაში“, რედკოლეგიის შეპირების მიუხედავად ჯოხარ დუდაევის ინტერვიუ შემდგომ ნომრებში არ გამოქვეყნებულა, რაშიც მათ, ვფიქრობთ ომის ესკალაციამ შეუშალათ ხელი. რადგან „Народная правда“-ს მოპოვება შეეძელით პრეზიდენტ დუდაევის ინტერვიუ ჩვენ თავად ვთარგმნეთ და მას ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

გაზეთ „აღდგომაში“ კი პრეზიდენტ



ზვიად გამსახურდიას ინტერვიუ 1 და მე-2 გვერდის ნაწილია განთავსებული, მაგრამ კორესპონდენტისა და მთარგმნელის ვინაობისა და ინტერვიუს ჩანერის ადგილის მითითების გარეშე, რაც ინტერვიუების ანონიმურობის შთაბეჭდილებას წარმოშობს. ჩვენ, რასაკვირველია, დასაზუსტებლად დავეუკავშირდით გამომცემლებს ბატონ მურმან ზაქარაიასა და გიორგი სიჭინავას, მაგრამ მათგან ვერაფერი შევიტყვეთ; აუხსნელობის მიზეზად მათ მასალის ხანდაზმულობა დაასახელეს, არ გვახსოვსო! გაზეთი „Народная правда“-ს მოპოვება კი ამ მხრივაც ფასდაუდებელი საგანძური აღმოჩნდა, რითაც ამ საინფორმაციო ვაკუუმის შევსების საშუალებაც მოგვეცა, რამეთუ, ინტერვიუების, კერძოდ კი პრეზიდენტ დუდაევის ინტერვიუს ბოლოში, რედაქციის მინანერის შემდგომ, გამყოფი ხაზის ქვემოთ წერია: „გვერდის მასალები მომზადებულია ჩვენი სპეციალური კორესპონდენტების ე. ბელიაევის და ს. ივანოვის მიერ. ს.პეტერბურგი - მინერალური წყლები - გროზო.“

ჩვენი გამოკვლევით პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას „Народная правда“-სთვის გროზოში მიცემული ინტერვიუს ქართულ გაზეთში გამოქვეყნების პირველწყაროა გაზეთი „აღდგომა“, საიდანაც იგი გადაბეჭდეს და ინტერნეტსივრცეშიც დღემდე ვრცელდება სხვადასხვა საიტებსა თუ პორტალებზე. ერთი ასეთი ყველაზე პოპულარული და აქტიური საიტი იყო <http://mamuli.net/sinatle>, რომლის შემქმნელები გახლდათ 1992 წლის შემდგომ ემიგრაციაში

ნასული პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებისა თუ ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები: ბესარიონ გუგუშვილი, იოსებ ლუდუშაური, თამაზ ალვანელი, დაჩი კვარაცხელია (-ქართველი) და სხვ. რომლებმაც ამ საიტზე ზვიად გამსახურდიას ხსენებული ინტერვიუ დადეს სულ სხვა, საკუთრივ ინტერპრეტირებული სათაურით: „ინტერვიუ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან: სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში“. ხსენებულმა პირებმა არ მიუთითეს, აგრეთვე ინტერვიუს ქართული პირველწყარო. პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე განთავსებულ ამ ინტერვიუს, წყაროდ მითითებული კი აქვს გაზეთი „აღდგომა“, მაგრამ სხვა ნომრით, ანუ, გაზეთის N29-ის ნაცვლად მითითებული აქვთ N20 და თავად ინტერვიუც ისევეა დაჩეხილ-გაყალბებული, როგორც ზემოხსენებულ და სხვა ინტერნეტ-საიტებზე, ანუ განთავსებული ინტერვიუ რეალურად არსად არ წარმოადგენს გაზეთ „აღდგომის“ ასლს.

ამ კონტექსტში ნიშანდობლივად უნდა მივიჩნიოთ, რომ პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკაში უკვე ვეღარ მოიძიებთ 90-იანი წლების დასაწყისის პრესას სრულყოფილი სახით, არამედ ოპოზიციის გამონათქვამები, განცხადებები და ქმედებანი ფოტო-მასალებითურთ, თითქმის ყველა გაზეთიდან ბრიტითაა ამოჭრილი. ჩვენი აღმოჩენით, ეს პროცესი მაშინდელ საჯარო ბიბლიოთეკაში დაიწყო 1995 წლიდან და ალბათ დასრულდა მისი სრული განადგურების დროს. ამ სალიკვიდაციო საქმიანობით კი დაინტერესებული და დაკავებული პირები, უთუოდ ისინი იყვნენ, ვინც სიტყვით თუ საქმით აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დამხობაში და ან უკვე აღარ აწყობდათ მათი საქმიანობის მამხილებელი პუბლიკაციების პრესაში არსებობა.

არ არის გამორიცხული პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას „აღდგომაში“ „Народная правда“-დან გადმოთარგმნილი ინტერვიუს ამგვარად დაჩეხვის პირველი შემოქმედის, სწორედ ეროვნული (საჯარო) ბიბლიოთეკა გამხდარიყო. მაშ, რატომ უნდა დაედო პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას მაინც თავის საიტზე პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ინტერვიუს სწორედ ეს დაჩეხილი ვარიანტი ისე, რომ არც მიუთითა ამის შესახებ? თანაც, არასწორად მიუთითა (გააყალბა) გაზეთი „აღდგომის“ ნომერიც (N29-ის ნაცვლად მიუთითა N20)? ამ ბიბლიოთეკას მაინც ხომ გააჩნდა თავის პერიოდიკაში (ფონდშიც) გაზეთი „აღდგომა“ და შესაბამისად, გაზეთის



ის ნომერიც, რომელშიც ზვიადის ეს ინტერვიუ სრული სახითაა დაბეჭდილი?

იხ. ეროვნული ბიბლიოთეკის საიტი: <http://www.nplg.gov.ge/gsd1>

რუსი ჟურნალისტის კითხვის ნაწილი - „რით ვერ დაიმსახურა თქვენმა ხელისუფლებამ დასავლეთის კეთილგანწყობა?“ - პრეზიდენტ გამსახურდიას პასუხის მეორე აზრის ბოლოდან ამოღებულია ე. შევარდნაძე და ის მონაკვეთი ასეა ფორმულირებული: „...ეს იქცა ერთ-ერთ მიზეზად სამხედრო


**გაგრძელება გვ. 12**



ლიტერატურული ბზერდი

# ჯგუფ „ზღვარის“ პოეზია

შემოქმედებითი ჯგუფი „ზღვარი“ დაარსდა 1999 წლის შვიდმაისს ქალაქთბილისში. მისი წევრებია: კახაბაციკაძე, გიორგი ზუხბაია, სერგი ლომაძე, ვასო ლომაძე. პოეტური ჯგუფი „ზღვარი“ ერთ-ერთ რჩეულ ჯგუფად მიიჩნევა თანამედროვე ქართულ მწერლობაში.



სარგი ლომაძე

### ფერთა წიგნი

მთელი სამყარო წიგნია ფერთა, -  
სამყაროები, უსასრულობა  
და პოეტური ფერებით ვხატავ  
შავ-თეთრს და ფერადს,  
სიკვდილს, სიცოცხლეს,  
და მასაც, რაიც  
არ ვიცი ჯერეთ,  
მხოლოდღა გრძნობის სიმები სწერენ  
მთელი სამყარო ფერთა წიგნია, -  
სწორედ ფერები ამბობენ სათქმელს  
(პოეტურობას იტყვენ რადგან),  
ლაპარაკობენ სხვადასხვა ენით,  
ლაპარაკობენ სხვადასხვა სიტყვებს,  
შენ ხსნი ზოგ რამეს,  
და რასაც არ ხსნი,  
რასაც არ ამბობ,  
ცახცახით ითმენ  
მთელი სამყარო თეთრი წიგნია,  
მაგრამ ეს თეთრი არის ფერადი;  
და დაგლეჯილი ნერვებით აღწერ,  
და განწირული გონებით აღწერ  
შავ-თეთრს, ვით ფერადს;  
ფერადს, ვით შავ-თეთრს.  
ორივე ერთია, ორივე სხვაა:  
ფერი, სამყარო;  
მე და შენ  
ცაა  
უძიროდ ლურჯი და ძველისძველი.  
ჩავარდა სულში  
მზის თეთრი ბურთი,  
ვინვი, მშველელი არავინ არი  
ფერადი წიგნი მიჭირავს ხელში  
დიდი ხანია,  
რაც მე ვარ მკვდარი  
ბევრი რამ ითქვა, მაგრამ უთქმელი, ჯერ,  
კიდევ უფრო ბევრი რამ არი...

### სიყვარულისთვის

*ეს ლექსი შთამაგონა  
კარმელის ძველმა ლექსმა-შედეგმა...  
სერგი.*

ისევ ანათებს ციდან  
სემირამიდას ბალი,  
გული - კვლავ ერთი ციდა,  
კვლავ მთისოდენა - დალი.  
ისევე გხედავ სიზმრად,  
თეთრი ნისლეებით დაღლილს,  
და მე მიყვარხარ წვიმავ -  
ქალო, ბავშვური სახის.  
მე ვგავარ ვაჟას არწივს:  
ვკვდები, თუმც ომი კვლავ მსურს...  
ველარ მომისწრებ, დაჭრილს...  
შენ - მარადიულ ქალწულს  
მე მაინც გხედავ სიზმრად,  
გხედავ ფიქრით და განცდით,  
და გულში დაჭრილ პოეტს  
შინდისფერ ღვინოს მანვდი.  
ასეა - გხედავ სიზმრად,  
თეთრი ნისლეებით დაღლილს,  
და მე მიყვარხარ წვიმავ -  
ქალო, ღვთისმშობლის სახის...



კახა ბაციკაძე


### პოეზიის ზეცა

ცაში აფრინდა ჩიტების გუნდი  
და შორეული ცა გადასერა;  
ვიღაცა ისევ სიყვარულს უცდის,  
ვიღაცა ისევ ზღაპრების სჯერა.  
წვეთავს ბროლის ხმად მკვდარი  
ცრემლები,  
გაღებულია კარი არყოფნის,  
ჩემგან რა დარჩა, მე ვიფერფლები,  
მაგრამ ვიღაცას ესეც არ ყოფნის.

ო, უსასრულო სულის ტკივილო,  
შენ რომ არ იყო, რა მეშველება, -  
როგორ ვიგრძნობდი, რომ არსებულა  
ამ პლანეტაზე ბედნიერება;  
შენ, ჩემო ძალავ, შვილო ტკივილის,  
მე ამაყი ვარ, დღეს, ჩემს სევდაში,  
და განწირული სული მიმიძღვის  
ჩემი ლექსებით შექმნილ ზეცაში!..  
ლექსები, როგორც ჩიტების გუნდი,  
ცაში აფრინდა, გზა გადასერა;  
ვიღაცა ისევ სიყვარულს უცდის,  
ვიღაცას ისევ ზღაპრების სჯერა...

### ცრემლის გომონა

ის ყოველ ღამით ტიროდა ჩუმად,  
და შენს თვალეზე სიზმრობდა ლოცვას;  
ის სიკვდილივით სასტიკად სდუმდა, -  
ვერ ერეოდა საკუთარ გრძნობას.  
შენ გიგზავნიდა ლურჯ ცეცხლს, ვით  
ვარსკვლავს,  
და ისევ მხოლოდ შენზე ფიქრობდა  
ასეთ სიყვარულს სიკვდილიც ახლავს, -  
ეს მან ძალიან კარგად იცოდა.  
სულის თითებზე ცრემლის ბეჭდებით  
აელვარებდა სივრცეს უფერულს,  
უფრთხილდებოდა საკუთარ გრძნობას,  
ვით გენიოსი პოეტის რვეულს.  
ბოლოს, ნელ-ნელა, სევდამ დალია,  
ვით შემოდგომა - ფოთლების ქროლვამ,  
თვალეში ცრემლის ლურჯი წყალია,  
- არ დამივიწყო - მხოლოდ ეს მთხოვა  
ის ყოველ ღამით ტიროდა ჩუმად



გიორგი ზუხბაია

### მიუწვდომელი

და გატყდა სარკე სინათლის აქეთ,  
ოცნებაც გაქრა, გაქრა უკლებლივ,  
მზის ბრწყინვისაგან გატეხილ სარკეს  
ანარეკლები მოსწყდა ღრუბლების.



ლიტერატურული ბზერდი

და მაშინ სარკის ნატეხებისგან გაჩნდა ფრინველი, ფიქრთა ამრევი, თითქოს თვით სულმა ფრთები შეისხა და გადაცურა ლურჯი ჰაერი. ჯერ ნატეხების მტვერმა იღვლევა, გამშვენიერდა, თითქოს ილოცა, მერე ეს იყო - დიდმა ფრინველმა, სარკის ფრინველმა ცა გაიოცა. გაფრინდა თითქოს ჰაერზე მალლა და მზის თითებში აღმოჩნდა მალე, სარკის ფრთები კი ღრუბელთა სახლთან შეერწყა სივრცის გახელილ თვალებს. ბრწყინავდა უცხო ხაზების რიგი, მზეს ეღვრებოდა ცისარტყელებად, და ცოტა ხანში დაფარა იგი, იგი, საკუთარ ანარეკლებმა. სარკის ფრინველი განიბნა ბრწყინვად, (ასე ხომ ქრება თვით სიყვარულიც), ჰო, როგორც წყალში დაფლული მინა, ისიც არ ჩანდა, ცით დაფარული. ფერად ფრინველად ქცეულმა სარკემ დატოვა მხოლოდ სიჩუმე სრული... იმ ფრინველივით მეც მინდა გავექრე, დამღუპოს ღელვამ საკუთარ გულის!..



ვასო ლომაია

ლურჯი სონატა

ჩემი ფიქრები გაივლიან ნანვიმარ ცაზე, ტანჯვას მინაზე დასტოვებენ, დროის მონატანს, გადმოხედავენ მინისაკენ დაშვებულ წვეთებს და გაჰყვებიან მოშრიალე წვიმის სონატას...  
ღმერთო, მიიღე ჩემი ლოცვა, ასე გვიანი, შენი ნათელი ბილიკებით მინდა ვიარო, შენ გააჩინე შენს ხატებად ადამიანი, რომ შენი ტანჯვა, შენი ჯვარცმა გაუზიარო. ადამიანი ცდილობდა და მუდამ ეცდებოდა, სუსტი ხელებით აიტაცოს სამყარო სრული, თუმცა გონება გამოუცნობ საზღვარს ვერ სწვდება, მაგრამ იდუმალ ოკეანეს განიცდის სული...  
თეთრ ნიჟარებთან, ლურჯ ტალღებში, ვარსკვლავთა სხივი მარჯნის ყვავილებს მოციმციმე შუქით დანამავს, ზეცის ვარსკვლავი ზღვის ვარსკვლავებს ესაუბრება, ზღვის სასახლეში მიელიან თევზთა ქარავანს...  
ჩემი ფიქრები გაივლიან ნანვიმარ ცაზე, ტანჯვას მინაზე დასტოვებენ, დროის მონატანს, გადმოხედავენ მინისაკენ დაშვებულ წვეთებს და გაჰყვებიან მოშრიალე წვიმის სონატას...

ზურა საბულუა  
ნოკლა  
შავი მტრედი



არავინ იცის ის შავი მტრედი საიდან მოფრინავს, ვინ არის მისი პატრონი. ვის ფანჯარაზეც ჩამოვდებოდა, ცუდ ამბავს უნდა ელოდოს ის ოჯახი, ამბობდა ხალხი. ბოლო დროს, უბანში არ გარდაცვლილა ადამიანი ვის ფანჯრებსაც არ შესჩვეოდა ის შავი მტრედი. ყველას ემინოდა იმ შავი მტრედის ხილვა, როგორც სიკვდილის მაუნყებლის.  
იმ წელიწადს, ზამთრის ერთ სუსხიან დილას მოფრინდა ის შავი მტრედი. აივანზე გასულმა გიორგიმ, იქვე მოაჯირზე ჩამომჯდარს ჰკიდა თვალი. მართლა რალაც განსაკუთრებული იყო ამ მტრედში. ნითელი თვალები ნითელივე ნისკარტი და ფეხები მის ნახშირით შავ ბუმბულზე სისხლის წვეთებით ეღვარებდნენ. ხელი აუქნია. მტრედი გაფრინდა. ოროდ ნუთში ფანჯარაში გაიხედა, ისევე იქ ჩამომჯდარიყო მტრედი. იჯდესო, გაიფიქრა. სამზარეულოში შესულმა მამას უთხრა; დილაადრიან სტუმარი გვყავსო. მამას გაელიმა მტრედის შემყურეს: ყორანივით შავიაო ეს მტრედი, და დაუმატა; ემეებო, ალბათ, ბავშვებს დაუბარე პურის ნამცეცები დაუყარონო.  
მამა და გიორგი სახლიდან ერთად გავიდნენ. ერთ საათში მამა ცუდად გახდა, გიორგის ხელში დალია სული. სასწრაფოს ექიმმა, ვერც ადრენალინის ნემსით ვეღარ აამუშავა მამის გამსკდარი გული. უყურებდა სიკვდილს, ადამიანისას, რომელმაც სიცოცხლე მიანიჭა. პირველად ნახა ასე ახლოს სიკვდილი. რას იფიქრებდა ცოტა ხნით ადრე, რომ დღეს, აქ მამის უკანასკნელ ამოსუნთქვას იხილავდა. სახე არ შეცვლია მამას, თითქოს ეძინაო. დაკრძალვის დღემდე არ დაუკარგავს სიცოცხლის ფერი. ლამაზი იყო მამამისი, თითქოს უფრო მეტად გაალამაზაო სიკვდილმა. არ ვარგა როდესაც, მიცვალებული ცოცხალივით ლამაზია და მკვდარს არა ჰგავსო, ამბობდა ხალხი. ის დღეები შავი მტრედი არ მოცილებია გიორგის ფანჯრებს.  
ერთ თვეზე მეტი გავიდა მამის დაკრძალვიდან. შავი მტრედი ყოველ დღე მოფრინავდა. ერთხელ სახლშიაც შემოფრინდაო, უთხრეს ბავშვებმა გიორგის. ვერასოდეს დაივიწყებს იმ დღეს, თითქოს გაზაფხულმა დაამარცხა, გადატეხაო ნელში ზამთარი. იმ წელიწადს ალბათ პირველი დღე იყო თბილი და მზიანი. სამსახურში შეაგვიანდა, ნამოსვლისას დაურეკეს, ძმის დაღუპვის ამბავი შეატყობინეს.  
ნუთუ სიკვდილი თავის მსხვერპლს მინიშნებას უგზავნის, ნუთუ სიკვდილის მაუნყებელია ის შავი მტრედი, ან იქნებ სულის უკვდავების ნიშნად აგზავნის შავ მტრედს მისი პატრონი?  
თორმეტი წელი გავიდა, რაც შავ მტრედს, გიორგის ფანჯრებში აღარ შეუხედავს. საღამოს შინ მისულს, ბიჭუნამ უთხრა; შავი მტრედი მოფრინდა და დიდი ხანი იჯდა ფანჯრის რაფაზე. თითქმის დაივიწყებულ, ბოლომდე შეუცნობელ შიშს, რომელიც წლების სირღმიდან გახსენებს თავს, სულის სირღმეში ჩაბუდებულ ეჭვებს აცოცხლებს და აძლიერებს შიშის შეგრძნებას, ამდაგვარ შიშს მოეცვა გიორგი. შეიძლება ტყუილად ველავ და უბრალოდ დამთხვევა იყო და მეტი არაფერი. თავს ინუგეშებს. უეჭველია ასევე იქნება, რა სისულელეაო, მაგრამ გულში მაინც ეშინია. ღმერთს ევედრება მოხუცი დედის და ცოლ-შვილის სიცოცხლეს. არ უნდა რომ დაიჯეროს, არა, არა ეს ხომ უბრალოდ მტრედი და მეტი არაფერი, არანაირი ნიშანი თუ მინიშნებაო. პატრონიც ეყოლება ალბათ, ისიც მასავით უბრალო კაცი იქნება, ისევე ეყვარება მოყვასი და არავის სიკვდილს არ ისურვებსო, ალბათ ასევე ძალს სიკვდილი და სევდა ერევა მისი ხილვისასო. უნდა რომ ასე იყოს, მაგრამ გული სხვაგან მიაქანებს. ვთქვათ მინიშნებაა და მტრედის პატრონი თვით სიკვდილია და ის მიგზავნის შავ მტრედს, ნიშანს მადებს სიკვდილისასო. ეს თუ ასეა, რაში ჭირდება სიკვდილს ეს მინიშნება, რისი თქმა უნდა ამით. ეს შავი მტრედი სიკვდილის სევდის მონიშნაო, მასაც ექნება სინდისის ქეჯნაო, სიკვდილიც იტანჯებაო ალბათ, ფიქრობს გიორგი და ებრალება სიკვდილი. მებრალებიო სიკვდილო იმ შენი მძიმე ხვედრის გამო, რაც ღმერთმა გარგუნაო. ნეტავი ვინა ხარ სიკვდილო? კაცი ხარ ალბათ, გთხოვ თუ კი ნიშანი დაად სიკვდილისა ჩემს სახლს, მაშინ ჩემს სიკვდილს ნიშნავდესო მხოლოდ.  
დილით მტრედის ლულუნის ხმა გაიგონა. ფანჯარაში გაიხედა. შავი მტრედი ფანჯრის რაფაზე ჩამომჯდარიყო. ხელი აუქნია. მტრედი გაფრინდა. აღარ გამოჩენილა.  
სასტუმრო ოთახში შესულმა, მოხუცი დედა დაინახა. დედას ანთებული სანთელი ეკავა და მაცხოვრის ხატთან ლოცულობდა. ნახევარ საათში მანქანაში იჯდა და მტკვრის მარცხენა სანაპიროს მიუყვებოდა. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ვერაფერი მოასწრო. ნამით ჰკიდა თვალი მისკენ მაღალი სისწრაფით მომავალ მანქანას, რომელმაც თითქოს მინიდან ამოყვინთაო. უცებ ჩამოხედა, მერე რალაც ბინდისფერი ნისლი, თითქოს დაცურავდა, წყალივით ეკვროდა მის სხეულს. ნისლი ნელ-ნელა იფანტებოდა, თოვლივით თეთრი ხდებოდა. უცებ მისგან რამოდენიმე ნაბიჯზე კაცი დაინახა. თეთრ თმანვერიანი მოხუცი. მოხუცი მიუახლოვდა და დააცქერდა. ამ გამოხედვამ, სულში გაუარა და მთლიანად გადმოატრიალა იგი, სულის მიუვალ კუნჭულებსაც ჩასწვდა და ზედაპირზე ამოაბრუნა თითქოს. უცებ საიდანაც ის შავი მტრედი მოფრინდა და მოხუცს მხარზე ჩამოაჯდა. მოხუცმა გაუღიმა გიორგის და უთხრა: კარგახანია არავის შეეცოდებივარ და ალბათ კიდევ დიდხანს არავის შევეცოდებიო. მოხუცი გაჩუმდა, რალაცაზე ჩაფიქრდა და მალევე გააგრძელა: რა უგნურია ადამიანი, როდესაც ფიქრობს, რომ სიცოცხლე განცხრომისთვის და სიამოვნებისთვის აქვსო ბოძებული და კარგავს ყველაზე მთავარსო. მე სიკვდილსაც კი მეცოდებიან ისინი, ვისაც ჰგონია რომ ცოდვანი მათნი ვერ მოძებნიანო მათ. სიცოცხლე ხომ სულის გამოცდააო მხოლოდ, ღვთის სასუფეველისკენ სავალი გზაო. ნაღი სიკვითი გეცოცხლოს და ნუ შეგემინდება ჩემი, როცა მოგაკითხავო.  
გიორგი თითქოს აფრინდა, ისევე ნისლი, თოვლივით თეთრი, კამკაშა ნათება სადღაც, მალლა შორს, უცებ ნისლი გაიფანტა და გიორგიმ დედა დაინახა. ის იქვე ახლოს იდგა და უღიმოდა: აქ რა გინდაო დედი? შეეკითხა. დედა მიუახლოვდა, თავზე ხელი გადაუსვა, მოეფერა და უთხრა: მე მოვეკვი მვილო, გარდავიცვალეო, ყველაფერი ისეა როგორც მწამდა, ნუ გემინაო უთხრა, ხელი მოჰკიდა და სადღაც ნაიყვანა. რალაც განსაკუთრებული სითბო ეღვრებოდა სულში, ბუმბულივით მსუბუქი იყო. კი არ მიაბიჯებდა, მიფრინავდა თითქოს. მწვანეში ჩაფლული ტყის პირას აღმოჩნდნენ, რომელიც ზეციდან ეშვებოდა. გიორგიმ ზევით აიხედა და დაინახა, რომ ცა გახსნილიყო და მკვეთრი ნათება ანათებდა დედამინას. არ უნდოდა თვალის მოშორება ამ სინათლისთვის. დედამ ხელი გაუშვა და უთხრა: ჩემი ნასვლის დრო არისო, შვილო. დედა, შენთან დავრჩებიო. არაო შვილო, ნაღი დაუბრუნდიო შენს ოჯახს, ჩემო სიცოცხლევ, ნურაფრის გემინაო. მუბლზე აკოცა, შებრუნდა და ნელი ნაბიჯით წავიდა იქით, საიდანაც სინათლე ეფინებოდა ყველაფერს.  
თითქოს სადღაც შორიდან, რალაც ხმები ჩაესმა გიორგის. ქალის ხმა, გაურკვეველად, თანდათან უფრო და უფრო გარკვევით ესმოდა ქალის ხმა...  
შოკიდან გამოდის, თვალები გაახილე, თვალები გაახილე, გაახილე, გაახილე... თვალები გაახილა გიორგიმ.



დასაწყისი გვ. 9

და ხელისუფლებაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ც.რ.უ.) აგენტისა და ევროამერიკული იმპერიალიზმის პირდაპირი აგენტის (ე. შევარდნაძე ამოღებულია) მოსვლისა. ხოლო, კითხვის ნაწილში - „რით აიხსნება დასავლეთის ესოდენ გაზრდილი ინტერესი კავკასიის მიმართ?“ - ზვიადის პასუხის მესამე აბზაცში „კავკასიის სრული „ბალკანიაციის“

გვერდიან გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციასაც (არმაზ სანებლიძე, ნუგზარ ფოფხაძე, ირაკლი თოდუა - მთავარი რედაქტორი), როგორც სჩანს ერთიდაიგივე მეპატრონე და იდეოლოგიური ჯგუფი ჰყავს და ერთიდაიგივე მისამართზე - დავით ბაქრაძის ქ.6-ში მდებარეობს. ჟურნალ ე.წ. „ისტორიული მემკვიდრეობის“ საიდუმლო რედაქციას კი უზენაესი საბჭოს დეპუტატებიდან თემურ ქორიძე და თენგიზ

არა ნატო?“ დისკუსიის მთავარი წარმმართველები გახლდათ ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი გულბათ რეხილაძე (წითელი დისიდენტის, ზვიად გამსახურდიას მოძულე ვიქტორ რეხილაძის შვილი) და შევარდნაძის კანცელარისტი პეტრე მამრაძე. თუმცა, სტატიის დასასრულს მათ კი მიუთითეს, რომ ეს არის „ამონარიდები გაზეთიდან „ნაროდნაია პრავდა“ 1992 წელი.



კუბლაშვილი, აგრეთვე, დარეჯან ანდრიაძე... უნდა შეადგენდნენ და მოსკოვიდან ალექსანდრე ჭაჭიას პატრონაჟით უნდა ფინანსდებოდეს. ზემოხსენებული ჟურნალი გახლავთ ამავე სახელწოდების არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ ჟურნალი, ორგანიზაციის წევრები და სატელიტები კი გახლავთ: ტარიელ გაგნიძე (თავმჯდომარე), ზაზა აბაშიძე, ვალერი კვარაცხელია („ნეიტრალური საქართველოს“ თავმჯდომარე), პეტრე მამრაძე, ნაპალეონ ქარქაშაძე, ნანა დევდარიანი (გლობალური კვლევების ცენტრი), ვაჟა ოთარაშვილი და სხვ.

ამ არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა“ რუსეთის დაფინანსებით გამოსცა ნიგნი „უცნობი პუტინი“, რომლის პომპეზური პრეზენტაცია მოაწყო მიმდინარე წლის 9 ოქტომბერს სასტუმრო „BETSY'S HOTEL“-ის საკონფერენციო დარბაზში გაშლილი მდიდრული სუფრით. ნიგნი პუტინისა და „დიდი რუსეთის“ მაღიღებელია (წყარო/Source: <http://saqinform.ge/index> ჩვენთვის უცნობია ესწრებოდა თუ არა საქართველოს პატრიარქი ამ ნიგნის პომპეზურ პრეზენტაციას ხსენებულ

წყაროების ასეთი მანაპულირებით ცდილობს ერთიდაიგივე მედია-ჯგუფი ზვიად გამსახურდიას გამოყენებას რუსეთის პროპაგანდისათვის, რაც ცხადია, ცინიზმი და მკრეხელობაა. ინტერნეტსივრცეში კი ამ დაჩეხილ ინტერვიუს, რუსეთის დროშასთან ერთად აქტიურად, ნიშნისგებით აფრიალებს წმ.ილია მართლის საზოგადოების ყოფილი წევრი (მისი თქმით), კანადაში ემიგრირებული დაჩი ქართველი (კვარაცხელია), რომელიც ჩვენ, ანალოგიური ქმედების გამო (ზვიადის ფოტოზე დატანილი, ვითომ ზვიადის ციტატის) ადრეც ვამხილეთ (იხ. გაზეთი „განმათავისუფლებელი“, 2013 წ. აპრილი, N35, გვ.19). ეს დაჩი-ქართველად წოდებული პერსონა, ყოველ წელს დაუბრკოლებლად ჩამოდის საქართველოში და თანამშრომლობს რუსეთის სატელიტ პოლიტიკურ ძალებთან (კახა კუკავა და სხვა).

რაც შეეხება თავად „Народная правда“ ამ ინტერვიუს, მასში ერთი ფრიად განსაცვიფრებელი უზუსტობაა კორესპონდენტის უკანასკნელი კითხვის ზვიადისეული პასუხის ამ აბზაცში: „ჩემთვის არ არის უცხო პრორუსული განწყობა. მე მუდამ მივესწრაფვოდი მჭიდრო კავშირს რუსეთთან და ვოცნებობდი, საქართველოს ჰყოლოდა ბუნებრივი მოკავშირე ამ თავისი დიდი აღმოსავლელი (?! - ლ.ც.) მეზობლის სახით...“ ვფიქრობ, აქ საქმე გვაქვს კორესპონდენტის უყურადღებობასა და არასწორ ჩანერასთან და რეალურად უნდა იყოს „ჩრდილოელი მეზობლის...“ ხოლო თავად ზვიადისეული ფრაზა „ჩემთვის არ არის უცხო პრორუსული განწყობა...“ იმ ვითარებაში, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და მაღალი პასუხისმგებლობის პირი პრეზიდენტის (როგორც საქართველოს, ასევე ჩეჩნეთის რესპუბლიკის წინაშე) სენტემად ჟღერს და მისი დიპლომატიის დასტურს წარმოადგენს. ამ კონტექსტში, მკითხველისთვის, ალბათ საინტერესოა ჯოხარ დუდაევის ინტერვიუს პათოსიც, რომელიც (როგორც ზემოთ გაცნობეთ) „Народная правда“-ს ამავე ნომერში ზვიადის ინტერვიუს გვერდითაა დაბეჭდილი. უნდა მოგახსენოთ, რომ ჯოხარ დუდაევის ინტერვიუსაც ლაიტმოტივად მკვეთრი ანტიდასავლური განწყობა გასდევს და ასეთი პოლიტიკური რეფერენციათა დამუხტული: „რუსეთის ხელისუფლება დასავლეთის მძევალია!“



გარეშე“ -დან ამოღებულია მოზრდილი მონაკვეთი პასუხებიან-კითხვიანად და შემდგომ მონაკვეთშიც თვითნებურად შეცვლილია ზვიადის პასუხის ნაწილიც.

ზემოხსენებულმა ინტერნეტ-საიტმა (<http://mamuli.net/sinatle>) სათავე დაუდო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ინტერვიუს ამგვარად შეცვლილ-დამახინჯებული სახით გავრცელებას სხვადასხვა პორტალებსა („ბურუსი“ და სხვა) და ბეჭდურ მედიაშიც. ასე მაგალითად, მიმდინარე 2013 წლის მარტის(3(32) ნომერში თბილისში გამომავალმა რუსული ორიენტაციის ჟურნალმა „ისტორიული მემკვიდრეობა“ სწორედ ამ სახით დაბეჭდა ზვიადის ეს გახმაურებული ინტერვიუ და ინტერნეტ-წყაროდ <http://mamuli.net/sinatle> მიუთითა. ნიშანდობლივია, რომ ზვიადის ეს ინტერვიუ მეტად პოპულარული გახდა საქართველოში ჯერაც შემორჩენილი რუსული ორიენტაციის ჯგუფებისათვის, რომლებმაც იგი თავიანთი პოზიციების გასამყარებლად, არგუმენტად გამოიყენეს. ნიშანდობლივია, რომ ჟურნალ „ისტორიული მემკვიდრეობის“ მესვეურები საკუთარ ვინაობას არ ამხელენ და პრორუსულ პროპაგანდას საიდუმლოდ ეწევიან. ამადაც, ჟურნალზე ვერსად ამოიკითხავთ რედაქტორის ანსარედაქციო ჯგუფის კონკრეტულ გვარებს, არამედ ჟურნალზე მინერული აქვთ რეზუსული „რედაქოლეგია“. თუ გაზეთ „აღდგომის“ შემთხვევაში კონსპირაციული „რედაქოლეგის“ საფარი ახსნადი და გამართლებადი იყო, დღევანდელი პრესის თავისუფლების პირობებში იგივე მეთოდი მხოლოდ საეჭვო კითხვებს აღძრავს; ჟურნალ „ისტორიული მემკვიდრეობას“ და 32-

სასტუმროში, მაგრამ მას, ამ ფოტოზე, სწორედ ეს ნიგნი უჭირავს ხელში.

გაზეთმა „საქართველო და მსოფლიომ“ ზვიადის ეს ინტერვიუ სულ სხვა სათაურით - „საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია დასავლეთისა და ნატოს შესახებ“ - თავადაც დაბეჭდა მიმდინარე 2013 წლის 13-19 ნოემბერს, N42(229), გვ. 9, სადისკუსიო თემით „გვინდა თუ

დასკვნის სახით უფლება-მოსილი ვართ განვაცხადოთ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას „Народная правда“-სთვის გროზნოში მიცემული ინტერვიუს ქართულ მედია-სივრცეში გამოქვეყნების სრული ვერსია დაბეჭდილია მხოლოდ გაზეთ „აღდგომა“ში 1992 წლის 6 დეკემბერი(N29), ხოლო ინტერნეტსივრცეში - <http://iberiana.wordpress.com/zviad-gamsakhurdia/narodnaya-pravda/> ამდენად, ინტერვიუს წაკითხვისა თუ გამოყენების სანდო წყაროებად მხოლოდ ეს ორი დასახელება მიიჩნევა.


ლილა ცომაია

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას „Народная правда“-სთვის გროზნოში მიცემული ინტერვიუს გაზეთ „აღდგომისეული“ სრული ვერსია და თარგმანი იხილეთ ჩვენი გაზეთის მომდევნო მე-13-14 გვ-ზე.



# „მროვნება არა ექვს ცხოველს...“

„აღდგომა“, 1992 წ. 6 დეკემბერი, N29  
**ზვიად გამსახურდია**



როცა სადღაც აფრიკაში ამოხიბნენ მორიგ დიქტატორს, დაახლოებით ბოკასას ტიპისას, კაციჭამიაობაში მხილებულს, დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მთავრობები ამას განიხილავენ, როგორც „ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლების უხემ დარღვევას“ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებს გზავნიან.

...მაგრამ როცა საქართველოში იარაღის ძალით დაამხეს კანონიერი ხელისუფლება, მსოფლიო საზოგადოებრიობამ ეს ფაქტი შეაფასა, როგორც „ქართველი ხალხის თავისუფალი ნების გამოვლინება“.

იმის გასარკვევად, თუ რით აიხსნება დასავლური დემოკრატიის ესოდენი გულგრილობა სახელმწიფოს კანონიერი ხელისუფლების ბედისადმი, მივმართეთ თავად საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, ზვიად გამსახურდიას.

**- მთავრობები, რომელთაც თქვენ დემოკრატიულს უწოდებთ, სინამდვილეში კარგა ხანია განუდგნენ დემოკრატიას. დემოკრატია იქცა ცარიელ სიტყვად, რომელსაც თავის ნებაზე ატრიალებენ დასავლეთის მთავრობათა ამა თუ იმ პოლიტიკური ინტერესების შესანიღბავად. როცა ამ მთავრობებს სურთ გააძლიერონ თავიანთი გავლენა და სამხედრო ყოფნა რომელიმე რეგიონში, თავდაპირველად ცდილობენ მოისყიდონ ამ ქვეყნის ხელისუფლება და თუ წინააღმდეგობას წააწყდნენ, უბრალოდ, ამოხიბნენ მას. ასეთ შემთხვევაში მათთვის არა აქვს მნიშვნელობა დამხობილი რეჟიმის ხასიათს: დემოკრატიულია იგი, თუ ავტორიტარული. ეს მტაცებლური მიდგომა სხვა ქვეყნებისადმი დღეს საბოლოოდ დამკვიდრდა ნატოს სახელმწიფოებში.**

აღსანიშნავია, რომ დასავლეთის ყველაზე მძლავრი სახელმწიფოები უკვე აღარც კი ცდილობენ შენიღბონ თავიანთი ზრახვები და ამკარად და ცინიკურად თრგუნავენ სხვა ხალხთა ნებას. სწორედ, ეს მოხდა საქართველოში.

**- ბატონო პრეზიდენტო, რას წარმოადგენენ ეს მსოფლიო ძალები, ესოდენ თავისუფლად რომ ერევიან უცხო სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში?**

- კაცობრიობის მტრებს - ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: ისინი მიზნად ისახავენ ყველა სხვა ხალხის გენოციდს; პლანეტის მთელი მოსახლეობის ერთი განსახლებული ჯგუფის გამოკლებით. ეს ჯგუფი მჭიდროდ არის დაკავშირებული შეერთებულ შტატებსა და ევროპასთან და მთელი ძალით მიიღობს მსოფლიო ბატონობისაკენ. ზოგადად, მე მას ევროამერიკულ იმპერიალიზმს ვუწოდებდი. მთავარ დამკვერთა ძალას მასში წარმოადგენს აშშ. შეიძლება ითქვას, სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში იმართებოდა ოკეანის გაღმადან. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჯ. ბეიკერის პირადი

მონაწილეობით და ბუმის ლოცვა-კურთხევით. ბეიკერმა პირდაპირ მოუწოდა პუტჩისკენ საქართველოს ბანდიტურ-ოპოზიციურ დაჯგუფებებს (ამერიკაში ჩინებულად იცოდნენ, რომ ოპოზიცია საქართველოში კრიმინალური მაფიისა და ყოფილი პარტოკრატებისაგან შედგებოდა). ბეიკერმა მკაფიოდ მიანიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ უჭერდა მხარს საქართველოში არსებულ რეჟიმს და არაფრით დაეხმარებოდა მას. სცენარი გადატრიალებისა, რომელიც აშშ-მ მოაწყო საქართველოში, ადრე არაერთგზის გამოუყენებია ამ ქვეყანას პლანეტის სხვა რეგიონებში.

**- რით ვერ დაიმსახურა თქვენმა ხელისუფლებამ დასავლეთის კეთილგანწყობა?**

- ჩვენ მივესწრაფოდით დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას, არ დავემორჩილეთ დასავლური სახელმწიფოების დიქტატს, არ ვიქცეით მათი ინტერესების მსახურად, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ არ დავუშვით, რომ საქართველო დასავლეთის კოლონიად ქცეულიყო.

დასავლეთს კი მხოლოდ ისეთი ხელისუფლება აძლევდა ხელს, რომელიც უსიტყვოდ აღასრულებდამის ნებას. ეს იქცა ერთ-ერთი მიზეზად სამხედრო გადატრიალებისა და ხელისუფლებაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცრუ) აგენტისა და ევროამერიკული იმპერიალიზმის პირდაპირი აგენტის ე. შევარდნაძის მოსვლისა.

მაგრამ დასავლეთის წყრომას ჩვენს მიმართ კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა. სახელმწიფოს სათავეში მოსულნი, ჩვენ ვესწრაფოდით ეროვნული კულტურის აღორძინებას, ხალხის შეკავშირებას ეროვნული სულისკვეთებით, რათა მას მთელი სიღრმით გაეცნობოდა იმისა, რომ გაცილებით ძველი ისტორია აქვს, ვიდრე ბევრ ევროპელ ხალხს ჩვენი პოლიტიკის ეს ეროვნული ორიენტაცია არ იწვევდა სწორედ საერთოევროპული სახლისმეცხეურთააღტაცებას, რადგან ოფიციალური დასავლეთი (მხედველობაში მაქვს ხელისუფლებანი და არა ხალხები) ებრძვის ყოველგვარ ეროვნულ მოძრაობას. მათი მიზანია, გაანადგურონ ერის ნება საერთოდ და შექმნან ერთიანი მსოფლიო კონგლომერატი, სათავეში-მსოფლიო ხელისუფლებით. ამ მსოფლიო მთავრობამ უნდა განაგოს ქვეყნიერება და დაამყაროს ე.წ. ახალი მსოფლიო წესრიგი. ახალი მსოფლიოს წესრიგის არსია: განადგურება ყველა სახელმწიფოს (ქრისტიანული იქნება ის თუ მუსულმანური, რელიგიას ისინი არ ანიჭებენ მნიშვნელობას) დამოუკიდებლობისა, გენოციდი ამ ქვეყნების მოსახლეობისა და საბოლოო დამორჩილება მთელი პლანეტისა.

ძალები, რომელთაც ეკისრება მსოფლიო ხელისუფლების ბატონობის შემზადება, სხვა ქვეყნებს განიხილავენ მხოლოდ რესურსების თვალსაზრისით. მათი მიზანია, ეს ქვეყნები თავიანთი ხალხებით, მთავრობებით, კულტურებითურთ აქციონ უბრალოდ ტერიტორიებად, სადაც მოსახლეობას დატოვებენ მხოლოდ მსოფლიო ელიტისათვის საჭირო რაოდენობით. ამასთან, სრულიად დემორალიზებულს, მზადმყოფს მისი ინტერესების სამსახურისადმი.

ამ ზრახვათა განხორციელებას მხოლოდ ხალხთა ეროვნული თვითშეგნება და ეროვნული სახელმწიფოების შექმნა შეიძლება აღუდგეს წინ. ამიტომ ებრძვის დასავლეთი ეროვნულ მოძრაობებს, ამიტომ ცდილობს ეთნიკური კონფლიქტების გაჩაღებას და ომების პროვოცირებას. მაგალითად, იუგოსლავიაში მიმდინარე ომი მათი ნამოქმედარია. ეს შემთხვევით სტიქიურად ააღებელი კონფლიქტი კი არ არის, არამედ მიზანმიმართულად გაჩაღებული ომი, რომელშიც უნდა დაიფრფლოს ეროვნული იდეის მატარებელი ხალხები.

დღეს დასავლეთს იუგოსლავიის მოდელი დასავლეთიდან გადააქვს კავკასიაში, ხელოვნურად მწვავდება ეროვნებათაშორისი დაძაბულობა. შემდგომში ხან აქ, ხან იქ აფეთქებული ლოკალური კონფლიქტები დასავლეთს მისცემენ საბაბს პირდაპირი სამხედრო ჩარევისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალთა სახით. სულ ახლახან გაკეთდა განცხადება, რომ ნატო ქმნის სწრაფი რეაგირების ძალებს, ასე ათასი კაცის შემადგენლობით, რომელიც ჩაერევა

მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში მიმდინარე მოვლენებში. ფრიად საყურადღებოა, რომ ამასთან დაკავშირებით მოხსენებულ იქნა კავკასია და იუგოსლავია.

ასეთია არსი ახალი მსოფლიო წესრიგისა და დასავლეთის პოლიტიკის, რომელიც მიმართულია მსოფლიოს ყველა ხალხის თვითმყოფადობისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

**- ბატონო პრეზიდენტო, თქვენ განზრახული გქონდათ ისეთი სახელმწიფოს აშენება საქართველოში, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა ეროვნული ინტერესებისაკენ. რა მიგაჩნიათ უმთავრეს პირობად ეროვნული სახელმწიფოს აშენებისათვის?**

- პირველ რიგში, აუცილებელია შემუშავება ისეთი მექანიზმისა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში მოსახლე ყველა ეროვნების ურთიერთთანხმობის მიღწევას, ეროვნულ უმცირესობათა უფლების განუხრელ დაცვას.

ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ შინაგანი სტაბილურობის მიღწევა შეუძლებელია ძალადობისა და ეროვნულ უმცირესობათა დათრგუნვის გზით. აუცილებელია გადასვლა ერთ სახელმწიფოში ეროვნებათა თანაარსებობის ისეთ ფორმაზე, რომელიც ხელსაყრელი იქნება ყველასათვის, როგორც ეკონომიკის სფეროში, ისე ეროვნული კულტურის შენარჩუნების უსაფრთხოების თვალსაზრისით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსოფლიო კოსმოპოლიტიური ძალები, რომლებზედაც ვლაპარაკობთ, უსათუოდ შეეცდებიან რომელიმე ეროვნების უკმაყოფილება გამოიყენონ სახელმწიფოს დარღვევისათვის. ეს მათი ნაცადი და ქმედითი ხერხია. თვითგამორკვევის პრინციპი რასაკვირველია, არ უნდა დავიდეს აბსურდამდე; მაგალითად, თუ დღეს რუსეთში ვოლგისპირელმა გერმანელებმა გერმანული სახელმწიფოს შექმნა მოინდომეს, ეს ყოველად დაუშვებელ მოთხოვნად უნდა შეფასდეს.

**- რატომ ქმნიდათ მაინც და მაინც ეროვნულ სახელმწიფოს? საერთოდ, რაში სჭირდება ადამიანს ეროვნება, თქვენი თვალსაზრისით?**

- სწორედ, ეროვნული თვითშეგნება აქცევს ადამიანს ადამიანად. ეროვნება არა აქვს ცხოველს, სარწმუნოება და ეროვნება ის ძირითადი თვისებებია, რომელნიც ადამიანს სხვა სულიერისაგან განასხვავებენ და მისთვის ამ განმასხვავებელი თვისებების წართმევა უმძიმესი დანაშაულია ადამიანის წინაშე, დასაწყისი მისი, როგორც პიროვნების, დეგრადაციისა. დენაციონალიზაცია წინაპართა და წარსულის უარყოფა, ადამიანის სრული მოკვეთაა ეროვნული ფესვებისაგან. კაცი ადამიანურ არსს მხოლოდ თავისი ეროვნული კულტურის ნიაღში ინარჩუნებს, ამიტომ ადამიანის კულტურა განუყრელად არის დაკავშირებული მის ეროვნებასთან; იგი მშობლიური კულტურის მეშვეობით ეზიარება მსოფლიო ცივილიზაციას. ამდენად დენაციონალიზაცია ადამიანისა და დენაციონალიზაცია ქვეყნისა წვევტენ მათ კავშირებს დანარჩენ სამყაროსთან და დაუცველს ტოვებენ მსოფლიო მასშტაბით ორგანიზებული კოსმოპოლიტიური ძალების წინაშე.

**- რა ძალები აღუდგნენ ეროვნული სახელმწიფოს შექმნას თვით საქართველოში?**

- საქართველოში ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილს ნომენკლატურულს უწოდებენ. კულტურის ეს მოღვაწენი დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ საბჭოურ წლებში და ახლაც ახალ პრივილეგიებს გამოდევნებულები მზად არიან ზურგი აქციონ მშრომელი ხალხის ინტერესებს. ამჯერად ისინი ე. შევარდნაძის გარშემო დაიზაზმნენ.

იგივე ნაწილი ინტელიგენციისა ძალზედ მჭიდროდაა დაკავშირებული ჩრდილოვანი ეკონომიკის სამყაროსთან, მაფიასთან. არსებითად, ჩვენთან, საქართველოში, მათ შორის არც არის რაიმე განსხვავება. ისინი ისე განუყრელად შეზრდიან ერთმანეთს, რომ ერთ პიროვნებაში ხშირად შეერწყმულია ინტელიგენტიც და დანაშაულებრივი სამყაროს ავტორიტეტიც. საზოგადოების ამ ფენის ერთობ მკაფიო წარმომადგენელია ჯაბა იოსელიანი, მისი ყადის ადამიანები, შეიძლება ითქვას, ახალი ჰობრიდებია ჩვენი დროისა.

საქართველოში, **დასასრული გვ. 14**



დასაწყისი გვ. 13

საბჭოთა ხელისუფლების წლებში წარმოიქმნა მთელი კლასი ასეთი პირობებისა.. სწორედ, ისინი ჩაუდგნენ სათავეში და განახორციელეს გადატრიალება.

ერთნი საქართველოში მომხდარს ახასიათებენ, როგორც "ბურჟუაზიულ რევოლუციას", რაც არ შეესაბამება სინამდვილეს; საქართველოში არ არსებობს ბურჟუაზია, არის მხოლოდ მათა და საქართველოში სწორედ "მაფიოზური რევოლუცია" მოხდა.

რით აიხსნება დასავლეთის ესოდენ გაზრდილი ინტერესი კავკასიის მიმართ?

ეს რეგიონი ძალზედ მნიშვნელოვანია გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, კავკასიის მფლობელი ფლობს ახლო აღმოსავლეთსაც და აზიასაც. ეს, სხვათაშორის, მუდამ ესმოდან დასავლეთის ქვეყნებს, რის გამოც ბრძოლა კავკასიისათვის უძველესი დროიდან მიმდინარეობდა მათსა და რუსეთს შორის.

წმინდა სამხედრო თვალსაზრისით კავკასია წარმოადგენს ხიდს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, რომელიც მეტად აუცილებელია ორივე მხარისათვის.

რუსეთიც კავკასიას ოდითგანვე განიხილავდა, როგორც მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ პლაცდარმს, მაგრამ რუსეთი დღეს სუსტდება და ამიტომ დასავლეთი მიისწრაფვის ხელიდან გამოსტაცოს მას ინიციატივა, თავისი გავლენა გაავრცელოს ამ რეგიონში და ბოლოს და ბოლოს მოახდინოს მისი ოკუპაცია. მაგრამ ეს შეუძლებელია კავკასიის სრული "ბალკანიზაციის" გარეშე. სწორედ ამ გეგმის ხორცშესხმისათვის - კავკასიის მეორე ლიბანად გადაქცევისათვის არის გამოგზავნილი მეფარდნაძე. მან, მაგალითად, ამასწინათ პირდაპირ მოუწონდა ნატოს ჩაერთოს კავკასიის საქმეში.

როგორ აფასებთ რუსეთის დღევანდელ ხელისუფლებას და მის პოლიტიკას კავკასიაში?

ხელისუფლება, რომელიც ლალატობს საკუთარ ხალხს, ვერ იქნება სხვა ხალხთა მოყვარე. ..რუსეთის პოლიტიკა დიდ ზიანს აყენებს არა მხოლოდ კავკასიის ხალხებს, არამედ თავად რუსეთის სამომავლო ინტერესებსაც. ასე მაგალითად, ელცინის ხელისუფლება არ სცნობს ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობას. იგი ვერ ამჩნევს, რომ ამით ამწვავებს ანტირუსულ განწყობილებას რეგიონში. ამ დროს კი

საკმარისია, რუსეთმა სცნოს მთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, რომ მათი სახით მყისვე შეიძენს ყველაზე ერთგულ მეგობრებს, რადგან აქ მკაფიოდ განასხვავებენ ელცინსა და რუსეთის სახელმწიფოს, და პირველისადმი აშკარად არაკეთილგანწყობის საპირისპიროდ გარკვეულმისწრაფებას განიცდიან რუსეთისადმი, როგორც მფარველისადმი დასავლური ექსპანსიისაგან.

ბატონო პრეზიდენტო, თავად თქვენ როგორ ეკიდებით რუსეთს?

ძალიან კარგად. ვიმედოვნებ, არც თქვენ აიგივებთ ელცინსა და რუსეთს! მმართველები მოდიან და მიდიან, ქვეყანა კი რჩება. მე მიმაჩნია, რომ როლი, რომელსაც დღეს რუსეთი ასრულებს კავკასიაში, არ შეესაბამება მისსავე ინტერესებს და ოკეანის გაღმიდან აქვს თავს მოხვეული.


ჩემთვის არ არის უცხო პრორუსული განწყობა. მე მუდამ მივიწინააღმდეგებ მჭიდრო კავშირს რუსეთთან და ვოცნებობდი, საქართველოს ჰყოლოდა ბუნებრივი მოკავშირე ამ თავისი დიდი აღმოსავლელი მეზობლის სახით, მაგრამ ეს არ აძლევდა ხელს დასავლურ სამყაროს და მის მორჩილ ხელისუფლებას რუსეთისა. ისინი განაგრძობენ ეთნიური კონფლიქტების გაჩაღებას კავკასიაში. შედეგად, ჩვენ ვგდავართ ამ კონფლიქტების დიდ ომში გადაზრდის სავესებით რეალური საფრთხის წინაშე.

მე იმედი მაქვს კონფლიქტებში ჩათრეული ხალხების; პირველ რიგში, რუსი ხალხის სადი აზრისა და გონიერებისა. ვიმედოვნებ, იგი შეიგნებს, თუ ვინ და რა ინტერესების კარნახით უბიძგებს რუს ჯარისკაცებს ახალი კავკასიური ომის უფსკრულისაკენ. ამ ომში ვერც ერთი მხარე ვერ იქნება გამარჯვებული. მხოლოდ დასავლეთი მოითხოვს ხელს ახალი ომის აღზე. მე მწამს ხალხთა სიბრძნისა. ეს არის უკანასკნელი, რამაც უნდა გვიხსნას კატასტროფისაგან.

"ნაროდნაია პრავდა", 41 1992წელი, ოქტომბერი სანკტ-პეტერბურგი

„იუდას ტყავზე ჯაენის სიხხლით დაიწყო მტკრმა ზილობის წერა. . .“

რასაც სიყრმიდან თვალი და გული შეთვისებია და შეჩვევია, გონება კავშირს ვეღარ გაუწყვეტს, სიცოცხლე მისი მონა და ტყვეა! აკაკი



დიდი აკაკის მიერ ლექსად ნათქვამ ამ ჭეშმარიტების გამოხარებლმა, ადგილის დედას მონყვეტილმა დევნილმა, ქვეყნის მომავალზე ზრუნვითა და ფიქრით დამაშვრალი მთავრობის მოლოდინში, სამსუხაროდ ისევ „ყვენის მზის“ დამფიცებლის მსგავსი მიიღო, რასაც სამთავრობო პროგრამაში და დევნილთა შესახებ ახალ კანონპროექტში ჩამოყალიბებული დებულებები გვაფიქრებინებს:

„მთავრობის სტრატეგიული ამოცანაა კონფლიქტის მიმდებარე, სამეგრელოსა და შიდა ქართლის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, რისთვისაც შეიქმნება სარეაბილიტაციო პროექტების ხელშეწყობის საგანგებო ფონდი. აფხაზეთისა და სამხრეთ/ოსეთის ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას საქართველოს მოქალაქეებისთვის დაწესებული შეღავათითა და მომსახურებით თავისუფალი სარგებლობის უფლება ექნებათ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე; შეიცვლება აფხაზეთისა და სამხრეთ/ოსეთის ცხინვალის რეგიონის ავტონომიების მთავრობების საქმიანობის პრინციპები. მათ ცენტრალური სტრუქტურებიდან გადაეცემათ დევნილებთან დაკავშირებული საკითხების მართვა, აგრეთვე არჩევნების გზით დაკომპლექტდება დევნილთა წარმომადგენლობითი ორგანოები“.

მისასალმებელია, თუნდაც სამეგრელოსა და შიდა ქართლის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე ზრუნვა, თუმცა დევნილები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არიან განსახლებულნი. ამავე დროს ნამდვილად გაუგებარია ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიის და მისი მთავრობის საქმიანობის პრინციპებზე საუბარი.

ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების ძალადობრივი დამხობის, ქვეყნის იძულებითი გასაბჭოების შედეგად შექმნეს 1922 წლის 20 აპრილის №2 დეკრეტით, ხოლო 1990 წელს იმავე ავტონომიური ოლქის დეპუტატთა სახალხო საბჭომ განახორციელა არაკონსტიტუციური უკანონო აქტი - გააუქმა ოლქის სტატუსი და მიიღო ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის გადაწყვეტილება, რომლის ან უკვე უმაღლეს საბჭოში დანიშნა არჩევნები, თარიღი და მის ჩატარებასაც შეეცადა. სწორედ ამით იყო გამოწვეული „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 11 დეკემბრის კანონის მიღების აუცილებლობა, რაც მართებული იყო საქართველოს სახელმწიფო ინტერესების, ისტორიული სამართლიანობის, დემოკრატიული პრინციპების, სამართლისა და მორალის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, გაუგებარია, რისთვის დასჭირდება საქართველოს სახელმწიფო ინტერესების საზიანოდ, ბოლშევიკების მიერ ერის ნების უგულვებელყოფით, შიდა ქართლის ტერიტორიაზე გაუქმებული ავტონომიური ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური ერთეულის რეანიმირების კენსწრაფვა, როცა საქართველოს სახელმწიფოს მართლები და სამართლებრივ მიდგომას ამ პრობლემისადმი ვერ უარყოფს მსოფლიოს ვერც ერთი ცივილიზებული პოლიტიკური ინსტიტუცია, მით უმეტეს, რომ არა მხოლოდ რეგიონის არის ცნობილი ეთნოფარბიკაციებში განაფული ჩვენი დიდი მეზობლის არდამცხრალი, მზაკრული ინტერესები. ჩვენ კი, რატომღაც ჩვენზე ხელით გვსურს ვეშაპს სახაში ჩაჯაროთ შიდა ქართლის ნაწილი ავტონომიის სახით.

მისასალმებელია, რომ აფხაზეთის მთავრობას და ოკუპირებული შიდა ქართლის ადმინისტრაციას ცენტრალური სტრუქტურებიდან თუ გადაეცემათ დევნილებთან დაკავშირებული საკითხების მართვა. ამავე დროს ბუნდოვანია და ამიტომ გაუგებარია თუ რა იდეისხმება დევნილთა წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების გზით დაკომპლექტებაში. იქნებ იმასთან ვვაქვს საქმე, რასაც გვთავაზობენ ვითომ არასამთავრობო ორგანიზაციების საფარქვეშ მოკალათებული მე-5 კოლონის წარმომადგენლები-ბაიბები, ბერიები და ძმანნი მათში. ეს კი ყოველდ მიუღებელია და ქვეყნისთვის მხოლოდ ზიანის მომტანი, რადგან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ერთად-ერთი ლეგიტიმური, უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს, უმაღლესი საბჭოს ხელყოფითა და ენგურს გამოღმა ჩატარებული არჩევნებით, მხოლოდ დავადასტურებთ და „იუდას ტყავზე ჯაენის სიხხლით“ მივანერთ საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის ტერიტორიის იურიდიულად მონყვეტას და ლეგიტიმურად ვცნობთ ოკუპირებულ ტერიტორიაზე დევნილი მოსახლეობის ნების გარეშე ჩატარებული „არჩევნების“ შედეგად შექმნილ დე-ფაქტო ხელისუფლებას, რასაც დღემდე არც ერთი სამართლებრივი და ცივილიზებული სახელმწიფო არ ცნობს.

სულ სხვა საკითხია ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი საზოგადოების წარმომადგენლების ჩართულობით დაკომპლექტდეს როგორც ქვეყნის პარლამენტი, ისე ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების შემადგენლობა, რაც მხოლოდ დადებითად ნაადრევად ქვეყნის ერთიანობას და სახელმწიფოებრიობას. სამსუხაროდ, ამისთვის დღემდე შეგნებულად არ იქმნებოდა საკითხის დარეგულირების სამართლებრივი წინაპირობები და რეალიზების მექანიზმები, რამაც ნათლად ჩანს პოლიტიკისა და კორუფციის მჭიდრო კავშირი. ხოლო, რაც შეეხება დევნილთა მდგომარეობას და მათი დაბრუნების საკითხს, იგი აშკარად მძიმე ხასიათის ლეზულობა; პარლამენტში საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილი კანონპროექტის „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ მუხლების დიდი ნაწილი ბუნდოვანია ან გაჯერებულია ზოგადი დებულებებით. ამასთან ერთად აშკარად იკითხება პოტენციურად დამბრუნებელ დევნილთა რაოდენობის ხელოვნური შემცირების ტენდენცია, რაზეც ნათლად მეტყველებს კანონპროექტის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი:

„საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე არასრულწლოვანი პირი უფლებამოსილია მიენიჭოს დევნილის სტატუსი, თუ ორივე მშობელს აქვს ან/ და ჰქონდა დევნილის სტატუსი, მხოლოდ მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის საფუძველზე.“

მკითხველისთვის ამ პუნქტის ავტორისეული განმარტებაც არ იქნება ინტერესმოკლებული, რომლის მიხედვით:

„წარმომადგენელი კანონპროექტის ამოქმედების შემდგომ, არასრულწლოვან პირებს დევნილის სტატუსი მიენიჭებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი ორივე მშობელი არის დევნილის სტატუსის მატარებელი. დღეს მოქმედი რედაქციით, არასრულწლოვანი პირისთვის დევნილის სტატუსის მისანიჭებლად საკმარისია მხოლოდ ერთი მშობლის დევნილობა. ბოლო დროს ჩატარებული სტატუსიკური ანალიზი აჩვენებს, რომ დევნილის სტატუსის მინიჭებულ არასრულწლოვან პირთა მხოლოდ 20% შეადგენს ის შემთხვევები, როდესაც ორივე მშობელი არის დევნილის სტატუსის მატარებელი, ხოლო 80% წარმოადგენს ის კატეგორია, რომელთა მხოლოდ ერთი მშობელი არის დევნილი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ყოველთვიურად ამ უკანასკნელი კატეგორიის პირთათვის დევნილის სტატუსის მინიჭება იზრდება პრაქტიკულად არითმეტიკული პროგრესით. ბოლო წლის მონაცემის გათვალისწინებით, იმ არასრულწლოვანი დევნილის სტატუსის მინიჭებით, რომელსაც დაახლოებით ერთი მშობელი ყავს დევნილი, ბიუჯეტიდან დამატებით საჭირო გახდა დაახლოებით 700 000 ლარი. შესაბამისად ეს თანხა 2014 წლის და მომდევნო წლის ბიუჯეტისთვის გაიზრდება არითმეტიკული პროგრესით“.

როგორც ვხედავთ, კანონპროექტის ავტორები არაფერს გვეუბნებიან იმის შესახებ თუ როგორ წარმოადგენიათ ერთი დედ-მამის კვილები-ერთი დაბადებული მშობლიური კანონის ამოქმედებამდე, მორენი კი ამოქმედების შემდეგ. ერთი კი ცხადია, რომ ამავე კანონპროექტში მე-7 მუხლის არსებობა უხერხულად ჩანს, რადგან ცინიკურად ჟღერს ასეთ ვითარებაში „დისკრიმინაციის დაუშვებლობაზე“ საუბარი.

ბრძენს უთქვამს, რომ „ქვეყნის მდგომარეობაზე ყველაზე კარგად სასაფლაო მეტყველებს“-ო. როგორც ჩანს ავტორები არ ცდილობენ ჩვენი ქვეყნის თავისებურებებს მოარგონ კანონი, თორემ გაიხსენებდნენ დევნილთა სასაფლაოებსაც და მათზე საფლავთა სიმჭიდროვეს და რაოდენობასაც. ამას ომში დაღუპულთა რიცხვსაც თუ მიუმატებდნენ — მიხედვით, რომ დევნილის სტატუსის მქონე პირები მალე აღარ გვეყოლება დასაბრუნებლად. ჩნდება სამართლიანი ეჭვი, სწორედ ამას ხომ არ ისახავენ მიზნად კანონპროექტის ავტორები თუ მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვის შედეგია ამ სახის კანონპროექტი? ნათელი კი ის არის, რომ ორივე შემთხვევაში — ადრე „ღრუბელ-ღრუბელ“, ახლა კი „ნაბიჯ-ნაბიჯ“ გვაცილებენ ოკუპირებულ ტერიტორიებს. ჩვენ კი მხოლოდ ისლა დაგვრჩენია მადლობა ვუთხრათ მთავრობას დევნილებზე „ზრუნვისთვის“ და ქვეყნის მთლიანობისთვის განუული „უანგარო“ სამსახურისთვის.

ნუგზარ მგალობლიძე  
საქართველოს უზენაესი საბჭოს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დეპუტატი



2013 წლის 3 ოქტომბერს სვეტიცხოვლის საკათედრო გაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II აღასრულა ნათლობის რიტუალი 2011 წელს მადრიდში დაბადებული 2 წლის უფლისწულისა გიორგისა. უფლისწული გიორგი გახლავთ პირველი შვილი ქართული სამეფო გვარის წარმომადგენლების ანა ბაგრატიონ-გრუმინსკისა და დავით ბაგრატიონ-მუხრანელისა. სამეფო გვარის ამ წევრმა 2009 წლის 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, სამების წმიდა საკათედრო გაძარში დაიწერეს ჯვარი. ჯვარდაწერილები მოგვიანებით საცხოვრებლად მადრიდში გაემგზავრნენ, სადაც შეეძინათ უფლისწული გიორგი, საქართველოს სამეფო ტახტის პირდაპირი მემკვიდრე (რედ).

# ძირითადი პრინციპები საქართველოს (შესაძლო) კონსტიტუციური სახალხო მინარქული სახელმწიფოს კონსტიტუციისათვის (და ლეგიტიმის პრინციპების ტაქტიკის გეგმა)



**გაიოზ მაგალაქი**

**საკითხი**  
საქართველოში მეფობის აღდგენა და კონსტიტუციური სახალხო მონარქიის დამყარება დღეისათვის ბევრს სრულიად წარმოუდგენელ ამბად ეჩვენება, მაგრამ, საბოლოოდ რას გადაწყვეტს ქართველი ხალხი მომავალში, შესაძლოა ახლო მომავალშიც, უცნობია. არავის ძალუძს წინასწარ განჭვრიტოს ყველა გამოწვევა, რომლებიც მომავალში დადგება ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოს წინაშე და როგორი იქნება ამ გამოწვევებზე პასუხი ქართული საზოგადოების მხრიდან.

სახელმწიფოს მართვის ნებისმიერი ფორმა, პირველ რიგში, უნდა ემსახურებოდეს ავტოქტონი და, ასევე, საუკუნეების მანძილზე ნატურალური მოქალაქეების ინტერესებს, მათ სამომავლო გეგმებსა და გამომდინარე უნდა იყოს ისტორიაში თავს გადამხდარი საამაყო და ღირსეული მემკვიდრეობიდან, რაზეც, ძირითადად არის დაფუძნებული ყველა ქვეყნის საზოგადოების ფსიქოლოგიური და ზოგადად სასიცოცხლო ინტერესები.

დღეს, საქართველო უდიდესი პრობლემის წინაშე დგას, აღსადგენია საქართველოს იურისდიქცია აფხაზეთსა და ჩრდილო ქართლში (1922-1991 წლებში სამხრეთ ოსეთად წოდებულ ტერიტორიაზე). მანამდე, აღსადგენია ნდობა ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის.

ქვეყანაში დასაძლევია სოციალური სიდუხჭირე, დასამკვიდრებელია სრულფასოვანი დემოკრატია და ა. შ. მაგრამ, რაც უმთავრესია, მოსახდენია ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლება. ანუ მისაღწევია სახელმწიფოს სრული დამოუკიდებლობა.

აქედან გამომდინარე, პირდაპირ შეგვიძლია ვთქვათ, ქვეყანა გარდამავალ ეტაპზე იმყოფება, როდესაც, სხვა საკითხებთან ერთად წყდება სახელისუფლო მონეობის, სახელისუფლო მმართველობის მონეობის საკითხი.

დიდი ხანია კამათი მიმდინარეობს როგორი სახელისუფლო მმართველობა უფრო გამოადგება საქართველოს. ზოგი, გარდამავალი ეტაპის გამო, ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლების მომხრეა, ზოგი, დემოკრატიის განვითარების მიზნით, საპარლამენტო მმართველობას გეთავაზობს, ზოგიერთი მხარს უჭერს შერეულ, ნახევრად საპრეზიდენტო-ნახევრად საპარლამენტო მოდელს.

ქვეყნის მოსახლეობის ერთი, საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი, მოსურნეა საქართველოში კონსტიტუციური მონარქია არსებობდეს. მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლის საკმაო ნაწილი ამ ვარიანტს უჭერს მხარს, ვინაიდან, ქართველთა ტრადიციული სარწმუნოება მეფის ხელისუფლებას ღვთით დადგენილად მიიჩნევს. მართლმადიდებლური ეკლესიის როლი განსაკუთრებითაა აღნიშნული საქართველოს ამჟამინდელ კონსტიტუციაში.

უნდა გავიხსენოთ, რომ ანალოგიურად აფასებს

მეფის ხელისუფლებას სხვა, ტრადიციული რელიგიებიც: ისლამი, იუდაიზმი, კათოლიციზმი (ეს ყველაფერი, კონსტიტუციური სახალხო მონარქიის არსებობის შემთხვევაში აღინიშნება მოქმედ კონსტიტუციაში, პრეამბულა).

**კონსტიტუციური (შეზღუდული) ანუ საპარლამენტო მონარქია**  
უნდა აღინიშნოს, კონსტიტუციური სახალხო მონარქია თავისი წყობით თითქმის იგივეა, რაც საპარლამენტო რესპუბლიკა.  
საპარლამენტო რესპუბლიკური მმართველობის დროს აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მთავრობა და მისი მეთაური (პრემიერ-მინისტრი, კანცლერი). სახელმწიფოს სიმბოლო საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, სხვადასხვა ხელისუფლებებს შორის არბიტრი, და სხვა, გახლავთ პრეზიდენტი, რომელსაც (უფრო მეტად) პირდაპირი არჩევნების მეშვეობით ირჩევენ.

### საყოველთაო არჩევნების გზით არჩეულ პრეზიდენტს აქვს ხალხის ნდობის მანდატი.

მაგრამ, თუ ჩვენ პრეზიდენტს შევცვლით მეფით, თანაც რეფერენდუმის გზით, მას ექნება როგორც ხალხის, ასევე ისტორიის, წინაპრების ნდობის მანდატიც (ეს შეიძლება აისახოს კონსტიტუციაში, პრეამბულა).

საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ხალხი აჯანყებულიყო მეფის ინსტიტუტის წინააღმდეგ. ბაგრატიონთა დინასტია ძალიან ავტორიტეტული გახლდათ თავისი მრავალსაუკუნოვანი მმართველობის მანძილზე.

საპარლამენტო რესპუბლიკის პრეზიდენტი, როგორც ვთქვით, არის ქვეყნის სახელმწიფოებრიობისა და თავისუფლების სიმბოლო, ერთგვარად ატრიალებს კი. ასევე, მეფე არის ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სიმბოლო. თუმცა მონარქის ინსტიტუტი უფრო მეტად ძველი და ტრადიციულია და ხაზს უსვამს ქვეყნის მრავალსაუკუნოვან არსებობას და დამოუკიდებლობას.

მეფის, როგორც ქვეყნის სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის სიმბოლოს არსებობა, სრულიად არ ზღუდავს რესპუბლიკურ პრინციპებს, ვინაიდან მისი უფლებები იქნება შეზღუდული. არჩევითი საკანონმდებლო ხელისუფლებისა და მთავრობის მუშაობა იქნება მთლიანად დამოუკიდებელი, შესაბამისად რესპუბლიკური იდეალებისა. მეფეს არ ეყოლება პოლიტიკური გუნდი. ამგვარად, ერთი ადამიანისა და ერთი პოლიტიკური გუნდის მიერ ვერ მოხდება ხელისუფლების უზურპაცია. მეფე, სახელმწიფოს პირველი პირი ვერ შეძლებს მოქალაქეებზე პოლიტიკური გავლენის გაცელებას. ის არ დანიშნავს თანამდებობებზე ადამიანებს და სხვა (ეს დარეგულირდება კონსტიტუციაში).

### მონარქია - სახელმწიფოებრივი თავისუფლების სიმბოლო

მონარქიის აღდგენის შემთხვევაში საქართველოს მხრიდან განცხადებული იქნება, რომ 1801 წლიდან რუსეთის იმპერიის მიერ დაწყებული ოკუპაცია და ანექსია ჩვენი ქვეყნისა, რომელიც ორ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე მიმდინარეობდა, მთლიანად დასრულებულია და სრული, ისტორიული დამოუკიდებლობა აღდგენილია (ეს შეიძლება აისახოს კონსტიტუციაში, პრეამბულა).

### კონსტიტუციური სახალხო მონარქიის დადებითი მხარეები

მეფის ინსტიტუტის არსებობის შემთხვევაში ქვეყანა თავისუფლდება საპრეზიდენტო არჩევნებიდან, მისი ხარჯებიდან და სხვა თანმდევნი მოვლენებიდან.

### ძალიან მნიშვნელოვანია „პირველი კაცობის“ საკითხი. საქართველოში ეს პრობლემა ძალიან მწვავედ დგას.

ძალიან ბევრისთვის „პირველკაცობა“ არის ცხოვრების მიზანი. ქვეყანაში მეფის არსებობის დროს სხვა ვერ იქნება პირველი. რაც უნდა ბევრი ფული ჰქონდეს და რაც უნდა ძლიერ პოლიტიკოსად გრძობდეს თავს ნებისმიერი, მას უსათუოდ ეცოდინება, რომ მასზე მაღლა, საერო იერარქიაში, არის მეფე, რომელიც მას განიხილავს, როგორც ზრუნვის ობიექტს (ეს აისახება კონსტიტუციაში, თავი - საქართველოს მეფე).

მეფისთვის პირველკაცობის, პირველობის პრობლემა არ დგას. მისთვის განგებაა, ვალდებულებაა ზრუნავდეს ქვეშევრდომებზე. ეს ადგილი მას კარიერისადმი სწრაფით არ მოუპოვებია, არჩევნებში მონაწილეობა, პიარი, რომელიც პოლიტიკური დაჯგუფების მომხრეობა და შესაბამისად, რომელიმე პოლიტიკური დაჯგუფების მონაწილედ გეგობა მას არ დასჭირვებია. ეს ნებულური არ არის, ეს ფატალურია. იგი, უბრალოდ, მეფობისთვის დაიბადა და სამეფოდ გაზარდეს. იმთავითვე ყველაფერი გარკვეულია. მეფე და მისი ოჯახის წევრები არ იქნებიან რომელიმე პარტიის წევრები (ეს აისახება კონსტიტუციაში, თავი — საქართველოს მეფე).

მეფის შენახვა სახელმწიფოსათვის გაცილებით იაფი დაჯდება, ვიდრე პრეზიდენტისა (მით უმეტეს, საპრეზიდენტო საარჩევნო ხარჯებს თუ ჩავთვლით). ამას კონსტიტუცია დაარეგულირებს. მეფეს, დედოფალს, ტახტის მემკვიდრეს აკრძალული ექნებათ საბანკო ანგარიშების, ბიზნესის და სხვა შემოსავლების ქონა, ასევე მეფის სხვა შვილებსა და მეფის დედამამშვილებს სრულწლოვანობამდე.

მეფისა და მისი ოჯახის დროებითი ქონება (და ფინანსები) იქნება მხოლოდ ის, რაც გამოიყოფა სახელმწიფოს მიერ მეფის მხრიდან სახელმწიფოსათვის აუცილებელი მოვალეობებისა და ცერემონიების შესასრულებლად. იმ შემთხვევაში, თუ მეფის ინსტიტუტი გაუქმდება, ქონება დაუბრუნდება სახელმწიფოს (ეს უნდა აისახოს კონსტიტუციაში).

ევროპის სახალხო მონარქიის ქვეყნებში, დიდი ბრიტანეთის გარდა, მონარქების წლიური ხარჯები საკმაოდ მცირეა (ბრიტანეთის მონარქია არისტოკრატიული მონარქიის ზოგიერთ ნიშანს ატარებს, თუმცა სახალხო მინარქიის პრინციპები სულ უფრო და უფრო მატულობს ბრიტანეთში). ევროპის სახალხო მონარქიების მაგალითით იხელმძღვანელებს საქართველოც. მაგალითი აქვეც გვაქვს, ჩვენი მეფეები ისტორიულად ფუფუნების მოყვარულობით არ გამოირჩეოდნენ.

ასეა თუ ისე, **დასასრული გვ. 19**



# მადლი პენსიები შეიქმნა და პარტიისთვის?

2012 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტში დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ხელისუფლების უზენაესი საბჭოს დეპუტატ თამაზ ყურაშვილის („საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტიდან“ - პარტიის თავმჯდომარე ემზარ გოგუაძე, ამჟამად ტელევიზია საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე) ინიციატივით შეტანილი იქნა განაცხადი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერ დეპუტატებისათვის, ევროპისა და პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკების მაგალითზე, პენსიების 2000 ლარამდე დანიშნვის შესახებ კანონში სათანადო ცვლილების შეტანის გზით. დღეს მოქმედი კანონით უზენაეს საბჭოს დეპუტატებს ეძლევათ დეპუტატებისათვის საერთო წესით განსაზღვრული პენსია 550 ლარის ოდენობით.

რასაკვირველია, არავინ შეიძლება იყოს წინააღმდეგი უზენაესი საბჭოს დეპუტატებისათვის პენსიების გაზრდისათვის მათი განსაკუთრებული წვლილის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საქმეში დაფასების მიზნით.

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მონვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა საერთო

რაოდენობა გახლდათ კაცი (სრული სია იხ. აქვე). ამ რაოდენობიდან დღეს მდგომარეობით რამდენიმე ათეული დეპუტატი გარდაცვლილია, ხოლო დარჩენილი რაოდენობიდან მათ შორის რამდენიმე ათეული გახლავთ ის დეპუტატები, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტისა და მისი ეროვნული მთავრობის სამხედრო შეიარაღებულ გადატრიალებასა და დამხობაში, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას განდევნასა და მისი მკვლელობის ორგანიზატორებთან თანამზრახველობაში (ავთანდილ მარგიანი, ელდარ შენგელაია, ვაჟა ადამია, აკაკი ბობოხიძე, ალექსანდრე კავსაძე, თენგიზ კიტოვანი, აკაკი ასათიანი და სხვ.).

იმპერიული რუსეთის მიერ დაფინანსებულმა და შეიარაღებულმა დეპუტატების ამ ნაწილმა თავად დაუშინეს ტყვეები და ქვემეხები ახალფუნდგმულ დამოუკიდებელ საქართველოს, ხოლო ზოგიერთი მათგანი მიემხრო პუტჩს, ხუნტას, რამაც ცხადჰყო, რომ „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტზე“ მათი ხელმომწერა იყო ფიქტიური, ფიქცია! შედეგად, მათ მიერ ნალაგებული სამშობლო - საქართველო დღეს ტერიტორიულად დაშლილ-დანაწევრებული, ეკონომიკურად განადგურებული

და შიმშილითა და დაავადებებით სულს ღაფავს ქართველი ერი.

ჩვენ შევეცადეთ მცირე ინტერვიუ მაინც ჩაგვეწერა თამაზ ყურაშვილთან, რომლის უზენაესი საბჭოს დეპუტატობა ჩვენთვის, მხოლოდ მის ამ ინიციატივასთან დაკავშირებით გახდა ცნობილი. საზოგადოებისათვის ამ თითქმის უცნობ „უზენაესი საბჭოს დეპუტატს“ ჩვენ, ტელეფონით დავუკავშირდით. ბატონი ყურაშვილი ძალზედ გააღიზიანა ჩვენი დარეკვის მიზეზმა: საიდან გაიგეთ, რომ ასეთი განცხადებით მივმართეთ პარლამენტს! ამგვარი მკაცრი ჩაკითხვის შემდგომ, ყურაშვილმა ისე ოსტატურად „ააბურთა“ ჩვენი შეკითხვები, როგორც გამოცდილ ჩეკისტებს სჩვევიათ ეს.

ჩვენი სატელეფონო საუბარი ყურაშვილთან ვერ შედგა! ხოლო მის მიერ ინიცირებული განცხადება რეაგირებისათვის მიწერილი აქვს დეპუტატ ზვიად ძიძიგურს. ჩვენ დავინტერესდით რა სტადიაზეა განცხადების საკითხი, რისთვისაც დავრეკეთ პარლამენტში, სადაც დავიდასტურეს ამგვარი განცხადების არსებობის ფაქტი და განგვიმარტეს, რომ უახლოეს მომავალში მისი განხილვა არ იგეგმება.

და, მაინც...

## საქართველოს რესპუბლიკის პირველი მონვევის უზენაესი საბჭო - 1991-1992 წ.წ.

1. აბაკელია ვაჟა ბორისის ძე
2. აბესაძე ბეჟან გოგიტას ძე
3. აბზიანიძე შალვა გიორგის ძე
4. ადამია ვაჟა გიორგის ძე
5. ალექსიძე ლევან ანდრეას ძე
6. ანდელუაძე ლია ნიკოლოზის ასული
7. არაბული ალექსი დავითის ძე
8. არევაძე დავით ბიკენტის ძე
9. ასათიანი აკაკი თორნიკეს ძე
10. ასათიანი ლევან დიმიტრის ძე
11. აფაქიძე ანდრია მელიტონის ძე
12. აფრასიძე ბიმურზა გერმანეს ძე
13. ახვლედიანი ალექსანდრე ზურაბის ძე
14. ახმეტელი ლევანი
15. ბალარჯიშვილი მერაბ დავითის ძე
16. ბარათაშვილი იოსებ ზურაბის ძე
17. ბარათაშვილი პაატა როსტომის ძე
18. ბარამიძე თენგიზ ნესტორის ძე
19. ბერძენიშვილი დავით ვალერიანის ძე
20. ბეჟაშვილი თენგიზ ამირანის ძე
21. ბიბინიშვილი ბესარიონ ილიას ძე
22. ბობოხიძე აკაკი ივანეს ძე
23. ბოკუჩავა ზვიადი მიხეილის ძე
24. ბურკაძე იური გიორგის ძე
25. ბურჭულაძე ნემო პიერის ძე
26. გაბაშვილი მანანა ვალერიანის ასული
27. გამსახურდია ზვიად კონსტანტინეს ძე
28. გამყრელიძე თამაზ ვალერიანის ძე
29. გასანოვი აკიფ ანვერ ოლი
30. გაფრინდაშვილი შოთა შოთას ძე
31. გაჩეჩილაძე გივი სერგოს ძე
32. გელანტია ტარიელ ამირანის ძე
33. გვანცელაძე თეიმურაზ იონას ძე
34. გველესიანი თამაზ გურამის ძე
35. გვერდნითელი გურამ ესტატეს ძე
36. გიგოლაშვილი ზურაბ ვახტანგის ძე
37. გიორგობიანი ბიძინა გოდერძის ძე
38. გოგაძე დავით გურამის ძე
39. გოგუაძე ემზარ გიორგის ძე
40. გოლეთიანი გივი აბესალომის ძე



## საქართველოს ზვიად განმათავისუფლებლის პარტია

ZVIAD LIBERATOR'S PARTY OF THE GEORGIA  
თბილისი, 380005, ლეონიძის ქ. 8 ტელ: 92 36 35; მობილ: 8 51 92 36 55  
TBILISI, 380005, LEONIDZE STR. 8 TEL: 92 36 55; Mobil: 8 51 92 36 55

№ \_\_\_\_\_

### საქართველოს პარლამენტს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ბ-ნ ზვიად ძიძიგურს

**ზვიად განმათავისუფლებლის პარტიის რეკომენდაცია უზენაესი საბჭოს დეპუტატის თამაზ ყურაშვილის ინიციატივაზე „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტზე“ ხელმომწერ დეპუტატებისათვის პენსიის 2000 ლარამდე გაზრდასთან დაკავშირებით**

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ 2012 წლის დეკემბერში პარლამენტში შემოვიდა ინიციატივა უზენაესი საბჭოს დეპუტატებისათვის ევროპისა და პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკების მაგალითზე „სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტზე“ ხელმომწერ დეპუტატებისათვის პენსიის 2000 ლარამდე გაზრდის შესახებ.

ვინაიდან, საქართველოს რესპუბლიკა წარმოადგენს იმ იშვიათ გამონაკლისს, როდესაც ამ ქვეყნის დეპუტატების ნაწილმა მარჯვენათი ხელი მოაწერეს საქართველოს დამოუკიდებლობას, ხოლო მარცხენა ხელით ტყვეები დაუშინეს მათ მიერვე ხელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და ხმა მისცეს და მიესალმნენ საქართველოს სნგ-ში შესვლას.

ამ წინააღმდეგობრივი ისტორიიდან გამომდინარე, გთხოვთ საკითხის ზოგადად დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში მოახდინოთ ამგვარი დეპუტატების გამოვლენა და გამორიცხვის მეთოდით მათი დიფერენცირება აღნიშნული გადაწყვეტილებიდან.

წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ მომავალშიც ნაახალისებთ ღალატსა და შეთქმულებას ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ და ქვეყანაში არასოდეს აღდგება და დამკვიდრდება სამართლიანობა. ხოლო ამაში პასუხისმგებლობა დაგეკისრებათ თქვენ!

პარტიის თავმჯდომარე **ლეილა ცოგიაია**

2013 წლის 5 დეკემბერი.





- 41. გოლეტიანი ჯემალ აკაკის ძე
- 42. გონაშვილი ბეჟან ბიძინას ძე
- 43. გოცირიძე რომან რაჭდენის ძე
- 44. გუგუშვილი თამაზ ვალერიანის ძე
- 45. გუგუშვილი ეთერ ნიკოლოზის ასული
- 46. გულბანი გიორგი გელას ძე
- 47. გულუა ბაკურ დავითის ძე
- 48. გუმბარიძე გივი გრიგოლის ძე
- 49. გურგენიძე ვაჟა გივის ძე
- 50. გუჩუა ზურაბ შალვას ძე
- 51. გუჯაბიძე გურამ ალექსანდრეს ძე
- 52. დანგაძე ბიძინა შოთას ძე
- 53. დევნოზაშვილი ზაქარია შოთას ძე
- 54. დეკანოსიძე თამარ ივანეს ასული
- 55. დვალისძე დემურ ნოეს ძე
- 56. დვალისძე მალხაზ იოსების ძე
- 57. დიაკონიძე ფირუზ ვლადიმერის ძე
- 58. დიასამიძე თამაზ ახმედის ძე
- 59. დიხამინჯია თენგიზ დავითის ძე
- 60. დოგუხოვი პავლე ვასილის ძე
- 61. დომუხოვსკი ვიქტორ პეტრეს ძე
- 62. ელოშვილი ომარ ილიას ძე
- 63. ვარძელაშვილი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე
- 64. ზვიადაძე სალომე ზურაბის ასული
- 65. თალაკვაძე გივი მოსეს ძე
- 66. თაქთაქიშვილი გივი ჩიტოს ძე
- 67. თომაძე მაია პეტრეს ასული
- 68. თოიძე პაატა ავთანდილის ძე
- 69. თუმშალიშვილი მედეა მირიანის ასული
- 70. იმერლიშვილი გივი გრამიტონის ძე
- 71. იმნაძე ავთანდილ პროკოფის ძე
- 72. იმნაძე ნოდარ ტარიელის ძე
- 73. ინასარიძე ხვედრი ნიკოლოზის ძე
- 74. ინგოროყვა ანტონ ვლადიმერის ძე
- 75. იონათამიშვილი ჯემალ სულიკოს ძე
- 76. იოსელიანი რამაზ ოტას ძე
- 77. ისაკაძე გრიგოლ (გურამ) ეფრემის ძე
- 78. კავსაძე ალექსანდრე ირაკლის ძე
- 79. კალაძე ამირან სერგოს ძე
- 80. კანდელაკი ზურაბ კონსტანტინეს ძე
- 81. კანკავა გურამ ისაიას ძე
- 82. კაპანაძე კონსტანტინე ვახტანგის ძე
- 83. კასრაძე სოსო ვახტანგის ძე
- 84. კაცაძე ლია გიორგის ასული
- 85. კახიანი ზაზა ნიკოლოზის ძე
- 86. კემულარია რევაზ ამირანის ძე
- 87. კემელავა ვარლამ ვარლამის ძე
- 88. კვანჭილაშვილი მალხაზ ტარიელის ძე
- 89. კვაჭაძე ნუგზარ აქვსენტის ძე
- 90. კვეტენაძე ავთანდილ ალექსანდრეს ძე
- 91. კვიციანი კანდიდ აკაკის ძე
- 92. კიკნაძე მერაბ შალვას ძე
- 93. კილასონია ნიკოლოზ არჩილის ძე
- 94. კიტოვანი თენგიზ კალისტრატეს ძე
- 95. კობაძე აკაკი ზურაბის ძე
- 96. კობერიძე გელა ელიზბარის ძე
- 97. კონცელიძე რესან ხასანის ძე
- 98. კორძაძე გაიოზ ბენოს ძე
- 99. კოსტავა ზაურ ფერლოს ძე
- 100. კოლუაშვილი პაატა პეტრეს ძე
- 101. კუბლაშვილი თენგიზ პიმენის ძე
- 102. კუდბა ანზორ ისმაილის ძე
- 103. კუპრეიშვილი დავით ბიჭიკოს ძე
- 104. ლეკიშვილი ნიკოლოზ მიხეილის ძე
- 105. ლობჯანიძე გივი შალვას ძე
- 106. ლორთქიფანიძე თემურ სერგოს ძე
- 107. ლორთქიფანიძე როსტომ ვასილის ძე
- 108. მამალაძე ნუგზარ გრიგოლის ძე
- 109. მამულაძე ნომრევან მახმუდის ძე
- 110. მამფორია თენგიზ სერგოს ძე
- 111. მარგიანი ავთანდილ ანტონის ძე
- 112. მარგიანი გრიგოლ ნიკოლოზის ძე
- 113. მარჯანიშვილი გიორგი გივის ძე
- 114. მასხარაშვილი ირაკლი სიმონის ძე
- 115. მაქაცარია გურამ შალვას ძე
- 116. მაჭავარიანი არჩილ ოთარის ძე
- 117. მაჭავარიანი მაია ვლადიმერის ასული
- 118. მაჭავარიანი მუხრან ივანეს ძე
- 119. მაყაშვილი მიხეილ დიმიტრის ძე
- 120. მაგალობლიშვილი ნუგზარ პეტრეს ძე
- 121. მდინარაძე თემურ დავითის ძე
- 122. მელაძე ალიკო (ალბერტი) შალვას ძე
- 123. მელაშვილი ირაკლი თენგიზის ძე
- 124. მემარნიშვილი როდენ ბენიამინის ძე
- 125. მეტრეველი როინ ვიქტორის ძე
- 126. მეუნარგია ვახტანგ ვალერიანის ძე
- 127. მინდიაშვილი არჩილ გურამის ძე
- 128. მირიანაშვილი მირიან შოთას ძე
- 129. მირცხულავა ვლადიმერ ამბროსის ძე
- 130. მოლოდინაშვილი ნუგზარ არჩილის ძე
- 131. მუჟავა თემურ ვალერიანის ძე
- 132. ნადარეიშვილი ზვიად გიორგის ძე
- 133. ნადარეიშვილი თამაზ ვლადიმერის ძე
- 134. ნათაძე მაია რევაზის ასული
- 135. ნათაძე ნოდარ რევაზის ძე
- 136. ნარმანია იგორ შალვას ძე
- 137. ნინიძე თევდორე გიორგის ძე
- 138. ნონიაშვილი ნოდარ გიორგის ძე
- 139. ნობაძე თამაზ აბესალომის ძე
- 140. ოდიშარია არჩილ ვარლამის ძე
- 141. ოჩიაური გიორგი ალექსის ძე
- 142. პაატაშვილი თედო შალვას ძე
- 143. პავშენცევი ალექსანდრე იურის ძე
- 144. პაპუნძე გურამ რაფიელის ძე
- 145. პეტრიაშვილი გურამ (სიმონ) მელენტის ძე
- 146. პეტრიაშვილი რობერტ მელენტის ძე
- 147. პოპიაშვილი ავთანდილ დიმიტრის ძე
- 148. ჟორჯოლიანი თამაზ ომარის ძე
- 149. ჟღერტი ალექსანდრე დავითის ძე
- 150. რიგვავა სერგო ტარასის ძე
- 151. რცხილაძე ავთანდილ ფარნაოზის ძე
- 152. საკანდელიძე ანზორ ალექსანდრეს ძე
- 153. სალუქვაძე მინდია ევგენის ძე
- 154. სანებლიძე ნიკოლოზ ჯემის ძე
- 155. სანიკიძე გუბაზ ლევანის ძე
- 156. სანიკიძე ზურაბ ტიტეს ძე
- 157. საყვარელიძე ავთანდილ პეტრეს ძე
- 158. საყვარელიძე მერაბ ვლადიმერის ძე
- 159. საჯავაძე ნუგზარ რაფდენის ძე
- 160. საჯავაძე ჯემალ ბიქტორის ძე
- 161. სილაგაძე აპოლონ აპოლონის ძე
- 162. სიჭინავა ანზორ ვალერიანის ძე
- 163. სუბელიანი გია ანზორის ძე
- 164. სურმანიძე რამაზ დურსუნის ძე
- 165. ტაბიძე დავით მარლენის ძე
- 166. ტალიაშვილი ირინე ილიას ასული
- 167. ტურაშვილი ივანე (უშანგი) თედოს ძე
- 168. ტუხაშვილი ლოვარდ ვასილის ძე
- 169. უგრეხელიძე მინდია გურამის ძე
- 170. ურიათმყოფელი გივი თემიკოს ძე
- 171. ურიდია მერაბ ბორისის ძე
- 172. ფაჩუაშვილი ჯეირან ნიკოლოზის ძე
- 173. ფიდანიანი მამიკონ გეგორქის ძე
- 174. ფიროსმანიშვილი დალი სარდიონის ასული
- 175. ფირცხალაიშვილი გია გოდერძის ძე
- 176. ფრანგიშვილი ივერი ვარლამის ძე
- 177. ფუტყარაძე ტარიელ ალექსანდრეს ძე
- 178. ფხალაძე ვიქტორ კალისტრატეს ძე
- 179. ქავთარაძე გიორგი გიორგის ძე
- 180. ქაშაკაშვილი გურამ ვენედიქტეს ძე
- 181. ქიტიაშვილი შოთა ნიკოლოზის ძე
- 182. ქებურია დიმიტრი გიორგის ძე
- 183. ქობალია ზაურ დავითის ძე
- 184. ქობულაშვილი ალექსანდრე (ალიკო) გიორგის ძე
- 185. ქორიძე თეიმურაზ აკაკის ძე
- 186. ქუთათელაძე ბესიკ თენგიზის ძე
- 187. ქუთელია ნათელა სამსონის ასული
- 188. ლონდაძე რუსლან გიორგის ძე
- 189. ყაველაშვილი ეთერ გრიგოლის ასული
- 190. ყრუაშვილი ანრი ილიას ძე
- 191. ყურაშვილი თამაზ პიმენის ძე
- 192. შავთვალაძე ნუგზარ მიხეილის ძე
- 193. შაიშვილაშვილი გიორგი მიხეილის ძე
- 194. შანიძე მზექალა აკაკის ასული
- 195. შარიქაძე ვალერიან აკაკის ძე
- 196. შიშიაშვილი თეიმურაზ გივის ძე
- 197. შენგელაია ელდარ ნიკოლოზის ძე
- 198. შონია ჯემალ ბიქტორის ძე
- 199. შურაია ვალტერ გრიგოლის ძე
- 200. შუშანაშვილი ალექსანდრე ამირანის ძე
- 201. ჩაფიჩაძე კუკური ასტიონის ძე
- 202. ჩაჩავა თენგიზ ნიკოლოზის ძე
- 203. ჩეჩელაშვილი
- 204. ჩიტლოვი ფოტი სამსინის ძე
- 205. ჩიქავა გოგი გიორგის ძე
- 206. ჩიქავა ლეო ლეონტის ძე
- 207. ჩოლოყაშვილი ბიძინა კონსტანტინეს ძე
- 208. ჩორგოლაშვილი გელა არტემის ძე
- 209. ჩხეიძე პაატა ავთანდილის ძე
- 210. ცაგარეიშვილი ვახტანგ შალვას ძე
- 211. ცომაია შალვა გოგლას ძე
- 212. ცოფურაშვილი ვლადიმერ (ლადო) ვასილის ძე
- 213. ცხომელიძე რომან რეზმანის ძე
- 214. ძიდიგური აკაკი ვარლამის ძე
- 215. ძიდიგური ზვიად ვალიკოს ძე
- 216. ძოძუაშვილი მანანა გრიგოლის ასული
- 217. ძონენიძე ზურაბ გიორგის ძე
- 218. ნითლანაძე გიორგი იაკობის ძე
- 219. ნიკლაური მირიან სერგოს ძე
- 220. ნიკლაური შალვა გაბრიელის ძე
- 221. ნინილაშვილი შალვა ავთანდილის ძე
- 222. ნიქარიძე ზურაბ ნიკოლოზის ძე
- 223. ნუღეისკირი ნოდარ ალექსანდრეს ძე
- 224. ჭითავა ვახტანგ ამირანის ძე
- 225. ჭითანავა ნოდარ ამბროსის ძე
- 226. ჭილაშვილი ლევან ალექსანდრეს ძე
- 227. ხაბულიანი დილარი მიხეილის ძე
- 228. ხავთასი გია გრიგოლის ძე
- 229. ხანიშვილი ტრისტან სილომონის ძე
- 230. ხარატიშვილი გურამ ლევანის ძე
- 231. ხარაძე ევგენი კირილეს ძე
- 232. ხახვა თენგიზ სულეიმანის ძე
- 233. ხაჭაპურიძე ნიკოლოზ არჩილის ძე
- 234. ხონელიძე გიორგი იოსების ძე
- 235. ხოშტარია გიორგი მეთოდეს ძე
- 236. ხუციშვილი მალხაზ ვახტანგის ძე
- 237. ჯავახია ბეჟან აპოლონის ძე
- 238. ჯავახისვილი ნინო ალექსანდრეს ასული
- 239. ჯანბერიძე ნოდარ შალვას ძე
- 240. ჯანელიძე თეიმურაზ არჩილის ძე
- 241. ჯანელიძე ედუარდ არჩილის ძე
- 242. ჯანელიძე თამაზ ბესარიონის ძე
- 243. ჯანჯულია ედიშერ კალისტრატეს ძე
- 244. ჯაფარიძე ბადრი გივის ძე
- 245. ჯაფარიძე ბუხულა მერაბის ძე
- 246. ჯაში ვიტალი ნიკოლოზის ძე
- 247. ჯიქია ბონდო სერაპიონის ძე
- 248. ჯოლოგუა ვლადიმერ იროდიონის ძე
- 249. ჯორჯიაშვილი მიხეილ სიმონის ძე



# ემიგრანტის ფქრები



ჩემმა ბავშვობამ იმერეთის ერთ პატარა ქალაქში გაიარა. ხშირად ვსტუმრობდი დედას, ულაშაშვილს და მთის კალთაზე გადმოვიღებულ იმერულ სოფელს, სადაც ჩემი უტკბილესი ბებია მოუთმენლად გველოდა ყოველ არდადეგებზე.

ამ ქვეყანად, თუ რაიმე ძვირფასი მოგონება გამაჩნია ბავშვობისა, სწორედ ამ სოფლის და ბეზის დამსახურებაა. ახლაც, ბედის უკუღმართობით ოცი წლის წინათ უცხოეთში გადახვეწილი, იქაური მოგონებებით ვიბრუნებ სულს...

თბილისი ჩემი სიყმაწვილის ქალაქია. გამოგიტყდებით, მე იგი ბავშვობიდან მიყვარდა, მეოცნებებოდა. მიყვარდა მისი ყოველი ხე და ბუჩქი, მისი ყველა მტკაველი. თბილისი ისე ღრმად იყო ჩემში, რომ არასოდეს მიფიქრია, რომ იგი არ იყო ჩემი მშობლიური ქალაქი. არ მიყვარდა მასთან განშორება. მენატრებოდა, მისკენ ვიღვრებდი მუდამ, ასეა ახლაც.

მშობლიური ქალაქი... რას ნიშნავს იგი ადამიანისთვის?! -თბილისი ხომ ყველა ქართველის მშობლიური ქალაქია. როგორ შეიძლება შენი დედაქალაქი არ იყოს მშობლიური შენთვის, არ გეძვირფასებოდეს, არ გიყვარდეს უზომოდ, როგორც საკუთარი ქალაქი, არ უფრთხილდებოდე, არ იცავდე მას.

ასეთი გრძობით დამუხტული ახალგაზრდა ჩამოდის თბილისში და ....არ მინდა დავამთავრო. ქალაქელ მეზობელს მისი ჩაცმულობა არ მოსწონს. ლექტორს მისი კილო, თავის კუთხიდან ჩამოყოლილი. თანატოლებში დაცინვის სუბიექტია, თბილისელი თანაკურსელები ცოტა ზემოდან დაჰყურებენ. არადა, ეს ახალგაზრდა გენიოსია. იგი მომავალი მეცნიერია, ექიმი, პოეტი, ინჟინერია, გმირია....

**და ეს ახალგაზრდა წერს:**  
**....და ცდილობ გემებს გააყოლო მზერა, დაათირო**  
**მლაშე სილურჯით ტროპიკების, რადგან თბილისი**  
**უკვე ყელში გაქვს ამოსული, უკვე დაგლალა.**  
**მაინც ბრუნდები სადაც გკლავენ, სადაც არ სძინავს**  
**ცათამბრჯენებით განათებულ თაღების ქალაქს,**  
**შესვლისთანავე კილოზე რომ გინწყებს დაცინვას.**

*/თემურ ელიაძე/*

**და მე მრცხვენია...**  
 მანამდე კი... იყო „ნაღდი თბილისელების“, მოწოდება, გაერთიანებულიყვენ და გაენთავისუფლებინათ ქალაქი „გომიებისაგან.“ ანუ კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერი ადამიანებისაგან, სახლკარი რომ მიატოვეს და სამშობლოს გასაჭირში გვერდით დაუდგნენ დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას. ადამიანებისაგან, მშვიდობა და ღრმადი შეყვარება რომ იდგნენ მთავრობის სახლთან და სამშობლოს დასაცავად ენინააღმდეგებოდნენ, ადამიანებისაგან, ტყვიებით რომ გაუმასპინძლად დაედაქალაქი, მას შემდეგ, რაც ერის ელიტიდან ნოდებულმა განათლებულმა და ერის „მხსნელად“, გამოცხადებულმა „ინტელიგენციის“, ზოგიერთმა წარმომადგენელმა მათ სუნიანი ბრბო უწოდა.

ერთი უბრალო, ღიდილოსფერ თვალებიანი ბიჭი, ჩემს პატარა იმერულ ქალაქში გაზრდილი, ჩემი კბილა და თანაშემწე, სირცხვილისა და სასონარკვეთისაგან შუა დედაქალაქში ბენზინის ისხამს და თავს იწვავს...  
 -ქართველებო, შერიგდით!- გვიბარებს სულთმობრძავი.  
 ეს გაა აბესაძე იყო, რომელმაც ამაო თვითშენიერების მსხვერპლი გაიქცა...  
 ეპ, გა... გვერსა, შენი თავგანწირვით ლითურგისაგან გამოაფხიზლებდი შენს სათაყვანებელ ქართველებს. ირგვლივ მიმოახედებდი და გონს მოიყვანდი...  
 მაგრამ ლამის ავადმყოფობა დაგაბრალებს, ათასობით გმირის გამზრდელ ერის გმრობას გადაჩვეულმა შვილებმა...  
 თბილისში კი „ნაღდი თბილისელები“ სიძულვილით ღვრიან მოყვასის სისხლს და „ჭაუბიციებით“ ანგრევენ თბილისს, გვეუბნებიან სიძულვილით კაკანებს მათი ავტორიტეტი, სისხლისღვრა გრძელდება. დანგრეული თბილისი, დახვრეტილი ქაშუეთი, დახვრეტილი მშვიდობიანი მიტინგები, კანონიერი პრეზიდენტის, კიდეც ერთი თავდადებული მამულიშვილის დევნა- მკვლელობა, აფხაზეთი, სამაჩაბლო, აზერბაიჯანული და მინასთან გასწორებული სამეგრელო და ყოველივე ამისთვის რუსეთის სატრაპი შევარდნაძისგან „მადლობა ქართულ ინტელიგენციას იარაღით ხელში, რომ დაიწავით დემოკრატია“...

**და მე მრცხვენია.....**  
 21-ე საუკუნე რუსის ტანკებით და ცისარტყელის ფერი დროშით შემოგრილა საქართველოში. ჩემი ქალაქი ბაბილონს დაემსგავსა. რა ენაზე საუბარს არ გაიგებს აქ კაცის ყური. უფრო მეტიც, ჩემმა ნიჭიერმა ახალგაზრდობამ, ადრე რომ სომხურად, ქურთულად და აზერბაიჯანულად ელაპარაკებოდა (შესაბამისად) თავის მეზობლებს, ახლა ინგლისურიც შესანიშნავად ათვისდა და ჩინურის და ინდურის, არაბულის და თურქულის ათვისებაც დაიწყო.  
 აბა, როგორ, საქართველო ხომ ახალი ბაბილონი! ყველა ჩამოსულს ხომ თავის ენაზე უნდა მოემსახურო! ეს ხომ ჩვენი ტრადიციაა! ქართველები ხომ ტოლერანტები ვართ!...  
 მხოლოდ... აი, თბილისის მერის კანდიდატურამ შეგვანუხა ძალიან, რადგან წარმოშობით არ ყოფილა თბილისელი. უფრო მეტიც, თავისი კუთხის კილოც ჩამოჰყოლია თურმე. როგორ გვეკადრება თბილისელებს ასეთი მერი?!

**....და მე უკვე ტირილამდე მრცხვენია ჩემი დედაქალაქის. საქართველოს ყველა კუთხის რჩეულ შვილთა შეკრების ალაგის, ჩემი ქართველობის გვირგვინის მრცხვენია, ცოტა ხანში ქართველი რომ სანთლით საძებარი გაუხდება და ქართულად მხოლოდ „პროვინციიდან,, ახლად ჩამოსულისაგან თუ გაიგონებს ორიოდ სიტყვას დასუნებულ კილოზე.**

ვაჟა, მთიდან ზვავევით დაგორებულ გენიაჟ, ვერაფერიც ვერ მოუხერხებ შენს ერს.  
 შენ და შენაირი მუხლებიანი გენიოსები მარტო სუფრაზე ახსენდებით შემთვრალთ... ისიც ერთეულებს...

**„მე არც ერთ კილოს არ ვწუწობ,**  
**თუა ქართველის გვარისა,**  
**მოთაყვანე ვარ ყოველისა**  
**იმათ ტკბილის და მწარისა.**  
**სხვა რამ მაშინებს, ისა ვსთქვათ,**  
**დამხმობი მზის და მთვარისა,**  
**სამშობლოს დამამხობელი**  
**და გამომჯრელი კარისა...  
 სჯობს, რომ იმაზე ვიტყვით,**  
**მუდამ მთქმელი ვარ ამისა,**  
**ნუ შეგაშინებსთ, არ გავნებსთ**  
**მთიდან ყვირილი ხარისა..“**

აი, ჩვენ კი, 21-ე საუკუნის ქართველებს მხოლოდ ეგლა გვაშინებს, ჩემო დიდო წინაპარო. აბა, მითხარ - „ჩვენისთანა ბედნიერი, განა არის კიდეც ერი?“

*ოცი წელია წასული ვარ და ყოველ წელს მოვდივარ, ვბრუნდები...  
 რაც დრო გადის, უფრო მეტად გშორდები, ჩემო სამშობლოვ!  
 „წინაპართაგან ნავიდა ყველა, სხვა ხალხის ისმის აქ ყრიაშული“ მაფიქრებს.  
 ხშირად ჩამესმის სამშობლოს მონყვეტილი ადამიანის მუდამ თანმდევ კითხვა:  
 „როგორ შემეყრება ჩემი სამშობლო და როგორ შევეყრები მე მას?!...“  
 მორჩა, მოვდივარ, ვბრუნდები!....,ლა ლე, ლა ლე.....ჩემო ლამაზო სამშობლოვ, შენთან მოვალ მა ლე!...“  
 მე დავბრუნდები... მკვდარი თუ ცოცხალი, უსათუოდ დავბრუნდები!...  
 მაგრამ, შენ თუ დამხვდები?!.....*

# ვაჟა ადამიას უღმობლობა და პარკოზობა!

საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის, გარეშე და შინაურმა მტრებმა, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უახლოეს გარემოცვაში ჩანერგილი აგენტურის მინაგამიდველობით, 1993 წლის 31 დეკემბერს (ზუსტი რიცხვი დღემდე დაუდგენელია) წამებით მოკლეს დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

ვაჟა ადამია, რომელიც ვერაზე, მერაბ კოსტავას სახლის მიმდებარე ეზოში დაიბადა და გაიზარდა, მერაბის პოლიტპატიმრობიდან გათავისუფლების შემდგომ მერაბისა და ზვიადის თანამებრძოლი გახდა და მერაბის გარდაცვალებისთანავე, ზვიადთან კონსულტაციით დაარსა მერაბ „კოსტავას საზოგადოება და ფონდი“, რითაც დღემდე არსებობს. „მერაბ კოსტავას საზოგადოებით“ კი, ზვიად გამსახურდიამ იგი „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს ბლოკში“ შეიყვანა და უზენაესი საბჭოს დეპუტატი გახდა. ამ ფონდში შექმნილი არასახარბიელო ვითარების გამო, ზვიადს ხშირად უწევდა ვაჟა ადამიას ნაცვლად პასუხისგება, მაგრამ მაინც არ მოიკვეთა იგი. ადამიამ კი ყველა სიკეთე, მხოლოდ მტრობითა და ბოროტებით გადაუხადა ზვიადს.



ყველაზე ცინიკური და უღმობელი ქმედება ვაჟა ადამიას მხრიდან კი იყო „მერაბ კოსტავას საზოგადოების“ სახელით შეიარაღებული ბრძოლის წარმოება ზვიად გამსახურდიას, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტისა და ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ და მისი გააფთრებული ბრძოლა იმპერიული რუსეთის სასარგებლოდ!  
 ეროვნული ხელისუფლების დამხობისა და რუსეთიდან ე.შევარდნაძის ტახტრეკვანიტ ჩამობრძანების (1992 წ. 7 მარტი) შემდგომ „პატრიოტი და მერაბ კოსტავას საზოგადოების“ ე.წ. თავმჯდომარე ვაჟა ადამია ასეთ განცხადებას აკეთებს: „რა დონის პოლიტიკოსიც არ უნდა იყოს და რა დამოუკიდებულებამაც იგი ეღუარდ შევარდნაძესთან, ვალდებულია დადებითად შეფასოს ამ კაცის საქართველოში ჩამოსვლა, რადგან მისი პოლიტიკური ნიჭი და უდიდესი საერთაშორისო ავტორიტეტი, სწორედ რომ ჰაერით სჭირდება ეკონომიკურად დანგრეულ და პოლიტიკურად გათიშულ საქართველოს“. ციტატა 1992 წლის 22 მარტს ვაჟა ადამიას ლანჩხუთის რაიონის საზოგადოების ერთ ნაწილთან შეხვედრიდან (იხ. გაზეთი „ლანჩხუთის მოამბე“, 1992 წ. 27 მარტი, N16).  
 ხოლო, თუ როგორ „ააყვავა“ ეკონომიურად, როგორ აღმოფხვრა პოლიტიკური გათიშულობა ერში და როგორ „გააერთიანა“ საქართველო, ეს კრიტიკული კითხვა, შევარდნაძის მადიდებელ ვაჟა ადამიას დღესაც რომ დაუსვათ, უტიფრად გიპასუხებთ, რომ სავსებით სწორი გადაწყვეტილება იყო ზვიადის დამხობა და შევარდნაძის ჩამოყვანა!  
**ქათიქან ჭანტუჩია**

**რუსუდან გომბერაშვილი**  
**საბერძნეთი; თესალონიკი**



**დასაწყისი გვ. 15**

აფხაზეთისა და ასევე ჩრდილო ქართლის მინაწყალი არის ბაგრატიონთა დინასტიის ლეგიტიმური ტერიტორია. ამას აღიარებს ყველა დინასტია. ეს საკითხი მნიშვნელოვანია ვენის კონგრესის მერე (1815 წ.).

სწორედ მთელი პროგრესული მსოფლიოსათვის საკმაოდ დამაჯერებელი და მნიშვნელოვანი იქნება ისეთი სახელისუფლო მონაცემი, სადაც ქვეყნის მეთაური, მეფე, იქნება ორივე ერის, როგორც აფხაზების, ისე ქართველების ისტორიული დინასტიის შთამომავალი, ორივე ერის შვილი, ორივე ერის ინტერესების დამცველი, ერთგვარად, არბიტრიც კი მათ შორის (ეს აისახება კონსტიტუციაში, თავი — საქართველოს მეფე).

საქართველოს მეფისათვის აუცილებელი იქნება ქართული და აფხაზური ენების კარგად ცოდნა. აფხაზეთში, შესაძლოა დაარსდეს მეფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეზიდენცია. მეფე, ტახტზე ასვლის წინ, აფხაზი ერის ინტერესების დაცვის გარანტიას მისცემს ჩვენს მოძმე ხალხს, აფხაზეთში (კონსტიტუცია, პრეამბულა და თავი — საქართველოს მეფე).

ასევე, საქართველოს მეფე იქნება სხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანების სათვითონოთა ინტერესების დამცველი ქვეყანაში, როგორც იყო ისტორიულად (კონსტიტუცია, თავი — საქართველოს მეფე).

შესაძლოა, აფხაზეთი გამოცხადდეს სამთავროდ საქართველოს შემადგენლობაში, რომელსაც ეყოლება თავისი მთავარი — საქართველოს ტახტის მემკვიდრე, მეფის უფროსი ვაჟი (დაახლოებით დიდი ბრიტანეთის მაგალითის მიხედვით, სადაც ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე არის უელსის პრინცი).

**შესაძლოა ტახტის მემკვიდრე იზრდებოდეს აფხაზეთში. ეს შეიძლება დარეგულირდეს კონსტიტუციით.**

ცნობილია, რომ ბაგრატიონები არიან მემკვიდრე თამარ მეფის დედის, მზეთუნახავი ბურდუხანისა, რომელიც იყო ასული ოსთა მეფის, ხუდანისა. თამარის ქმარი დავით სოსლანი გახლდათ ბაგრატიონთა ოსეთის (რა თქმა უნდა, ჩრდილო კავკასიის, რადგან სამხრეთ კავკასიაში ოსეთი არ არსებობდა) შტოს წარმომადგენელი, რომლის ძარღვებში გარდა ბაგრატიონთა სისხლისა, ოსი მეფეების სისხლიც ჩქეფდა. ამგვარად, ბაგრატიონები ჩვენი ქვეყნის ოსი ეროვნების მოქალაქეებისთვისაც ახლობლები არიან. ბაგრატიონები არიან ასევე სომეხი მეფეების შთამომავლებიც (აგრეთვე ქალთა მხრიდან). ასევე ბაგრატიონებს ნათესაობა ჰქონდათ ალბანელი (შირვანელი) ხალხის (რომელთა მემკვიდრეები დღეს აზერბაიჯანელები არიან), დინასტიასთან, შარვან-შაჰებთან. ბაგრატიონებს ნათესაობა ჰქონდათ კავკასიის სხვა ხალხებთანაც, რომელთა სათვისტომოები არის წარმოდგენილი საქართველოში.

საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა სათვისტომოების წარმომადგენლები საკმაოდ ტრადიციული და რელიგიური პიროვნებები არიან, მათთვის, როგორც აღვნიშნე, მეფის ინსტიტუტი ტრადიციულად და რელიგიურად სავსებით მისაღებია. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური სათვისტომოების წარმომადგენლები, ყოველთვის ლოიალურად იყვნენ განწყობილნი ბაგრატიონების ხელისუფლების მიმართ, რაც მათ მახსოვრობაში კარგადაა შემონახული.

კონსტიტუცია დარეგულირებს საქართველოს მეფის აღზრდის საკითხს. საქართველოს სახელმწიფოს მეთაური - მეფე, თავისი ქმედებებით უნდა აკმაყოფილებდეს ტრადიციული მორალის, ცივილიზაციურიობისა და კულტურის ნორმებს. მეფობა იქნება მსახურება, მოვალეობა და არა ფუფუნების წყარო. ამას დარეგულირებს კონსტიტუცია.

**კონსტიტუციური მონარქიის სახალხო ფორმა**

განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება საქართველოს კონსტიტუციური მონარქიის სახალხო ფორმას.

საქართველოს ყველა მოქალაქე, მიუხედავად მათი ეროვნებისა, რელიგიური კუთვნილებისა, რასისა და მისი წინაპრების სოციალური სტატუსისა, იქნება თანასწორი უფლებებითა და ღირსებით. ქართული სამეფო დაიცავს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ნორმებს განუხრელად და პოლიტიკორექტულობას.<sup>2</sup>

**ეს ყველაფერი აღიარებული იქნება კონსტიტუციის მიერ.**

სამეფოში იურიდიულად იარსებებს საპატიო ნოდებები, რომელთაც მეფე მიანიჭებს დამსახურებულ პიროვნებებს, ოღონდ ისინი არ იქნება არისტოკრატიული შინაარსისა და არ გადავა შთამომავლობით.

საქართველოში საპატიო ნოდება უნდა ჰქონდეს მხოლოდ მეფის ოჯახს და ქვეყნის წინაშე დამსახურებულ პიროვნებებს (ეს დარეგულირდება კონსტიტუციით, თავი — საქართველოს მეფე).

**საქართველოს მეფე (და ქვეყნის მართვა)**

საქართველოს მეფეს საქართველოს პარლამენტი აცხადებს საქართველოს ტახტის მემკვიდრე ქართული სამეფო მემკვიდრეობის ტრადიციული კანონის მიხედვით.

საქართველოს მეფის უფლებები ძალაში შედის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ მისი მეფედ კურთხევის შემდგომ.

საქართველოს სახელმწიფოს მართვა განხორციელდება ჩვეულებრივად, როგორც თანამედროვე ცივილიზებულ სახელმწიფოს შეფერება. საკანონმდებლო მოვალეობას შეასრულებს პარლამენტი, აღმასრულებელ ფუნქციას შეასრულებს პარლამენტის მიერ დანიშნული მთავრობა.

საქართველოს მეფე იქნება ქვეყნის სიმბოლური სახელმწიფო მეთაური, ზოგადად სახელმწიფოებრიობის, ეროვნულობისა და დიდი ტრადიციების სიმბოლო. იგი შეასრულებს ცერემონიალურ მოვალეობებს (როგორც პრეზიდენტები საპარლამენტო რესპუბლიკებში (ასევე საპრეზიდენტო რესპუბლიკებშიც): უცხოელი ოფიციალური სტუმრების მიღება, ელჩების მიღება, სახელმწიფოს წარმოჩენა სხვადასხვა ღონისძიებებზე, პარლამენტის გადაწყვეტილებებზე ხელის მოწერა, დამსახურებული მოქალაქეების დაჯილდოება, საქართველოს მოქალაქეობის მიცემა და სხვა, ასევე მისი მოვალეობა იქნება უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოს ხელმძღვანელობა, სამხედრო ძალების მთავარსარდლობა. საქართველოს მეფე სპეციალური სამსახურის წარგინებით შეინალებს მსჯავრდებულებს. საქართველოს მეფე იქნება ქვეყნის სახე გარესამყაროსთან.

საქართველოს მეფე იქნება ხელისუფლების წარმომადგებელი ეკლესიაში და ეკლესიის წარმომადგენელი ხელისუფლებამში.

საქართველოს მეფე, კონსტიტუციის შესაბამისად, დანიშნავს ყველა დონის არჩევნებს, დაამტკიცებს არჩევნების შედეგებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარდგინების საფუძველზე, დაამტკიცებს პარლამენტისა და მთავრობის შემადგენლობას, მიიღებს პარლამენტისა და მთავრობის წევრთა ფიცს. პარლამენტის წარდგინით დანიშნავს მოსამართლეებს, მთავრობის წარდგინებით დანიშნავს შეიარაღებული ძალების სარდლობას. მიანიჭებს ჩინებს სამხედროებსა და შინაგანი ძალების წარმომადგენლებს. საქართველოს მეფე იღებს ქვეყნის ჯარისკაცების ფიცს.

საქართველოს მეფე პარლამენტის დადგენილებით აცხადებს ომს ან საგანგებო მდგომარეობას, ქვეყნის მასშტაბით ან ტერიტორიის ნაწილში.

საქართველოს მეფემ უნდა იცოდეს სახელმწიფო ენები, ქართული და აფხაზური, ასევე ქართული სალიტერატურო ენის საფუძვლები.

**ქართული სამეფო ლეგიტიმიზმის პრინციპები კონსტიტუციაში**

სამეფო ტახტის მემკვიდრეობა გადადის უფროს ვაჟზე, ან თუ მეფის ოჯახს არ ჰყავს ვაჟი, უახლოეს ნათესავ ვაჟზე. სამეფო დინასტიის გვარი გადადის მხოლოდ მამრობითი ხაზით. ასეთია ქართული ლეგიტიმიზმის აუცილებელი პირობა საუკუნეების მანძილზე და ამ პრინციპის შეცვლა შეუძლებელია.

საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეობის მხოლოდ მამრობითი ხაზით გადაცემა არის უცვლელი რელიგიურ-სახელმწიფოებრივი ტრადიცია და არა ქალთა უფლებების დისკრიმინაცია.

ქართული ლეგიტიმიზმის კანონები უცვლელად უნდა გადავიდეს კონსტიტუციაში თავი — საქართველოს მეფე.

**საქართველოს მეფის დინასტიის გვარი**

ჩვენი აზრით, იმ პიროვნებამ, რომელიც ავა აღდგენილ სამეფო ტახტზე, და მისმა პირდაპირმა მემკვიდრეებმა, უნდა მიიღონ გვარის სხვა, დანარჩენი ბაგრატიონებისაგან განსხვავებული ფორმა, რათა

გამორჩეოდეს განახლებული სამეფო დინასტია. ეს აუცილებელია როგორც ფსიქოლოგიური ფაქტორით, ასევე სხვა მიზეზებითაც.

გადმოცემის მიხედვით, ბაგრატიონები, რომლებიც ითვლებოდნენ წმიდა მეფსალმუნე დავით წინასწარმეტყველის შთამომავლებად, დაუნათესავდნენ ქართლის სამეფოს ფუძემდებლის, ფარნავაზის ჩამომავლებს, ფარნავაზიანებს.

ტრადიციის მიხედვით, ფარნავაზიანები იყვნენ ქართველთა ეთნარქის, ქართლოსის (ქარდუს, ქალდის) პირდაპირი მემკვიდრეები.

ვფიქრობთ, საქართველოს მომავალი მეფეები შეიძლება იყვნენ გვარად ბაგრატიონ-ფარნავაზიანები, ამაში გამოიხატება ჩვენი სამშობლოს უძველესი ისტორიაც.

შესაძლოა მხოლოდ სამეფო ოჯახისათვის გამოიყენებოდეს გვარის ასეთი ფორმა — ბაგრატიონი.

ასევე შეიძლება გვარი ბაგრატიონ-ბაგრატიონი, თუ მომავალ მეფეს და მის შთამომავლობას ბაგრატიონთა ორი შტოს მემკვიდრეობა ექნებათ.

განსხვავებული, განახლებული სამეფო გვარი შეიძლება ატაროს მეფის ძმამ, და მისმა შთამომავალმა ერთი თაობა, რათა არ წარმოიქმნას რამენაირი, თუნდაც ფსიქოლოგიური პრივილეგია (ეს დარეგულირდება კონსტიტუციით, თავი — საქართველოს მეფე).

**საქართველოს მეფის ტიტული**

მეფის ტიტული უნდა აისახოს კონსტიტუციაში. საქართველოს მეფეს შეიძლება ეწოდოს:

„მეფეთ-მეფე აფხაზეთა და ქართველთა, სრულიად საქართველოს ხელმწიფე, იესიან, დავითიან, სოლომონიან, ბაგრატიონ-ფარნავაზიანი (ან ბაგრატიონ-ბაგრატიონ-ფარნავაზიანი), კავკასიის მცველი და მეგობარი კავკასიელი ხალხებისა“.

ან

„იესიან, დავითიან, სოლომონიან-ფარნავაზიანი, ბაგრატიონ-ბაგრატიონი, მეფე აფხაზეთა და ქართველთა და სხვათა, სრულიად საქართველოს მეფეთა-მეფე და კავკასიის მცველი“.

შემოკლებით — „საქართველოს მეფე“ („აფხაზეთა და ქართველთა მეფე“).

ამგვარად ხაზი გაესმება ძველ ტრადიციებს. შესაძლოა გამოიყენებულ იქნას სახელწოდება ივერიაც სრულ ტიტულში. შესაძლოა სხვა ვარიანტებიც.

ისევე ვიმეორებ, რომ დღეს თვითნოდებით აფსუა (афсуа) ხალხს, მთელი მსოფლიო, მათ შორის ოფიციალური ქართული იდეოლოგია, აფხაზეთად მიიჩნევს. ჩვენ, ქართველი მეფისათვის ასეთი ტიტულის დადგენით, შეიძლება დიდი სამსახური გავუწიოთ საქართველოს ერთიანობის საქმეს.

**საქართველოს მეფის მეუღლე - საქართველოს დედოფალი**

ამ საკითხზე სპეციალურად უნდა შევჩერდეთ ორიოდე სიტყვით.

დაქორწინებისას საქართველოს მეფე ან ტახტის მემკვიდრე უნდა იყოს სრულიად თავისუფალი არჩევანში. მას ვერაფერ შეუზღუდავს სიყვარულის უფლებას. მხოლოდ შეიძლება იყოს დაცული ზოგიერთი ნორმა, როგორც ეს არის მიღებული ევროპის მონარქისტულ ქვეყნებში. მაგალითად, საქართველოს დედოფალმა ქორწინების წინ უნდა აღიაროს მეფის (მართლმადიდებლური) სარწმუნოება, საქართველოს დედოფალი უნდა იყოს მორალურად შესაბამისი მაღალი პატივისა და რთული მოვალეობებისა.

მეფისა და მეფის ოჯახის წარმომადგენელთა ქორწინებაზე კურთხევას მისცემს პატრიარქი და თანხმობას პარლამენტი. ამგვარი ნორმის გარეშე, ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში სამეფო ოჯახის წარმომადგენლები კარგავენ ტახტის მემკვიდრეობის უფლებას. ასეთი პრეცედენტი არა ერთია, თუმცა ეს მათი ნებაა.

ამგვარი ნორმები თითქმის ყველა კონსტიტუციური მონარქიის ქვეყნებში მოქმედებს (ამას ყველაფერს დარეგულირებს კონსტიტუცია, თავი - საქართველოს მეფე).

**საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეობის საკითხი დღეს**

დღეისათვის ყველაზე წინ სამეფო ტახტის მემკვიდრეობაში, უპირობოდ, დგას დავით გიორგის ძე ბაგრატიონ-მუხრანბატონიშვილისა და ანა ნუგზარის ასულ ბაგრატიონ-გრუზინის ვაჟი - გიორგი ბაგრატიონ-ბაგრატიონი.

(შემოკლებული ვარიანტი)



# კიევის პატრიარქი: ეკონსტრუქცია ჩვენი სუვერენიტეტის შენარჩუნების გზაა

კიევისადასრულიადრუს-უკრაინისპატრიარქი ფილარეტი, რომელსაც უკრაინაში თითქმის იმდენივე მრევლი ჰყავს, რამდენიც მოსკოვის საპატრიარქოს, უკრაინის ეკონსტრუქციის მხარდამჭერ მიმართვას ავრცელებს.

“ბოლო დღეებში, უკრაინის დედაქალაქში და სხვა მრავალ ქალაქში, ასევე საზღვარგარეთ გაიმართა და ამ დრომდე გრძელდება საზოგადოებრივი გამოსვლები უკრაინის ეკონსტრუქციის მხარდასაჭერად.

ჩვენი ეკლესია, ისევე როგორც სხვა წამყვანი ეკლესიები და რელიგიური ორგანიზაციები უკრაინაში, ერთობლივ განცხადებაში ჯერ კიდევ სექტემბრის ბოლოს გამოვხატავდით და ვადასტურებდით უკრაინელი ერის ევროპისკენ სწრაფვას. ამ დროის განმავლობაში უკრაინაში და საზღვარგარეთ, პოლიტიკოსებთან და საზოგადოებრივ მოღვაწეებთან, როგორც პირადად პატრიარქმა, ისე ჩვენი ეკლესიების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ უკრაინა ევროპული ქვეყანაა და ეს არჩევანი ევროპულ ქრისტიანული ცივილიზაციასთან მიკუთვნებულობისა 1000 წლის წინ კიევის რუსეთის ნათლობისას გაკეთდა”, - ნათქვამია პატრიარქ ფილარეტის მიმართვაში.

პატრიარქი ფილარეტი დარწმუნებულია, რომ უკრაინის ევროკავშირის ასოცირებული წევრობა მისი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების გზაა მათგან, ვისაც საბჭოთა იმპერიის აღდგენა სურს.

ფილარეტი მოუწოდებს სამართალდამცავებსა და სახელმწიფოს, უზრუნველყონ მოქალაქეთა მშვიდობიანი პროტესტის უფლება. ფილარეტი მიიჩნევს, რომ აგრესია მშვიდობიან პროტესტზე სიტუაციის რადიკალიზებას მოახდენს.

პარალელურად, უკრაინის გრეკო-კათოლიკური ეკლესიის მეთაურმა, სვიატოსლავ შევჩუკმა, რომლის მრევლიც 5 მილიონამდეა, სოლიდარობა გამოუცხადა ევრომაიდანზე შეკრებილ ახალგაზრდებს.

ათასობით უკრაინელი კიევის ცენტრშია შეკრებილი და ხელისუფლების გადაწყვეტილებას უკრაინის ევროკავშირთან ასოცირების პროცესის შეჩერებასთან დაკავშირებით აპროტესტებს. აქციის მონაწილეები უკრაინის რადასგან გადაწყვეტილების შეცვლასა და ვილნიუსის სამიტზე ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებას მოითხოვენ.

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის კიევის საპატრიარქოს პატრიარქმა ფილარეტმა ქადაგებისას განაცხადა, რომ რუსები გეგმაზომიერად ანადგურებენ უკრაინულ ენას, რათა გააანდგურონ უკრაინული სახელმწიფო. ამიტომ ყოველმა უკრაინელმა უნდა დაიცვას თავისი ენა, რითაც დაიცავს საკუთარ სახელმწიფოს. დღეისათვის მოსკოვში მცხოვრებთა 31% მუსულმანია, ხოლო მართლმადიდებელია 49%, რომელთაგან



რუსი მხოლოდ 34%-ია. ამდენად, მოსკოვი უკვე აღარ არის რუსული ქალაქი. 30 წლის შემდეგ რუსეთი საერთოდაც აღარ იქნება ქრისტიანული ქვეყანა. ამ პირობებში უკრაინა ხდება მათთვის, როგორც სახელმწიფოსათვის, ერთადერთი გადამრჩენი. უკვე გამოთქვამენ აზრებს, რომ რუსები მზად არიან გადმოიტანონ დედაქალაქი მოსკოვიდან კიევში, ოღონდ ისე, რომ თვითონ განაგებდნენ აქაურობას, მაგრამ „ ან თავისუფლება, ან სიკვდილი. ჩვენ აღარასოდეს დავუბრუნდებით მონობას!“ აცხადებს უკრაინელი ერის ჭეშმარიტი მწყემსმთავარი პატრიარქი ფილარეტი, რომელიც თავის სამღვდლო დასთან ერთად უკვე დიდი ხანია შეუერთდა მომიტინგეებს და გააძლიერა ლოცვა უკრაინის სახელმწიფოსა და უკრაინელი ერის უფლისმიერ მფრაველობაზე.

<http://droanews.ge/7055--.html#sthash.7c0q80o4.dpuf>

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

გაზეთი გამოდის შემონირულობებით

რედაქტორი ლეილა ცომაია

საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55

ვებგვერდი: <http://ganmatavisuflebeli.webs.com>  
ელ.ფოსტა: [ganmatavisuflebeli@yahoo.com](mailto:ganmatavisuflebeli@yahoo.com)